

008 (C41)

8 402

ბედი ქართლისა

ისტორიული, ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმეების

BEDI KHARTLISA (« Le Destin de la Géorgie »)

RECUEIL HISTORIQUE, SCIENTIFIQUE ET LITTÉRAIRE GEORGIEN

Directeur : K. SALIA - 8, rue Berlitz, Paris (16^e) - Tél. : PASey 75-35

N^o 39-40

PARIS 1962

შინაარსი:

გრიგოლ რობაქიძე გალაქტიონ ტაბიძე და მისი ქებათა-ქება ნიკორწმინდას
ვ. გორგანელი რუსთაველის სურათთან
მ. წ. იერუსალიმში შოთა რუსთველის ახლად აღმოჩენილ სურათზე
წარწერისათვის

მიხეილ წერეთელი გიორგი კერესელიძე †
დავით ვაჩნაძე †

კ. სალია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველ მსოფ-
ლიო ომის დროს

† **მიხეილ თარხნიშვილი** ძველი ქართული წელიწადი.

მიხეილ წერეთელი შენიშვნები:

შოთა კუპრი, ჭერეთის ერისთავი. ისტორიათა და
აზმათა რაოდენიმე ადგილისათვის. ყუთლუ - არსლან,
მეჭურჭლეთ უხუცესი. მახორნი. სომეხ.

ნინო სალია
გრიგოლ რობაქ
უმსგავსო სიყად
ვაჟაფშაველას !
ბიბლიოგრაფია

Prix: 5 ₾

ქვირვას დედ-მამას

გაუხარებელი უვილისაგან

ჩემს დედას გაიანებს,

როგორც განუორკებას სიკვდილამდე გლოვობდა,

ჩემს მამას ზოსიშვს,

დარდისაგან დათუთქულს

ხსოვნისათვის

მიეძღვნება ეს კვეული "გედ: ქართლისა".

კალისტრატე ხალია



გალაკტიონ ტაბიძე და მისი “ჰეზატა ჰეზა ნიქორჴში.ნდას“

აღარ არის ამ სოფლად გალაკტიონ ტაბიძე. „უქანასკნელ წლებში“ — კვითხულობთ „ლიტერატურულ გაზეთში“: 21.3.1959 — „გ. ტაბიძე მძიმედ იყო დაავადებული, რამაც გამოიწვია მისი ცხოვრების ტრალიკული დასარული“. კერძოდ მიღებული ცნობით: მეოთხე სართულითგან გადმომხტარა და ასე შემზარავად მოუღია ბოლო თავის სიცოცხლისათვის. რით იყო ავად? რამ მიიყვანა ასეთ წარკვეთილებამდე? “ეა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!”

გალაკტიონი იყო თავისებური ყოველმხრივ: თავისებური უცნაურობამდე. იყო უცოლშვილო. (მე დავტოვე საბჭოეთი 1931 წლის დამდეგს. ეგებ შემდეგ დაცოლშვილდა! არა მგონია: ცოლშვილიანი გალაკტიონი მე ვერ წარმომიდგენია.) იყო მარტოდ-მყოფი ბუნებით. მის სიცოცხლეში მხოლოდ ერთმა ტურფამ თუ გაირბინა როგორც შორიაგან სატრფიალო „მუზამ“: გავიხსენოთ მისი ადრინდელი შაირი „მერი“. ასე—ტრფიალი. მეგობრობა? ვეჭვობ გალაკტიონს მეგობრობა განეცადოს: ვგულისხმობ ძმურ მეგობრობას და არა „მეგობრულ განწყობილებას“. იყო გულდაზნული და ამის გამო მარტოდ-მყოფი? არა. იგი გულაზნული იყო. მხოლოდ: გულისყური სხვა მხრით ჰქონდა მას განხრილი. რა მხრით? პოეზიის მხრით. იგი ცოცხლობდა და ცხოვრობდა შაირით: მხოლოდ შაირით. ჭირვეული იყო მით. მოვხატოთ ერთი მოსმით: შაირი მისთვის იყო ის, რაც მთვარეა მთვარეულისათვის.

იყო მუდამ პოეტურ ზმანებაში გადასული და თანაც ხშირად „კახური“ შეზარხოშებული. (აქა ერთი დეტალი: საკვირველი, დიად, საოცარი ქართველისათვის. „კახურზე“ „არმწყურალი“, იგი მე ერთხელაც არ მინახავს ნადიმზე და არც მსმენია როდისმე ელხინოს მას: ჩვენებურად, ქართველურად. და ეს საქართველოში: და ეს ტფილისში!) საინტერესო იყო მეტად შეხვედრა მასთან. შეგეყრებოდა, შეირხეოდა ორმაგ „ზეაყვანილი“ და: მყისვე სიცხადეზე გამოდიოდა. ემჩნეოდა უხერხულობა, თვითონაც ამჩნევდა ამას. იყო მორცხვი. (ეს მორცხეობა გვარეული თუ იყო: ტიცინიცი მორცხვი იყო, მისი ბიძიშვილი.

დანარჩენში მისი ანტიპოდი.) მორცხვობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მისს უხერხულობას. შემოგეფრქვეოდა ხალისით, გადამეტებული ხალისით — „მეტი“ აქ გამოწვეული იყო ალბათ ნდომით უხერხულობის დაფარვისა. ირხეოდა, იბნეოდა. არ იცოდა: რა ეთქვა, რა ექმნა. გეხალისებოდა. ნერვიული იყო: და ხალისი მისს სახეზე კუნთების უჩვეულო ათამაშებით იფინებოდა.

მსჯელობდი მასთან რამეზე, გეთანხმებოდა ყველაფერში. ხოლო ისე, რომ უკანდასახევი გზა მოეტოვებია. გეთანხმებოდა: რადგან არ უნდოდა არდათანხმებით წყენა მოეყენებია. უკანდასახევი გზას იტოვებდა: რადგან არ უნდოდა თანხმობით შემორკილიყო. ბოლოს-და-ბოლოს, არ იცოდი რას ფიქრობდა დანამდვილებით აღძრულ საკითხზე. ეს არ იყო „არციქითარცაქეთობა“. მაშ რა? რასაც თვითონ არ ეხებოდა, იგი მას თითქო არ ეხებოდა: და რასაც თვითონ ეხებოდა, ამას იგი შაირებში გამოთქვამდა. ეს იყო და ეს. ხანდახან მწერალთა კრებებს ესწრებოდა. იჯდა თავისთვის, განცალკევებული. კამათში არ ერეოდა. ესეც გასაგებია.

არის ერთი ჯური პოეტებისა, რომელთა შაირში პროზაული თქმა ხშირად პოეტურად გამოდის. გალაკტიონი ამ ჯურს ეკუთვნის. უდიდეს ოსტატად შაირის ამგვარი მოზმევისა პუშკინი ითვლება. იგი აღწევს ამ მოზმევას სიტყვის მელოდიური გაშლით. პუშკინური მელოდია, განუმეორებელი, ცალკე საგანია, რომელსაც აქ, რასაკვირველია, გაკრვითაც ვერ შევხვები. გალაკტიონსაც ემარჯვებოდა ხსენებული მოზმევა შაირისა და სწორედ სიტყვის მელოდიური გაშლით. როგორც ნამდვილ მგოსანს მასაც საკუთარი მელოდია აქვს: გალაკტიონური. მისი მთავარი ხერხი აქ: განმეორებაა. განმეორება სიტყვისა, თუ თქმის. განმეორება მოსწრებული, მოხდენილი. ხსენებულ გაზეთში ვინმე ლავროსი კალანდაძეს მოჰყავს (წერილში „გალაკტიონი“) შემდეგი ადგილი გალაკტიონის შაირითგან ამირანზე:

„ალარ გათენდება ღამე საზიზლარი!
რომელი საათია, რომელი საათია?“

ვის არ განუცდია მძიმე ღამე და არ აღმოხდენია: როდის გათენდება? გასაგებია ყველასათვის ეს ზახილი: „რომელი საათია?“ ახლა დააკვირდით: განმეორებით რომ არ იყოს თქმული ეს ზახილი, მაშინ იგი პროზაული დარჩებოდა: „რომელი საათია?“ ხოლო იგი განმეორებულია: „რომელი საათია, რომელი საათია?“ აქ ერთი მოქნევით პროზა პოეზიაში გადადის.

იმავე ატორს მოჰყავს იქვე ერთი სტროფი გალაკტიონის რომელიღაც შაირითგან:

„წერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები.“

ჯერ ლექსი მწვადა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.“

(შენიშვნა: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე“. ავტორი ალბათ რუსთაველს ალა-პარაკებს შაირში.) განმეორება აქ—ვიტყოდი: შებრუნებული — ისეთი რიტმით არის გაყვანილი, რომ კითხვისას მასში ერთი პატარა აბრუნდი მყისვე ვერ შევამჩნიე. სახელდობ: ან ლექსი წვადა „ჯერ“, ან და მზე: ორში ერთი!

სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს გალაკტიონის წიგნები, რომ სხვა მაგალითები მოვიყვანო. ხოლო: რაც მოვიყვანე, ისიც საკმაოა, მგონი, რომ წინარად გამოდგეს ქვემოთსათვის.

წინ მიდევს „კრებული“, წიგნი პირველი (ნაუ იორკ, 1957), გივი კოსას დის მიერ გამოცემული, მისივე რედაქციით. აქ გადმობეჭდილია ერთი შაიო გალაკტიონისა: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. (მოთავსებული ყოფილა წიგნში „რჩეული“, ტფილისი 1954.) შაირი ათი რეასტრიქონიან სტროფისაგან შედგება. პირველი ნახევარი თვითული სტროფისა — გარდა პირველი სტროფისა, რომელიც შესავალია — ეხება ტაძარს-შენობას ამა-თუ-იმ მხრით. მეორე ნახევრის პირველ სამ სტრიქონში აღტაცებაა და ხობტა. (მეცხრე და მეათე სტროფში ამ ნახევრის მესამე სტრიქონი განხრილია ოდნავ). მეოთხე სტრიქონი, ბოლოკიდური, ნიკორწმინდას ახსენებს. ნათელმფენი სახელი ეშარავანდება მთელ სტროფს. აი მაგალითად მეოთხე სტროფი:

„აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო,
სვეტი—ნიკორწმინდა!“

ხედავთ: აქაც გამოყენებულია განმეორება. ოღონდ იგი აქ ანაირნივებულია: „ნეტა ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო, რა მადლმა ააგო.“ ასევეა აგებული მეორე სტროფი, ასევე მესამე, ასევე მერვე. სტროფები: პირველი, მეხუთე, მეექვსე. მეორე ნახევრის მესამე სტრიქონის ბოლო: ზმად აქ სხვა სიტყვაა. (ვხმარობ „ზმა“-ს და არა „რითმა“-ს. აქ ვერ განვიმეორებ მას, რაც შესახებ ამისა ვთქვი ამ ჟურნალის მეორე ნუმერში.) მეშვიდე სტროფში სამივე სხვადასხვაა. ხოლო სამივე შეხმიანებული. მეცხრეში მესამე (მეორე ნახევარზნა ისევ სიტყვა) პირველ ორს არ არ ეზმება: იგი აქ არაა საერთოდ ზმა. სამაგიეროდ ბოლოკიდური ეზმება პირველ ორს. ასევე გამარჯული მეათე: მესამე სტრიქონის ბოლოსიტყვა — არც აქაა ზმა. განსხვავება ესაა მხოლოდ: ბოლოკიდური

აქ პირველ ორს არ ეზმება. ბოლოკიდური: “ნიკორწმინდა“ ეზმება: პირველ სტროფში ბოლოსიტყვას მეორე და მეოთხე სტრიქონისა (სტროფის პირველი ნახევრისა). მეორე სტროფში: ეზმებიან ბოლოსიტყვას სიტყვები პირველი, მეორე და მესამე სტრიქონისა (სტროფის მეორე ნახევარისა). თუ სად გამოდის იგი ზმად მეცხრე სტროფში, ეს უკვე აღვნიშნე. დანარჩენ სტროფებში იგი ზმად არ გამოდის. არცაა საჭირო.

ვხედავთ: სტროფების გამართვაში აქ იგივეობა არ არის დაცული. გარნა ამის გამო შაირი არას ჰკარგავს რა. პირიქით: ამით კიდევ იგებს: „ხელოვნურობა“ მისი უფრო „ბუნებრივი“ ხდება.

საბაშო შაირში „მედეის ლეკვი“ უნაზესი აღერსით გაჰყავს პაოლო იაშვილს განმეორება:

„ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს,
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კულზე გამოვაბა,
ქვეშ დაეუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუღღლო ის მურაბა...“

(ასეთი განმეორება ხალხურ შაირებში თუ გვხვდება! არ მახსოვს.) გალაკტიონის შაირში განმეორება სხვანაირია: რადგან აქ საგანი სხვაა ვიდრე საგანი პაოლოს შაირში. ერთი კიდევ: ტაეპების ერთიმეორეზე მიყოლება გალაკტიონის შაირში არ გავს არც შავთელურს და არც ჩახრუხაულს. იგი გალაკტიონურია და: ამ სახელით შევა ქართულ პოეზიაში. მოვისმინოთ კიდევ ერთი სტროფი, მეექვსე:

„ხვეულთ დიადება
ვხედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია.
ნეტავ ეინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა
ვზნება — ნიკორ წმინდა!“

ძნელია ამ შაირის ხმამაჟღერებლივ წაკითხვა. წარმოთქმას მოითხოვს. იწ-

ყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეაყვანილი რიტმიულ დენას მისსა, რომელსაც თან-დათან მეტი და მეტი ქანი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქო რიტუალურ როკვაში გადადოდე.

საკვირველია ეს შაირი. გეტყვით მაგალითად ვინმე რომელიმე ტურფაზე: ჰოო, რა ლამაზია! ჰოო, რა მზიბლავია! თქმა ცალიერ რეტორიკად რჩება. რჩება ასე, რადგან კონკრეტული განსახება აკლია. ავიღოთ ახლა რომელიმე ხოტბითი ხტილი „ნიკორწმინდასი“. თუ გინდ ეს:

„ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მალლა ნიკორწმინდა!“

განა ესეც ცალიერი რეტორიკა არაა? თავის თავად — უთუოდ, ხოლო შაირში მოქცეული — არა. აქაა ამ შაირის საიდუმლოება. რით ავხსნათ ეს?

ჰიმნი მიმართულია შენობისადმი ტაძარისა. შეიძლება თუ არა ჰიმნით მიემართოთ რაიმე სხვა შენობას, არა ტაძარის შენობას: მაგალითად: შენობას თეატრისა, ხნ მუზეუმისა, ან კლუბისა, ან უნივერსიტეტისა? (ხაზს ვუსვამ: „ჰიმნიო“.) არა მგონია. სასაცილო იქნებოდა პირდაპირ. მაგალითად რომელმე კლუბის შენობის მიმართ რომ გვეთქვა: „ნეტა ვინ ააგო / რა ნიქმა ააგო / რა მადლმა ააგო!“ ტაძარი კი სრულიად სხვაგვარი შენობაა: იგი საყდარია მარადის, უზენაესის: „საყუდარი“ მისი. და ჰიმნი მის მიმართ არა თუ მართებულია მარტო. ეს ერთი მხარე. ახლა მეორე. „ნიკორწმინდაში“ არაა ხსენება: არც ხატის, არც ჯვარის, არც წირვის, არც ლოცვის — გარნა ყოველი ეს გულეებულია მასში: ხატიც, ჯვარიც, წირვაც. ლოცვაც. (ურწმუნონიც დამეთანხმებიან, რომ ამ შაირის შექმნა შეეძლო მხოლოდ ღრმად მორწმუნეს.) ართქმული აქ გულისთქმა უსიტყვო, რომელიც შაირის გაშლისას ატმოსფეროდ იფინება. იფინება ხსენებით ნიკორწმინდისა. გულეებულს მგოსანი შენობაში ხედავს: ვითარ ტანქმნილს. ხედავს და: იხიბლება მით. მოდის ალტაცებაში და: ხოტბით ეფრქვევა მას. ხოტბა აქ უშუალოდ აღმომხდარი ზახილია: ექსტატიური. კონკრეტ-სახვა მას კიდევ დაამძიმებდა. სიტყვას სიტყვა მოსდევს. თქმა თქმას: ანაირნაირებული განმეორებით, მოჰქროლავს „ვალაკტიონურ“.

მოვისმინოთ ესეც, სტროფი მეცხრე:

„მზერა ქართულია
სივრცის დაუწჯებით.
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!“

სოცბა აღფრთოვანებული ფრთებდალ ესხმის ტაძარს.
შაირი მამულიშვილური გახარებით თავდება:

„ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!“

დიდი ოსტატობით არიან ამ შაირში შერწყმულნი შინაარსი და ფორმა ერთიმეორესთან. ორიოდ სიტყვა ფორმა-შინაარსის ურთიერთობაზე საერთოდ.

ვთქვათ, ჩვენ წინ დევს ნამორი რომელიმე ხისა, ნამორი ვახერხილი. ხერხილის გნდებზე ვხედავთ: თუ როგორ ერგოლება ცილი ცილს. რა არის აქ შინაარსი და რა ფორმა? შინაარსი აქ იმდენადაა შინაარსი რამდენადაც იგი გამოსხმულია ფორმაში და ფორმა იმდენად ფორმა რამდენად იგი გამოსხმულობაა შინაარსისა. ეს ფორმულა ჰგულისხმობს: 1. რომ აქ ზღვარის გაყვანა ფორმისა და შინაარსის შუა ძნელია. 2. რომ აქ არ შეიძლება ითქვას: ჯერ შინაარსი და მერმე ფორმა, ან: ჯერ ფორმა და მერმე შინაარსი — ორივენი ერთთავად არიან მოცემულნი. 3. შინაარსისათვის აქ სხვა ფორმა წარმოუდგენელია და ფორმისათვის სხვა შინაარსი.

დაახლოვებით ასე უნდა იყოს გაშლილი ხელოვნური ნაქმი. მხოლოდ ერთი-რამ მოითხოვს აქ განმარტებას. სახელდობ: მესამე მუხლის პირველი ნახევარი: „შინაარსისათვის აქ სხვა ფორმა წარმოუდგენელია.“ შევჩერდეთ განა არ შეიძლება, მაგალითად, ერთი-და-იგივე ამბავი რომანადაც გაიშალოს და დრამადაც? შეიძლება. მაგრამ გაშლამდე „მასალა“ იქნება იგი და არა „შიგთავსი“: *CONTENU*. (აქ ეს სიტყვა უფრო მოხდენილია ვიდრე „შინაარსი.“ ნახმარია ივ. მაჭავარიანისა და ის. გვარჯალაძის მიერ შედგენილ ფრანგულ-ქართულ სიტყვიარში. სხვაგან არ შემხედრია.) „მასალა“ და „შიგთავსი.“ ნათელ-ვეყოთ ეს დაპირისპირება. ბუნება ისეა შექმნილი, რომ იგი თვითქმნილად გვევლინება. მასში ყველაფერი თავის-თავისაგან ვლინდება. „მასალა“ აქ „შიგთავსია“ თვითგანვე. ხელოვნებაში ეს ასე არაა. აქ ერთ-რამე სხვა-რამედ იქმნის: „ერთი-რამე“ მასალა — „სხვა-რამე“ შიგთავსი. რაც ბუნებისათვის მასალაა და შიგთავსი ერთთავად, მაგალითად ქვა — იგი ხელოვნისათვის მხოლოდ მასალაა, მაგალითად იგივე ქვა (მოქანდაკესათვის). ამ-რიგად, როცა ვამბობთ, ერთი-და-იგივე ამბავი რომანადაც შეიძლება გაიშალოს და დრამადაც — უნდა დავუმატოთ, რომ აქ „ამბავი“ მასალა იქნება და „რომანი“ და დრამა“ კი სხვადასხვა შიგთავსი. უკანასკნელზე ოჯგე ითქმის, რაც ითქვა „შინაარსზე“. (ხელოვნების ვაგებისათვის აქ ნათქვამი გადამწყვეტია.)

„ნიკორწმინდა“ სრულყოფილი შაირია, რადგან მასში: ძნელია ფორმისა და შინაარსის შუა ზღვარის გაღვება (ამ მხრით იგი მუსიკას უახლოვდება). შინაარსი და ფორმა ერთდროულად არიან მოცემულნი. შინაარსისათვის აქ სხვა ფორმას ვერ წარმოიდგენთ. ფორმისათვის — სხვა შინაარსს? აქ უნდა

შეეჩერდეთ. ამ ჰიმნით ჩვენ შეგვიძლია სხვა რომელიმე ტაძარსაც მივმართოთ, მაგალითად, ტაძარს გელათისა. მაშასადამე, აქ ფორმისათვის შესაძლებელი ყოფილა სხვა შინაარსი! პასუხი: გელათი არაა ნიკორწმინდის მიმართ არსებული „სხვა“: იგი, ასე ვთქვათ, დაა მისი: შინაგან, დანიშნულებით, იგივე და გარეგან, ავებულობით, იმგვარი.

ზემომოხაზული ფორმულა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისა საჭიროა გატარებულ იქმნას ერთს უღარესად საყურადღებო განზომევაში. ავიღოთ მაგალითისათვის აკაკის „ყ ა ნ ა ო , ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ა მ ო თ ხ ე“ და „ნ ე ს ტ ო რ ე ს ე ბ უ ა ს ქ ი დ ი ლ ი კ უ ლ ა გ ლ დ ა ნ ე ლ თ ა ნ“ (სათაური ზუსტად აღარ მახსოვს). შინაარსისა და ფორმის შერწყმულობა ორივე შაირში თანაბარი სისრულითაა გაყვანილი — გარნა ჩვენ მაინც პირველს ვაკუთვნებთ უპირატესობას. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ „ყანა“ შინაარსით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე „ქიდილი.“ თანაც ესეც უნდა ითქვას: რომ ისეთს შაირში, როგორიცაა „ქიდილი“, შინაარსის გამოსხმულობის მოზმევა უფრო იოლია. ვიდრე ისეთში, როგორიცაა „ყანა“: იოლია და: რაც იოლია, ვიცი, იაფია. ხოლო ამ განზომევაში ერთი პატარა მაგრამ გადამწყვეტი დეტალი არ უნდა გამოეპაროს ჩვენს თვალგაველებას. აქ: არა განყენებული შინაარსი ეპირისპირება განყენებულ შინაარსს, არამედ ფორმაში გამოსხმული ფორმაში გამოსხმულს. „ქიდილის“ შინაარსი რომ უფრო უკეთ იყოს გამოსხმული ვიდრე შინაარსი „ყანა“-სი, მაშინ უკანასკნელს როგორც შაირს „ყანობა“ ვერ უშველიდა: იგი „ქიდილს“ არა თუ ვერ დაჩრიდიავდა. მას ვერც კი გაეტოლებოდა.

ასეთია ჩემი გაგება შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისა, რომლის მიხედვით დაუსრულებელი დავა ფორმალისტებისა და ანტიფორმალისტების ერთიმეორესთან უნაყოფოდ გამოდის, მეტი რომ არა ვთქვათ.

რამდენად ჰარმონიულ გაყვანილია შინაარსისა და ფორმის შერწყმულობა ხელოვნურ ნაქმში, იმდენად პლასტიურია უკანასკნელი. პლასტიურობა კი სათავეა რიტმიულობისა. სრულყოფილი შერწყმულობა შინაარს-ფორმისა „ნიკორწმინდაში“ ჰქმნის მისს ზედმიწევნილ პლასტიურ სხმულობას და უკანასკნელი საკვირველ რიტმიულ დენას მისსა. ვთქვი და ვიმეორებ: ძნელია „ნიკორწმინდის“ ხმამოუღებელი წაკითხვა. წარმოთქმას მოითხოვს. იწყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეაყვანილი რიტმიულ დენას. რომელსაც თანდათან მეტი და მეტი ქანი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქო რიტუალურ როკვაში გადადიოდე.

შედეგია ეს შაირი. ნამდვილი შედეგია. სხვა რომ არაფერი შეეკმნა გალაკტიონს, ეს შაირიც საკმაო იქნებოდა. რომ იგი შესულიყო ქართულ პოეზიაში როგორც დიდი ოსტატი.

ვწუხვარ მეტად. რომ ვერ ვეხები გალაქტიონის შემოქმედებას საერთოდ. მიზეზი? მისი შაირებითგან წაკითხული მაქვს, რაც მას გამოკვეყნებული აქვს ჩემს წამოსლვამდე საქართველოთგან: 1931 წლის დამდეგამდე. ხოლო ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით. რაც მას შეუქმნია ჩემი წამოსლვის შემდეგ. აქედან წაკითხული მაქვს — გარდა აქ მოყვანილისა — მხოლოდ (კრებულში „ქართველი მწერლები უკრაინას“ მოთავსებული) სამი შაირი. ვასაგებია, თუ ვერ ვეხები გალაქტიონის შემოქმედებას საერთოდ.

გრიგოლ რობაქიძე

P. S. ეს წერილი მოთავსებული მქონდა თითქმის, როცა წაეკითხე სიყვარულით სავსე და ფრიად საყურადღებო მოგონებები აკაკი გაწერელისი გალაქტიონზე: „ლერწამი და გობელენი“ („ლიტერატურული გაზეთი“: 1. 7. 1960). ავტორს მოჰყავს შიგადაშიგ ნაწყვეტები გალაქტიონის შაირებითგან. მოვიყვან ორ მათგანს. დასამატებლად იმისა, რაც ითქვა გალაქტიონურ განმეორებაზე.

პირველი:

„ღამით იმავე მეგობარს ელი?
არათერია, არათერია!“

მეორე:

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის. ქარი ჰქრის.
ფოთლები მიჰქრიან ქარ და ქარ.
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის.
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“

შემდეგ. „აკადემიისაკენ მიდიოდა“ — გვითხრობს ავტორი გალაქტიონზე — „პორტფელს მიაქანებდა (ეს ჩვეულებად ჰქონდა), თავიჩაქინდრული მძიმედ მიაბიჯებდა. დავეწიე. ერთხანს უხმოდ მივეყვებოდი უკან. უცებ მისი ბუტბუტი შემომესმა: იგი ახალი ტაეპის რითმებს სთხზავდა თუ იმეორებდა“. გავიხსენოთ ამ წერილის შესავალში თქმული სიტყვა გალაქტიონზე: „მუდამ პოეტურ ზმანებაში გადასული“. ალბათ მაშინაც „ბუტბუტის“ დროს, ასეთს ზმანებაში იყო გადასული.

ერთს კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცნობას იძლევა ავტორი. ერთს პოეტზე საუბრისას — ამბობს იგი — გალაქტიონმა ეს თქვაო: „ღამომონ არ უზის სულში, ძამიკო, ღამომონ!“ „ღამომონ“: ბერძნული გამოთქმით და გაგებით: განპიროვნებულ-წარმოსახული იღუმალი ძალა, მბუღობი ადამიანის ბუნებაში ვითარ წარმმართველი უკანასკნელისა. „ღამომონ არ უზის სულში“: ეს ნიშნავს — ვაცხადოთ გალაქტიონის ფართული აზრი — რომ სიტყვას მისსა. „იმ“ პოეტისა, არ აქვს შიგნიდან, სიღრმითგან ამოხე თქილი ძალა. მოჰყავს რა გალაქტიონის აზრი „იმ“ პოეტზე — „ღამომონ არ

უზის სულში“ — ავტორი უმატებს: „და ხმამაღლა ჩაიმღერა (გალაკტიონმა) თავისივე ლექსის ერთი ტაეპი: — აი რა არის თავიდათავი!“. ვხედავთ: რომ გალაკტიონი თავის თავში გრძნობდა „დაჯმონს“. საგულევებელია: რომ იგი მით იყო შეპყრობილი, აყვანილი. ამას ჰგულისხმობს რამოდენიმედ ამ წერილის შესავალში ნათქვამი: რომ გალაკტიონი „ჭირვეული“ იყო, შაირით ჭირვეული.

„ძამიკო“. ამ სიტყვაში ვხედავ მთელს გალაკტიონს. ეთქვა „ძმაო“ — თქმა არ იქნებოდა ღიმილ-მოვლებული. ეთქვა „ძამია“ — თქმით არ იქნებოდა „შორიანობა“ დაცული. სულ სხვაა „ძამიკო“: აქ ღიმილსაც ვხედავთ და-შორიანობასაც ვგრძნობთ. გაწერელია ამბობს: „ძამიკოს“ გალაკტიონი „ყველა თანამოასაკეს და უმცროს მეგობარს ეძახდა“. ამ „ძამიკო“-ში უნდა ყოფილიყო, ასე მგონია, ტონი „უფროსური“: უმცროს მეგობართადმი არა მხოლოდ ასაკის მხრით, თანამოასაკეთადმი კი ოდნავ ასაკის გარე მიხედვითაც: ორივე შემთხვევაში მეგობრული.

ერთი-რამ მაგონდება აქ. მაგონდება ვითარ სიზმარი: გალაკტიონის მიმართვა ტიციანისადმი შეხვედრისას: „ტიციანო!“ ამ მიმართვაშიც — საკუთრივ მისი „ო“-ნით დაბოლოებაში — მთლად ვლინდებოდა გალაკტიონი. „ტიციანო!“ ხალისიანი შეფრქვევით შეგებება უფროსური — „უფროსური“ ხნოვანების მიხედვით. ტონი: თითქო გამომწვევი და თანაც მამხნევებელი. ერთიც მორცხვი იყო და მეორეც, ვიმეორებ. „ტიციანო!“ მორცხვობას გალაკტიონისა აქ სითამამე ჰფარავდა უფროსისა — ტიციანის მორცხვობა კი რალაც შემაგებებელი „შორისდებულობით“ იბადრებოდა. ამ წუთში ნათესაურობა მათი ქალწულური სინაზით იფინებოდა: ორივეს ახასიათებდა — აქ რუსულ უნას უნდა დავესესხო — „ცელომუდრიე“. მაგონდება ეს და: ვხედავ მათ. (.....)

გ. რ.

რუსთველის სურათთან*)

დაგვიმციმებს სხივი დილის,
ვის გასცქერი მაინც ნეტავ,
დგებარ ხელებაპყრობილი
საქართველოს ნათლისსვეტად.
თითქოს შვილის მისვლას ელი,
მხარობელს უცდი კართან,
დაგფენია მკერდზე წვერი,
ვით მყინვარის თეთრი კალთა.
მოხუცს მხრებზე ნაბადივით
მოგიხურავს ქართლის ზეცა,
შორით ისმენ არწივთ ყვივლს
და აპრილის უხმობ მერცხალს.
გიყურებ და. რა თქვას ბაგემ,
დრომ რა მწარედ გამოგცადა,
ცხრამთას იქით გადიკარგე
მშობელ ქვეყნის სალოცავად.
როგორც შენი ტარიელი,
შენც გაიჭერ იქნებ ველად.
წინ გიძლოდა გრძნობა წრფელი
სიყვარულის საძებნელად.
სად გელოდა ტოტი დაფნის,
სად ეძებდი სულის ჩეროს. —
საქართველოს სილამაზის.
სიყვარულის ვადამრჩენო!

ვინ მისცემდა მამულს სითბოს,
ო, თუ არა შენი სიტყვა,
ვის შესთხოვდი. როცა თვითონ
საქართველოს ღმერთი იყავ!
მომავალის გზა და ხიდი
გაციკროვნდა შენი მადლით.
როგორც შენი დიდი წიგნი.
ჟამთაღმენას მოსდევს ქართლიც.
არ ვიციდით, მივაგენით,
მაგ შენს სურათს სახელდებულს.
რეასი წლის შემდეგ გხვდებიან
ქართლის ფიქრში გათეთრებულს.
ისევე ახლად დაიკვესე,
რა უშრეტი მოგდევს ძალა.
რა ხანია დგებარ ფეხზე
და მუხლი არ მოგელალა.
მოსდებია მთებს და სერებს
ვარდი ბაგე გაპობილი,
ბრძენთა-ბრძენო დაისვენე.
ნუ ხარ ხელებაპყრობილი.
ეს მზე ხომ შენს ნესტანსა ჰკავეს.
ლაქვარდში რომ გადმომდგარა.
სხივი არწევს ოქროს აკვანს
და იზრდება ვარდონანა.

ვახტანგ გორგანელი

*) დაწერილია შოთა რუსთველის სურათის პალესტინის ჯვარის მონასტერში აღმოჩენის გამო. გადმობეჭდილია "ლიტერატურული გაზეთიდან". რედ.

იერუსალიმში შოთა რუსთველის ახლად აღმოჩენილ სურათზედ

წარწერისათვის

წარწერის სიტყვები ასეა განლაგებული: “ამისა დამხატავსა შოთა შეუნდვენ ღმერთმან” “რუსთველი” ასეთი განლაგებით უნდა გავიგოთ: შოთა[ს] შეუნდვენ ღმერთმან“, ხელს აწერს “რუსთველი”. გამოდის, თითქო თვით შოთა რუსთველს დაეხატოს თავისი თავი, ან და რუსთველი გვაცნობდეს, რომ ვიღაც სხვა შოთას დაუხატავს მისი სურათი. აქ გაუგებრობას იწვევს ცუდად შესრულებული წარწერა. ჩემი აზრით, ეს წარწერა ასე უნდა წაეკითხოთ: — “ამისა დამხატავსა შეუნდვენ ღმერთმან“. შოთა რუსთველი“. სიტყვა “შოთა“ წარწერაში თავის ადგილს არ არის დაწერილი და მისი შევსებაც “შოთა[ს]“ საჭირო არ არის. თუ ასე წაეკითხავთ წარწერას, მაშინ აზრი ცხადი ხდება: — მხატვარი გვეუბნება, შოთა რუსთველი დაეხატე და, მის დამხატავს შეუნდოს ღმერთმაო. “შოთა რუსთველი“ სახელია ნახატისა. — ეს არის ჩვენი წინადადება წარწერის წაკითხვისა.

მ. წ.

გიორგი კერესელიძე (+)

ძვირფასი მეგობრის ხსოვნას

ორმოცდახუთმეტი წლის განუყრელი მეგობრობა და თანამშრომლობა მკაცრად მე გიორგისთან. პირველად ენახე იგი თბილისში 1905 წელს. შევიცარიაში, ენევაში ვიცნობდი და ვმეგობრობდი მისს უფროს ძმას, ლეო კერესელიძეს, რომელიც ჩემზედ უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში, და მეც რომ დაბრუნდი 1905 წელს, მის სანახავად მივედი გიორგის ბინაზედ. ვიხილე შევნიერი ახალგაზრდა ვაჟ-კაცი, უკვე დაქორწინებული. მისი მეუღლეც, თამარ ციციშვილის ასული, იქ იყო, და ორივე შეჰხაროდნენ პირველ შვილს მათეს (დღეს მათ ჭირისუფალს), რომელიც გიორგის ხელში ეჭირა და ათამაშებდა. მაშინ დავმეგობრდი გიორგი და მე და მას უკან კერესელიძეების სახლთან კავშირი არ შემწყვეტია. ვმუშაობდით „ს.-ფ.“-ის პარტიასთან ლეოც. გიორგიც და მეც (თუმცა პარტიის წევრები არ ვიყავით), რათვანაც მაშინ მხოლოდ

ამ პარტიას ეჭირა ეროვნული დროშა და ჩვენც იმედი გვქონდა რომ რევოლუცია რუსეთის თვითმყრობელობას დაამხოდა და საქართველოც თავისუფლებას მოიპოვებდა.

ლეო და გიორგი შვილები იყვნენ მათე კერესელიძისა, მის დროს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტისა, და შვილებს მამის სახლითგან მოჰქონდათ მოვალეობა სამშობლოსათვის ბრძოლისა, ალტყინებული სიყვარული მისი.

ე. წ. დუშეთის საქმის გამო ლეო კერესელიძე, უმთავრესი მონაწილე ამ საქმისა. უცხოეთში გადმოიხვეწა (1906 წელს) და დაემკვიდრა ენევეაში. მალე გიორგიც იძულებული იყო ცოლშვილით გადმოსახლებულიყო აგრეთვე ენევეაში, და მასთან ერთად კერესელიძეების სახლის ნათესავი ნესტორ მალალაშვილი. რუსეთის მთავრობამ მოსთხოვა შვეიცარიის მთავრობას გაცემა კერესელიძეებისა და მალალაშვილისა. ვითარცა სისხლის სამართლის დამნაშავეთა. შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეები და მალალაშვილი დააპატიმრა და საქმე სასამართლოს გადასცა გასარჩევად. თუ რამდენად სამართლიანი იყო რუსეთის მთავრობის მოთხოვნა. სასამართლო შეიკითხა ერთ უდიდეს ავტორიტეტს საერთაშორისო სამართლისა ბელგიელ მეცნიერს ერნესტ ნისს. და მან შემდეგი მსჯავრი დასდოა საქმეს: რუსითი მოჩყუებით დაძებული და დამტყუებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგომი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ჩიყენის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან. პოლიტიკური აქტია. და დუშეთის საქმეც. კერესელიძეებისა და მალალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის ამიტომ უკანონო იქმნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. რათგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან. არამედ პატრიოტულ-რევოლუციონური აქტის ჩამდენნი. — მაშინ საერთაშორისო სამართალს ძალა ჰქონდა და შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეები და მალალაშვილი გაამართლა და განათავისუფლა. ისინი ენევეაში დარჩნენ. ლეომ უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერი იურისტი პრივატ-დოცენტად გახდა ენევის უნივერსიტეტში. გიორგიც სწავლობდა ჭიმისა, მაგრამ ხელს უშლიდა ზრუნეა ოჯახისათვის. მეორე ვაჟი, ლეო იქ შეეძინა გიორგის და მის მიუღლებს თამარს.

1910 წ. სასტიკი დევნა გვიყო რუსის ჟანდარმერიამ თბილისში ქართველ ნაციონალისტებს. ჩვენი ჟურნალი „ერი“ (და სხვა სახელებით) მრავალჯერ იყო აკრძალული. ბოლოს გავიფანტენით. პეტრე სურგულაძე ენევეაში წამოვიდა (მე ლონდონში მომიხდა გარდახვეწა). პეტრე სურგულაძემ ენევეაში განაახლა „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი“ და ჟურნალიც „თავისუფალი საქართველოს“ სახელით. უაკტიურესი წევრები ამ ჯგუფისა აქაც ლეო

და გიორგი კერესელიძეები და ნ. მაღალაშვილი იყვნენ. ეს უკანასკნელი ჟურნალს აწყობდა. კერესელიძეები კი დაულაღაოდ თანამშრომლობდნენ.

და აი სწორედ ამ ჯგუფმა შეადგინა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ პეტრე სურგულაძის თავმჯდომარეობით 1914 წელს, როდესაც პირველი დიდი მსოფლიო ომი დაიწყო. ბერლინში და სტამბოლში ეს კომიტეტი სხეებმა შეეკავსეთ. და მთელი ომის განმავლობაში მუშაობდა გიორგი (ლევოსთან ერთად) ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში; მიიღო მონაწილეობა პირველ ბრძოლაში რუსების წინააღმდეგ, იღვწოდა ქართველ ტყვეთა მოსაფლვლად გერმანიაში და იყო გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ბერლინში ტყვეებისათვის განკუთვნილი გაზეთისა, რომელსაც აგრეთვე „თავისუფალი საქართველო“ ერქვა. — 1918-1919 წლ. გიორგი მუშაობდა დამოუკიდებლად ცნობილი საქართველოს საელჩოსთან ბერლინში, სადაც აუარებელი საქმე იყო გასაკეთებელი, პოლიტიკური და სხვა (ტყვეების დაბრუნება სამშობლოში და სხვ.). —

დამოუკიდებლობის დროს გიორგი საქართველოში არ დაბრუნებულა ორბოცი წელიწადი ემიგრანტული ცხოვრებისა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ მან გერმანიაში და საფრანგეთში გაატარა.

გიორგი შეუდრეკელი, მაგარი ბუნების კაცი იყო. მან ვაჟ-კაცურად აიტანა საყვარელი მეთულის დაკარგვა პარიზში, მერმე დაკარგვა საყვარელი უფროსი ძმისა ბერლინში (28 ნოემბერს 1943 წ. დაიღუპა ლეო კერესელიძე ბერლინში ინგლის-ამერიკის საჰაერო ფლოტის თავს-დასხმისას), და წინად კიდევ ბევრი უბედურობა, რომელიც მის ოჯახს ეწია საქართველოში, და ბოლოს ტყვეობა მისი ვაჟის მათესი რუსეთში. უკანასკნელი სიხარულიც მისი ეს იყო, რომ მათე 15 წლის ტყვეობის შემდეგ დაუბრუნდა მამას, ძმას და ცოლ-შვილს. — თვით თურმე სასიკვდილზე სენით იყო შეპყრობილი და ერთი ჩვილიც არავის გაუფრთხილა მისგან!

გიორგის სხვა თვისებებიც ჰქონდა ბუნებისა: იგი იყო ამხანაგთა და სეგობართა გამტანი, ერთგული. იგი იყო განუსაზღვრელად გულ-კეთილი, ასუდამ დამხმარე ხელ-მოკლე ქართველთა, სიუხვით და სტუმარ-მოყვარეობით ცნობილი. და რაც მართლაც იშვიათი თვისებაა ადამიანისა, მასაც ჰქონდა: ეს იყო აროდეს დანახსოვრება ვისგანმე წყენისა, აროდეს შურის-ძიება, აროდეს ცუდისათვის სამაგიეროს გადახდა. მას არ სწამდა „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“.

ასეთი იყო ცხოვრება და ბუნება ამ კეთილშობილი ქართველისა. დღეს იგი აღარ არის „სოფლისა ქმნისა წესითა“.

მშვიდობით, ჩემო გოგია, — ასე გეძახდით შენი ახლო მეგობრები. განისვენე მარადის და მარადისვე იქმნება ხსოვნა შენი ჩვენ შორის, სანამ ჩვენც არ განველით ამ სოფელს.

მიხეილ წერეთელი

დავით ვაჩნაძე +

ამა წლის თებერვალში მიუნხენში გარდა...ცალა საქართველოში და ემიგრაციაში ცნობილი მოღვაწე და სამშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლი დავით ვლადიმერის-ძე ვაჩნაძე, რამაც ყოველ შეგნებულ ქართველ პატრიოტს გული ატკინა.

დათა ვაჩნაძე ეკუთვნოდა საქართველოში ვაჟკაცობით და პატრიოტიზმით სახელგანთქმულ გვარს კახელ ვაჩნაძეთა. სრულიად ახალგაზრდა იგი გაგზავნა მამამ პეტერბურგს და შიაბარა იმპერატორ პავლე პირველის სახელობის კადეტთა კორპუსში. სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი მსახურებდა რუსის ჯარში, როგორც ოფიცერი. ერთი ნაწილი ამ ჯარისა იდგა კავკასიაში. 1905 წ. რევოლუციის დროს ამ ნაწილის ოფიცერთა შორის გაერცვლა რევოლუციური იდეები, რასაც შედეგად მოჰყვა ჯარიდან განდევნა მრავალ ოფიცრისა. დათამაც თავი დაანება სამხედრო სამსახურს და დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

კადეტთა კორპუსში მას თითქმის მთლად დაავიწყდა ქართული ენა, რასაც ამაყი დათა ვერ ითმენდა. იგი დაეახლა თავის სოფელ ბაკურ-ციხეში და დარჩა იქ რამოდენიმე წელიწადი, სანამ ზედმიწევნით არ შეისწავლა ქართული ენა. შემდეგ მას არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი თბილისში მოწინავე პატრიოტ ქართველებთან და არ ყოფილა არც პოლიტიკური, არც კულტურული საქმე, რომ მას იქ მონაწილეობა არ მიეღოს.

როდესაც საქართველოში დაარსდა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დათა უაქტივესი წევრი გახდა მისი და პარტიის ორგანოს "კლდე"-ს დაარსებაში უახლოესი და უდიდესი მონაწილეობა მიუძღვის.

აღსანიშნავია უმთავრესად, რომ დათა იყო შეუდარებელი სამხედრო ორგანიზატორი. როდესაც კი ქართველთა ჯარი მტერს ებრძოდა, დათა იყო მიმწოდებელი მებრძოლი ჯარისათვის იარაღისა, სანოვაგისა და ყველაფრისა, რაც საჭირო იყო. (აქ ემიგრაციაში ერთმა მეგობარმა სომეხმა უთხრა დათას: "ჩვენ თქვენმა გენერლებმა კი არა, შენ დაგვამარცხე შენი სამხედრო ორგანიზატორული ნიჭით"-ო).

პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანიაში მუშაობდა "დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელმაც კავშირი გააბა საქართველოსთან, დათა იყო საქართველოში ჩუმად შეპარულ ქართველ მებრძოლთა მიმღები, დამხმარე და მომწყობი ყოველ შეხვედრათა სხვა და სხვა მიმართულების ქართველთა.

დათას ბევრ სხვა ქართველთან ერთად წილად ხედა ემიგრაციაში ცხოვ-

რება. აქაც მას თავისი ენერჯია არ დაუზოგავს, რომ ეროვნულ საქმეში მონაწილეობა მიეღო.

ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ, რომ დათა ნიჭიერი მწერალი იყო და ნიჭიერი მხატვარიც. მას დარჩა რამოდენიმე მოთხრობა და მოგონებანი დაუბეჭდავი, რომელთა გამოცემა მეტად სასარგებლო იქნებოდა, და რამოდენიმე შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებული სურათი.

დათამ 77 წელს გადააცილა. ცხოვრებაში ბევრი უბედურება შეხვდა ავადმყოფობისაგან და საქართველოდან მისი ოჯახის ცუდ ამბავთა გამო. მაგრამ ყოველივე ამას ვაყვაცურად იტანდა.

ახლა კი მან დაასრულა თავისი შრომით და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. მისი სული “სულთა სირას” შეუერთდა, ხოლო მისი სხეული ფერფლად იქცა. ჩვენ შორის კი მისი სახელი მუდამ დაუვიწყარი დარჩება.

მიხეილ წერეთელი

რუსთველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა

ივანე ლოლაშვილისა

ავტორი იხილავს საკითხს, თუ რომელი ისტორიკოსი თამარისა, პირველი თუ მეორე უნდა იყოს შოთა რუსთველი. დაწვრილებით გამოძიების შემდეგ მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსთველს ეკუთვნის არა მეორე ისტორიკოსის თხზულება, არამედ პირველის — “ისტორიანი და აზმანი შარაევანდეთანი”.

მაგრამ საკვირველია, რომ ბ. ლოლაშვილი არ იხსენიებს პროფ. მიხეილ წერეთლის წერილებს, რომელიც დაბეჭდილი იყო 14 წლის წინად “ბედი ქართლისა”-ში (№ 6, 7, 8 და 9), და სადაც ბ-ნი პროფესორი ამტკიცებდა მრავალი შედარებებით და საბუთებით “ისტორიათა და აზმათა” რუსთველის ავტორობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი

პირველი მსოფლიო ომის დროს

(მასალა ისტორიისათვის)

პირველი მსოფლიო ომის დროს საზღვარ-გარეთ არსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სრული თავგადასავალი დღემდე არავის გამოუქვეყნებია. მისი მოღვაწეობა კი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში, რომ დანაშაული იქნებოდა მისი დავიწყება და სათანადოთ არ აღნიშვნა. ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა მთლიანი სურათი ამ ორგანიზაციის საქმიანობისა მისი ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი წევრის ბ-ნ პროფ. მიხეილ წერეთლის დახმარებით, რომელსაც აქ ქვემოთ ვაქვეყნებთ.

რაც შეეხება გერმანულ ოფიციალურ დოკუმენტებს შესახებ ქართული კომიტეტის დამოკიდებულებისა გერმანიის მთავრობასთან, ჩვენ მას გავაცნობთ მკითხველს ერთ-ერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა შვეიცარიაში, ქ. ენევაში, ომის გამოცხადებისთანავე, 1914 წელს.

პირველი მისი წევრები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძენი და ნესტორ მაღალაშვილი. კომიტეტის თავჯდომარე პეტრე სურგულაძე იყო წევრი იმ დამოუკიდებლობის ჯგუფისა, რომელიც არსებობდა საქართველოში 1909-1910 წელს და რომელშიც შედიოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. მათი ორგანო იყო „ერი“, რომელიც ცეზურისაგან დევნის გამო სხვა და სხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენობის აღდგენას.

1910 წელს ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიდნენ, ამიტომ პეტრე სურგულაძე გადასახლდა ენევაში, სადაც მან განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფის მუშაობა მმ. კერესელიძეებთან ერთად და დააარსა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“. მიხეილ წერეთელი ამ დროს ლონდონში იყო; იგი უკავშირდება ენევაში მომქმედ ქართველთა ჯგუფს და თანამშრომლობს მათ გაზეთში. ხოლო 1911 წლიდან 1914-მდე იგი პაიდელბერგშია და იქიდან განაგრძობს თანამშრომლობას ენევის ჯგუფთან. გიორგი მაჩაბელი კი ბერ

ლინში ცხოვრობს და კავშირშია მიხეილ წერეთელთან და ენევის ჯგუფთან; ომის დაწყების წინ იგი ბელგიაში გადასახლდება.

ომის გამოხადებისათანავე ენევის დამოუკიდებლობის კომიტეტი იჭერს კავშირს გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით ქართველებთან ერთად იმუშავენ მთელ გეგმას კომიტეტის მუშაობისა. ენევიდან ბერლინში გადმოსახლებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი წარუდგება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის საბოლოოდ დასამტკიცებლად. აქ იქმნა დადებული ერთნაირი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის, სადაც იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იყო აღთქმული აგრეთვე ყოველნაირი დახმარება კომიტეტის მუშაობისათვის.

მთავარი მაწარმოებელი ქართული საქმისა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ: მომხსენებელი - მრჩეველი რუდოლფ ნადოლნი, ამავე დროს გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი, და „ლევაციის სეკრეტარი“ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკ, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში და მთავრობასთან მის დაცვაში.

გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტი მიემგზავრება სტამბოლს ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

საინტერესოა, რომ სრულიად დამოუკიდებლად ქართული კომიტეტისა, რომლის წევრი იგი მაშინ არ იყო, გიორგი მაჩაბელსაც ჰქონია შემუშავებული იგივე გეგმა, რომელიც ენევის ჯგუფმა გერმანიის მთავრობას წარუდგინა. ამ გეგმით გ. მაჩაბელი მივიდა ფელდმარშალ ფონ დერ გოლცთან. რომელიც მაშინ დაპყრობილი ბელგიის გუბერნატორი იყო. ფელდმარშალმა აღტაცებით გაიზიარა მაჩაბელის გეგმა და თავისი ავტომობილით გააგზავნა იგი გერმანიაში. გიორგი მაჩაბელმა გაიარა ჰაიდელბერგში მიხეილ წერეთელთან და ორივენი დაუყოვნებლივ გაემგზავრენ ბერლინს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა ივინი მაშინათვე მიიღეს და ვრცელი მოლაპარაკება გამართეს მათთან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან უკვე შემუშავებული და დადგენილი გეგმის განხორციელების შესახებ.

გერმანელების რჩევით გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი გაემგზავრენ კონსტანტინოპოლს და იქ შეხვდნენ პეტრე სურგულაძეს, ლეო და გიორგი კერესელიძეებს და ნესტორ მაღალაშვილს. დამოუკიდებლობის კომიტეტი გაფართოვდა. მას მიემატენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, მელიტონ ქარცივაძე, ზია ბეგ აბაშიძე და შალვა ვარდიძე. შემუშავდა საბოლოოდ კომიტეტის წესდება და მუშაობის გეგმა.

თურქეთის მთავრობამაც აღუთქვა კომიტეტს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა გამარჯვების შემთხვევაში და იგივე დახმარება, რაც გერმანიის მთავრობამ დაჰპირდა.

კომიტეტი შეუდგა მუშაობის გეგმის ფანხორციელებას. უპირველესი ამოცანა იყო ქართული ლეგიონის დაარსება ოსმალეთში, რომლისათვისაც მას ეხმარებოდა გერმანია. კომიტეტს სურდა რუსეთის წინააღმდეგ აშკარა მონაწილეობის მიღება სამხედრო მოქმედებაში. ლეგიონის სამოქმედო ადგილად არჩეულ იქმნა ქანეთი (ლაზისტანი), სახელდობრ, ვიწე, რომელიც ომის გამოცხადების დროს უახლოესი ადგილი იყო ფრონტიდან.

ლეგიონის შედგენის საქმე დაევალოთ ლეო კერესელიძეს და გერმანელ ოფიცერს კიშკეს, რომელიც, ასე ვთქვათ, სამხედრო ატაშე იყო ქართულ კომიტეტთან. ხოლო პოლიტიკურ ატაშედ იყო დანიშნული ბ-ნი მოზელ. ორივენი ბოლომდე დარჩნენ ქართულ კომიტეტთან და მუშაობდნენ მასთან.

ლეო კერესელიძემ სცადა ქართული ლეგიონის შედგენა მაჰმადიან კავკასიელთა ერთად შეყროთ: ქართველთა, ლეკთა და სხვათა, და მცირე ხნის შემდეგ შეიქმნა პატარა რაზმი, დაახლოვებით 70 კაცისაგან შემდგარი და სათანადოდ გაწოთენილი. ეს იყო საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ქართული ლეგიონი.

ჯერ კიდევ ომი არ იყო გამოცხადებული რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ეს ახლად დაარსებული პატარა ქართული ლეგიონი აითვალისწინეს თურქებმა, განსაკუთრებით მათმა პოლიტიკურმა კომისიამ, რომელიც თურქეთის ჯართან იყო და დაეალება ჰქონდა ქართულ კომიტეტთან მუდმივ კონტაქტში ყოფილიყო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზნები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სურდათ სამუსულმანო საქართველოს შეერთება და ამიტომ ეშინოდათ ქართული სამხედრო ძალის შექმნისა, რომელიც შევიდოდა საქართველოში თუ არა, წინ გადაეღობებოდა თურქების ამ მიზანს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ღამეს ვილაც უცნობმა ნავთი გადაასხა და ცეცხლი მოუკიდა იმ სახლს, სადაც კომიტეტის წევრებს და მათთან მივილინებულ გერმანელებს ეძინათ. მათ საბედნიეროდ, მოზელს არ ეძინა, რომელსაც უძილობის ავადმყოფობა ჰქონდა. სწრაფლ წამოვარდა ზეზე, გააღვიძა მძინარე ხალხი და ყველა გადაარჩინა, სახლი კი საძირკველამდის დაიწვა.

ოკტა ხნის შემდეგ გამოცხადდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი. ქანთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად შეიჭრა რუსეთის ტერიტორიაზე, დაიჭირა უმეტესი ნაწილი აჭარისა და წამოიყვანა ტყვეთ ართვინის ოლქის უფროსი და ასზე მეტი ყაზახი.

ქართულ პატარა რაზმს ამ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთი იყო თურქების სურვილი. მათ არ სურდათ, როგორც თქმული იყო, ქართველებს საკუთარი სამხედრო ძალა ჰყოლოდათ და სამხედრო მო-

ქმედება გამოიჩინათ. ეს მდგომარეობა ნათლად გაითვალისწინა ქართულმა კომიტეტმა და სასწრაფოდ გაგზავნა მიხეილ წერეთელი სტამბოლს, რომ გერმანიის საელჩოს ჩარევით თურქებს აესრულებინათ დაპირება: მიეცათ უფლება და შესაძლებლობა ქართული კომიტეტისათვის ლეგიონის შედგენისა.

ჩავიდა თუ არა სტამბოლში, მიხეილ წერეთელმა ინახულა გერმანიის ელჩი ბარონ ფონ ვანგენჰაიმი, გააცნო მას საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება თურქებთან. ამავე დროს ოსმალეთში იმყოფებოდა ფელდმარშალი ფოხ დერ გოლც, დიდი სამხედრო მეცნიერი და პირველი შემქმნელი ევროპიულად გაწრთენილი ოსმალეთის მხედრობისა.

ქართულ კომიტეტის ატაშე კიშკესთან ერთად მ. წერეთელმა სთხოვა აუდიენცია ფელდმარშალს, რომელმაც მართლაც მამაშვილურად და პატივით მიიღო ისინი, — როგორც გადმოგვცემს ბ-ნი პროფესორი, — მან ქართველი კაცი დიდი და ღრმა ყურადღებით მოისმინა და უთხრა შემდეგი: — დარწმუნებული იყავით, რომ თურქებს მე დავეთანხმებ თქვენ შესაძლებლობა მოგეცეთ ქართული ლეგიონის შედგენისა და მოქმედებისა მათ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს არ კმარა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წმიდა პოლიტიკურ მუშაობას და პროპაგანდას ბერლინში, სადაც დღეს, როგორც გავიგე, არც ერთი წევრი თქვენი კომიტეტისა არ იმყოფება. აუცილებელი საჭიროა კომიტეტის ერთი ნაწილის ბერლინში წასვლა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად თქვენი ქვეყნის საქმისათვის მუშაობა. მხოლოდ გაძლევთ ერთ რჩევას: არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავიწყდეთ, რა ბედი ეწვია სომხეთს ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შემოსვლის დროს აჯანყების გამო. თქვენი პრობლემა არის წმიდა პოლიტიკური. არავითარი მნიშვნელობა არ შეუძლია ჰქონდეს ამ უზარმაზარ მსოფლიო კონფლიქტში თქვენ სამხედრო ძალას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა სცნოს პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსი და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისა გერმანიისათვის, და ეს არის ნამდვილი საფუძველი თქვენი პოლიტიკური მუშაობისა და მოქმედებისა გერმანიაში-ო. —

თანახმად ფელდმარშალის რჩევისა კომიტეტის წევრები: მიხეილ წერეთელი და გიორგი კერესელიძე ბერლინში გადასახლდნენ. მათ მიემატა მალე თბილისიდან დაბრუნებული გიორგი მაჩაბელი, რომელიც გაგზავნილი იყო საქართველოში გასაგებად იმისა, თუ რა სულსიკვთება იყო ჩვენში. როგორ უყურებდნენ მსოფლიო კონფლიქტს ქართული პოლიტიკური წრეები, რა შეხედულება და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე. გიორგი მაჩაბელმა საქართველოდან ფრიად საინტერესო და საინტერესო ცნობები ჩამოიტანა. იქ უკვე ხობილი იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობა გერმანიაში და ბევრი ქართველი დიდ იმედებსაც ამყარებდა ამ მუშაობაზე; თვით ის პოლიტიკური პარტიებიც კი, რომელნიც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რად-

განაც ეექვებოდათ გერმანიის გამარჯვება, მტრულად არ უყურებდნენ ბერლინის კომიტეტს. ცნობილია, რაც უთხრა ნოე ჟორდანიამ გიორგი მაჩაბელს — დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ; ჩვენ კი აქ ვიმუშაებთ. ენახოო რა იქნება—ო.

ხოლო ეროვნულ-დემოკრატიულმა ჯგუფმა — დავით ეაჩნაძემ, სპირი-ლონ კელიამ, შალვა ქარუმიძემ, რევაზ გაბაშვილმა და სხვებმა — პირდაპირ სურვილი განაცხადეს კომიტეტთან საიდუმლო თანამშრომლობისა და მასთან კავშირის გაბმისა.

თბილიდან ზურგ-გამაგრებული გიორგი მაჩაბელი ჩავიდა პეტერბურგს, მოაწყო იქ კომიტეტის დამხმარე საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელად დააყენა თავისი ძმა ნიკო მაჩაბელი, შეიფიცა იქვე ვასო ღუმბაძე, რომელიც შემდეგ ხშირად ჩამოდიოდა საიდუმლოდ ბერლინში და უზარმაზარი სამსახური გაუწია ქართულ საქმეს.

პეტერბურგშივე შეხვდა გიორგი მაჩაბელი პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ქართული კომიტეტის დაარსებით და მათი საქმიანობით და სთხოვა გიორგი მაჩაბელს თან წამოეყენა იგი ბერლინში კომიტეტთან სათანამშრომლოდ: — აუარებელი მეგობრები მყავს გერმანიაში და დიდი სარგებლობის მოტანა შემიძლია თქვენთვის—ო. —

რასაკვირველია, გ. მაჩაბელმა თავს არ იდვა ასეთი პასუხისმგებლობა და მხცოვანი პროფესორი არ წამოიყენა. თვითონ კი დაბრუნდა ბერლინს სტოკჰოლმის გზით.

სტოკჰოლმი ვახდა ამის შემდეგ შესახვედრი ადგილი ბერლინის ქართული კომიტეტისა და საქართველოში მომქმედ ძალთა შორის.

ბერლინში კომიტეტის მუშაობა ორ უმთავრეს საქმეზე წარმოებდა: ქართველ ტყვეთა გამოყოფა უზარმაზარი რუსის ტყვეთა ლაგერებიდან და მათთვის ზრუნვა, მეორე — პროპაგანდა გერმანულ საზოგადოებაში და ქართული საკითხის გატანა არა მარტო გერმანულ საზოგადოებაში, არამედ ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო — ბროშურებისა და პრესაში გამოქვეყნებული წერილების საშუალებით და სხვა.

მიხეილ წერეთელს ჰქონდა მინდობილი განსაკუთრებით პროპაგანდის საქმე; გიორგი კერესელიძეს — რედაქტორობა ტყვეებისათვის დაარსებული გაზეთისა, ხოლო გიორგი მაჩაბელს — კომიტეტის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა; როდესაც იგი ბერლინში იყო. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

პროპაგანდის გარდა მიხეილ წერეთელს დავალებული ჰქონდა გერმანიის სამხედრო უწყებისაგან ტყვეების ლაგერთა ნახვა მთელს გერმანიაში და ავსტრიაში და თუ კიდევ სადმე არ იყვნენ ქართველები გამოყოფილნი რუსებისაგან. მათი გამოყვანა და მოწყობა. მ. წერეთელმა დაათვალიერა ყველა ლაგერი,

როგორც ჯარისკაცების, ისე ოფიცრებისა. უმეტესი ნაწილი ქართველებისა უკვე გამოყოფილი იყო და ისინი ცხოვრობდნენ ცალკე ლაგერებში. მათი მდგომარეობა შედარებით სხვა რუსის ტყვეებთან უკეთესი იყო. ხოლო რაც შეეხება მათ პოლიტიკურ განწყობილებას, უნდა ითქვას შემდეგი: უმეტეს ნაწილს არ სწამდა გერმანიის გამარჯვებას. ამიტომ ძნელი იყო მათთვის წინადადების მიცემა ქართულ ლეგიონში ჩაწერისა, თუმცა სრულებით არ იყვნენ განწყობილნი ქართული კომიტეტის წინააღმდეგ. შენიშნა რა ასეთი სულსკვეთება ქართველი ჯარისკაცებისა, მიხეილ წერეთელს არ მიუცია მათთვის წინადადება ლეგიონში შესვლისა. უხსნიდა მათ მხოლოდ ქართული კომიტეტის მუშაობის მნიშვნელობას და საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

ოფიცრთა შორის განწყობილება კი უფრო სხვა იყო. ისინი უმთავრესად განათლებული პატრიოტები იყვნენ და დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული კომიტეტის მიმართ, რომლის მუშაობაზე საუბარს გაბრწყინებული სახით უსმენდნენ. განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ მიხეილ წერეთელს ერთ ლაგერში 4 ოფიცერი და 4 უნტეროფიცერი, რომლებმაც კანაცხადეს, რომ გაგონილი ჰქონდათ ქართული კომიტეტის არსებობა და სურდათ მასთან მუშაობა: ამიტომ განგებ ჩავარდნენ ტყვეთ. ესენი იყვნენ: ელიზბარ კიკნაძე, ლორთქიფანიძე, ოქროპირიძე, ტატიშვილი, წერეთელი, მძინარიშვილი და სხვები (სამწუხაროთ ბ. მიხეილს არ ახსოვს სახელები). ქართულ ლეგიონში ჩაწერის სურვილის განცხადებისთანავე ყველანი გაგზავნილ იქნენ ოსმალეთში, გარდა მძინარიშვილისა, რომელიც კომიტეტმა დატოვა ბერლინში სხვა და სხვა დავალებებისათვის.

აგსტრიის ერთ ლაგერში ქართული კომიტეტის წარმომადგენელს გენერალი შაქრო ბაქრაძე შეხვედრია: საუკეთესო მენდლებით მკერდ-მოჭედილი. შესანიშნავი ვაჟკაცი გულდასმით მისმენდა, ბოლოს ცრემლი გადმოუვარდა და მითხრა: — ოღონდ კი ვანთავისუფლებული საქართველო ვიხილო და ჩემი ცხოვრების მიზანი მიღწეული იქნებაო. — მოგვითხრობს მ. წერეთელი.

გერმანიის მთავრობამ უფლება მიანიჭა ქართულ კომიტეტს შეეკრიბა აგრეთვე ის ქართველები, რომელნიც ვერმანიაში ჩარჩნენ ომის გამოცხადების გამო. ესენი ლაგერებში არ იჯდნენ. არამედ ცხოვრობდნენ სხვა ადგილებში პოლიციის უბრალო ზედამხედველობის ქვეშ. კომიტეტმა თავი მოუყარა მათ და ყველანი ბერლინში ჩაიყვანა. მათ შორის იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ანჯაფარიძე და სხვანი. განთავისუფლება შესთავაზეს აგრეთვე იმ დროს ლაიპციგში მცხოვრებ ლადო დარჩიაშვილს, რომელმაც კომიტეტს უპასუხა შეურაცმყოფელი და გერმანიისადმი ზიზლით აღსავსე წერილით. მოითხოვდა მასთან არავითარი კავშირი არ დაეჭირათ. საერთოდ გერმანელები ანთავისუფლებდნენ ზედა-მხედველობისაგან ყოველ ქართველს. ვინც კანაცხადებდა, რომ ის დეას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და სურს მისთვის მუშაობა.

ქართული საქმის პროპაგანდამ ბერლინში დიდი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს დამოუკიდებლობას აუარებელი თანამგრძნობი გაუჩნდა არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მხედართა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოების სხვა გავლენიან პირთა შორის. რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები საერთაშორისო სამართლისა ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო მუდმივი დამცველი საქართველოს უფლებათა. ხოლო საზოგადოების მდივანი იყო გერმანელი ებრაელი დევის ტრიჩ, დიდი იდეალისტი, სიონისტი, ამავე დროს გერმანიის პარტიოტი, დიდი განათლების კაცი. იგი უდიდეს დახმარებას უწევდა ქართულ საქმეს გერმანიაში. იყო ნიჭიერი მწერალი; თუმცა უმეტეს ნაწილად ებრაულ საკითხებზე სწერდა, მაგრამ ამავე დროს ის იყო დიდი მომხრე და დამცველი ყველა დაჩაგრულ ერთა უფლებათა. დევის ტრიჩს ხშირად უთქვამს ხოლმე ქართველებისათვის: — მე ვარ სიონისტი, რომელიც დიდი ხნიდან მთელ ჩემს ძალას და ღონეს ვწირავ ამ მოძრაობას; ჩემი იდეალია, რომ ებრაელთა ერი გახდეს გლეხთა ერი, პურის მთესველი და მომყვანი თავის უძველეს სამშობლოში. ამით გადაწყდება ებრაელთა საკითხი და ჩვენს ერს მსოფლიოში პატივი და სიმპატიები ექნება-ო. ამით აიხსნება ჩემი თანაგრძნობა და მეგობრობა ყველა დაჩაგრულ ერთა მიმართ, და განსაკუთრებით ქართველებთან, რომლებთან თანამშრომლობა მე ბედმა მარგუნა-ო. —

ბერლინში მუშაობდა ომის დროს შრავალი კომიტეტი არა მარტო რუსეთის, არამედ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ყველა ერებისა. აქ იყვნენ პოლონელები (პილსუდსკის ლეგიონი), მათი კომიტეტის თავმჯდომარე ლემპინსკი; ფინლანდელები, რომელთა კომიტეტი სტოკჰოლმში არსებობდა, ხოლო განყოფილება ბერლინში ჰქონდათ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო დიდად ცნობილი მოღვაწე კონი ცილიაკუს. რომელთან გიორგი დეკანოზიშვილს ჰქონდა საქმე იაპონიის ომის დროს; უკრაინელების კომიტეტი, ბელორუსებისა. ინდოელების, ეგვიპტელების და სხვა და სხვა. ადერბეიჯანელებს და მთიელებს ცალკე კომიტეტები არ ჰყავდათ; ისინი მუშაობდნენ ქართულ კომიტეტთან ერთად.

ჩვენ გერმანელ მეგობართა შორის იყო ბალტიელი ბარონი ფონ დეო რო იმ. რომელიც დიდი მომხრე იყო რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა თავისუფლებისა; მისი ინიციატივით და რჩევით ხშირად იკრიბებოდნენ ერთად რუსეთის დაჩაგრულ ერთა კომიტეტები. რომ განსაზღვრულ მომენტში ერთად გამოსულიყვნენ მთელ მსოფლიოს წინაშე თავიანთ ერების უფლებათა დასაცავად. ერთხელ როპპმა დაიბარა ყველა წარმომადგენლები კომიტეტებისა და მათ შემდეგი წინადადება მისცა: — უნდა გამოიკეს წიგნი, სადაც აღწერილი იქნება დაწვრილებით რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა მდგომარეობა. მათი ტრადიცია. რასაკვირველია, ყველანი დასთანხმდნენ, დაამზადეს მოკლე ისტორია თავიანთ

ერთა და გამოიკა დიდი წიგნი სახელით: „ინობთ თქვენ რუსეთს?“. — გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად.

მთელმა ამ პროპაგანდამ ისეთი გავლენა მოახდინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე, რომ ყველა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს მიეცა წინადადება და შესაძლებლობა წასულიყვნენ ლოზანაში “ერთა კავშირის” მესამე კონგრესზე დასასწრებლად, 1916 წ. კონგრესის მომწვევი იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი, რომელიც პარიზში არსებობდა. ბერლინში მყოფ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებმა: ინდოელებმა, ეგვიპტელებმა, ირლანდიელებმა, ფინლანდიელებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, ქართველებმა და სხვებმა განაცხადეს სურვილი კონგრესზე დასწრებისა, გაემგზავრენ ლოზანაში და წარსდგენ რა კონგრესის ორგანიზატორთა წინაშე, მოითხოვეს კატეგორიულად უფლება დასწრებისა და თავიანთ ეროვნულ მოთხოვნილებათა წარდგენისა. კონგრესის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ..

დაიწყო კონგრესი და ანტანტის მიერ განზრახული დემონსტრაცია ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, გადაიქცა უზარმაზარ დემონსტრაციად თვით ანტანტის დაჩაგრულ ერთა, განსაკუთრებით ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ.

წარმოსთქვეს სიტყვები წარმომადგენლებმა: ინდოეთისა, ირლანდიის, ფინლანდიისა, პოლონეთისა, საქართველოსი და სხვა ერთა. — სიტყვები, რომლებიც წარმომადგენდენ უდიდეს საბრალმდებლო აქტებს. სადაც მხილებულ იყვნენ რუსეთისა და ინგლისის იმპერიები მათ ერთა დამლუპველ და ერთა მოსპობ პოლიტიკაში.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოს წარმომადგენლის მიხეილ წერეთლის სიტყვამ, რომელმაც აღნიშნა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულებანი ვახტანგ მეექვსედან დაწყებული უკანასკნელ დღემდე რუსეთის ბატონობისა საქართველოში. საქართველოს მრავალჯერ განადგურება თურქთა და სპარსთა მიერ რუსეთის პროვოკაციის და მოტყუების შედეგად; ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორეს 1783 წელს შეკრული ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ; აქაც მოტყუება და მით გამოწვეული განადგურება საქართველოსი ალა-მაჰმად-ხანის მიერ და შემდეგ სრული მოსპობა საქართველოს სახელმწიფოსი. მისი დინასტიისა, ეკლესიისა და ყველა ეროვნულ დაწესებულებათა; ქართველთა აჯანყებანი და სისხლში ჩახრჩობა ამ აჯანყებათა გამხეცებული რუსის ჯარების მიერ და ბოლოს გარუსების პოლიტიკა და დევნა ქართული ეროვნებისა მთელი 116 წლის განმავლობაში და სხვა. მოხსენება დასაბუთებული იყო ძლიერად და ღვით რუსული წყაროების მიხედვით მან არამც თუ კონგრესზე დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუს დამსწრეთ ენა ჩაუგდო; რუსის პრესაში ეს ამბავი გამოაქვეყნა ერთმა დამსწრემ, რომელმაც ვერაფრის თქმა არსებითად მ.

წერეთლის მოხსენების წინააღმდეგ ვერ მოახერხა. მხოლოდ ამბობდა :— ლო-
ზანის კონგრესზე ქართველმა მ. წერეთელმა რუსეთი და ყოველი რუსული
ისე უღიერად მოიხსენია, რომ ჩემმა რუსულმა ყურმა ვერ აიტანა ამისი მო-
სმენა და კრება დავსტოვეო...

მიხილ წერეთლის ეს მოხსენება დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ბერლინში,
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ. (დიდი ნაწილი მისი ჩვენ
გამოვაჭვეყნეთ „ბ. ქ.“-ის № 15, გვ. 4, 5, 6).

ქართული ლეგიონი ამასობაში გერმანელების რჩევით და დახმარებით ოს-
მალეთში დაარსდა. იგი იმდენად გაიზარდა, რომ 1.500 კაცს უყრიდა თავს.
ესენი იყვნენ უმეტესად ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმადიანი ქართველები,
აჭარლები, ქობულეთლები, მაგრამ იქ მრავლად იყვნენ აგრეთვე ქართველი
ქრისტიანი მოხალისენი და ქართველი ოფიცრები. უფროსი ლეგიონისა იყო
ლეო კერესელიძე, რომელიც სხვა და სხვა მიზეზთა გამო შესცვალა გრაფ შუ-
ლენბურგმა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ოსმალეთს არ სურდა ქართული ლეგიო-
ნის არსებობა, რომელიც უკვე კარგად გაწრთენილ სამხედრო ძალას წარმო-
ადგენდა და არ აძლევდა მას საშუალებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში
მონაწილეობა მიეღო. ბოლოს, 1916 წლის დამლევს თითქმის ულტიმატუმის
სახით თურქებმა მოსთხოვეს გერმანიის მთავრობას ქართული ლეგიონის და-
შლა. გერმანელებს, რასაკვირველია, არ სურდათ მათ მიერ შედგენილი ლეგი-
ონის მოსპობა, მაგრამ იძულებულნი იყვნენ მოკავშირესათვის ანგარიში გაე-
წიათ და ლეგიონი მართლაც დაშალეს. მხოლოდ ასოც კაცამდე შემოინახა ქარ-
თულმა კომიტეტმა და მათი ოფიცრებით რუმინიაში გადმოიყვანა სხვა და სხვა
სამხედრო დავალებების ასასრულებლად. ეს ნაშთი ლეგიონისა თავისი ფორ-
მით შემდეგ შევიდა განთავისუფლებულ საქართველოში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული კომიტეტის ბერლინისა და ოსმალე-
თის განყოფილებებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. პეტრე სურ-
გულაძე და მელიტონ ქარცივაძე ხშირად ჩამოდიოდნენ ბერლინში, სადაც იმარ-
თებოდა საერთო კრება კომიტეტისა. ერთ ამ კრებაზე გადაწყდა გიორგი მა-
ჩაბელის კვლავ გაგზავნა წყალქვეშა ნავით საქართველოში მდგომარეობის გა-
საცნობად და აგრეთვე ახალი ამბების ჩამოსატანად. მაჩაბელმა თან წაიყ-
ვანა ოფიცერი მძინარიშვილი და რამოდენიმე ქართველი, ერთი ადერ-
ბეიჯანელი და ერთი მთიელი (ვაზავატი). მიუხედავად უმძიმესი პირობებისა
მათ მიღწიეს დასახულ მიზანს: მთიელი და ადერბეიჯანელი ჩავიდნენ თავიანთ
სამშობლოში, ხოლო გიორგი მაჩაბელმა ინახულა ქართველი პოლიტიკური მო-
ღვაწენი, ესაუბრა მათ, გააცნო კომიტეტის მუშაობა. მათგანაც მიიღო საჭირო
ინფორმაცია და ყალბი პასპორტით თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.
იქიდან ვლადივოსტოკზე, ტოკიოზე, ამერიკაზე, ნორვეგიაზე გადაიარა და
ბერლინში დაბრუნდა.

1917 წლის რევოლუციის დასაწყისშივე სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გადაწყვიტა სტოკჰოლმში კონგრესის მოწვევა ომის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ანტანტის სახელმწიფოებმა სოციალისტებს ვიზა არ მისცეს. არც რუსებს გაუგზავნიათ დელეგატები. ხოლო ზოგიერთმა სოციალისტმა, როგორც ბელგიელმა ჰიუსმანსმა და სხვებმა მაინც მოახერხეს სტოკჰოლმში ჩასვლა. გერმანიამ, ავსტრიამ და ბულგარიამ კი სრული დელეგაციები გააგზავნეს. კონგრესი, რასაკვირველია, არ შესდგა. მაგრამ ჩამოსულმა დელეგატებმა მაინც ითათბირეს და შეხვედრების შესახებ წიგნიც კი გამოცეს. მ. წერეთელი და ჯ. მაჩაბელი იმ დროს სტოკჰოლმში იყვნენ და სოციალისტების დელეგაციას საქართველოს შესახებ სათანადო მოხსენებებიც წარუდგინეს. მემორანდუმის გადაცემის დროს ჰიუსმანსმა ჰკითხა მ. წერეთელს — რომელი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებითო? მ. წერეთელმა უპასუხა: — არც სოციალდემოკრატი გახლავართ, არც სოციალისტ-ფედერალისტი, მაგრამ რადგანაც ქართველ სოციალდემოკრატებს და ფედერალისტებს არ შეუძლიათ აქ წარმომადგენლები გამოგზავნონ, ამიტომ მე ქართველმა ნაციონალისტმა დაეწერე ეს მოხსენება ქართული საკითხის შესახებ და გაახლებთ გამოსაქვეყნებლად, თუ ინებებთო. — ჰიუსმანსმა გულიანად გაიცინა და უპასუხა: — ამას მნიშვნელობა არა აქვს, თავი და ბოლო მემორანდუმი, სადაც თქვენი საკითხია გაშუქებული და ამას სიამოვნებით დაებეჭდავო. და მართლაც, მის მიერ გამოცემულ წიგნში ეს მემორანდუმი სრულიად უცვლელად არის დაბეჭდილი.

ამის შემდეგ მ. წერეთელი წარუდგა კერძო სოციალ-დემოკრატთა დელეგაციას და გაუკეთა მოხსენება საქართველოს შესახებ. ბ. დავიძმა წერეთელს იურიდიული საკითხები დაუყენა: — აქვს თუ არა საქართველოს უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებისა და სხვა. კამათი გაგრძელდა და მოსაწყენი შეიქმნა. უცბად ამაღლებული ხმით დელეგაციის თავმჯდომარემ ებერტმა სთქვა: — ამხანაგო დავიდ, აქ სრულიად არ არის საკითხი იურიდიულ წერილმანებზე, არამედ ცოცხალი ერი. დაჩაგრული უცხოელებისაგან მოითხოვს თავის უფლებათა აღდგენას-ო. მერე მიუბრუნდა წერეთელს და უთხრა: — დარწმუნებული იყავით. რომ ჩვენი პარტია ყოველ საშუალებას იხმარს თქვენი უფლებების დასაცავად-ო. — ეს სიტყვები მან მართლაც შეასრულა და როდესაც ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი იდგა, ებერტი გამოვიდა მის უენერგიულეს დამცველად.

ასე გრძელდებოდა კომიტეტის მუშაობა 1917 წ. რუსეთში მომხდარ რევოლუციამდე, რომელიც გამოწვეული იყო უმთავრესად, როგორც ვიცით, რუსეთის მხედრობის გერმანიის მიერ დამარცხებით. ჯარმა ფრონტი მიატოვა. საქართველოს მოაწვა ოსმალეთის ფრონტიდან მოხსნილი ნახევარი მილიონი რუსის ჯარი. ამ საფრთხის წინაშე დამდგარმა ობილისის კომიტეტმა გამოგზავნა

სასწრაფოდ სტოკჰოლმში შალვა ქარუმიძე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად. იქ შეხვდა მას გიორგი მაჩხელი, რომელიც სტოკჰოლმში იმყოფებოდა კომიტეტის მიერ დავალებული პოლიტიკური მისიით; მაჩხელმა დაუყონებლივ გამოიძახა ბერლინიდან მიხეილ წერეთელი და ქარუმიძესთან ერთად გადაწყვიტეს: ეთხოვათ გერმანიის მთავრობისათვის შეველა და დახმარება ასეთ მდგომარეობაში ჩაეარდინლ საქართველოსათვის. გერმანელები მაშინათვე გამოეხმაურენ ქართველების თხოვნას და დაავალეს სტოკჰოლმში მყოფ ადმირალური შტაბის კაპიტანს და ფინანსიურ საქმეთა გამგეს ბარონ ფონ შტიანივასს ქართული კომიტეტის წევრებთან დაკავშირება და სათანადო ზომების მიღება. დადგენილ იქმნა წყალქვეშა ნავის გაგზავნა ზედიზედ მიყოლებული ექსპედიციებით სტამბოლიდან საქართველოში. ექსპედიციის გადასვლის ადგილი საქართველოს ნაპირზე უკვე თბილისში იყო გადაწყვეტილი; ეს უნდა ყოფილიყო მდინარე ჭურიასთან. უნდა გადაეტანათ იარაღი, რამდენსაც კი წყალქვეშა ნავი ზიდავდა; გადაეყვანათ ხალხი, რომელიც დახმარებას გაუწევდა თბილისის კომიტეტს; აგრეთვე საჭირო თანხაც უნდა მიეშველებიათ მისთვის, რომ ამით მას შესძლებოდა მუშაობა. დადგენილი იყო აგრეთვე დრო პირველი წყალქვეშა ნავის მისვლისა საქართველოში, სიგნალები და პაროლი.

შ. ქარუმიძე გაბრუნდა საქართველოში. ხოლო გ. მაჩხელი და მ. წერეთელი ბერლინში, სადაც ამ დროს იმყოფებოდენ პეტრე სურგულაძე და ნესტორ მალალაშვილი. წყალქვეშა ნავით გამგზავრებისა და იარაღის გადატანის საქმე თავს იღვეს მ. წერეთელმა და მ. ქარცივაძემ. ესენი დაუყონებლივ გაემგზავრენ სტამბოლში, თან წაიყვანეს ოფიცერი გვიშინი და კიდევ ორი ქართველი უნტერ-ოფიცერი. გერმანელებმა მოკაზმეს სამხედრო წყალქვეშა ნავი, დატვირთეს იარაღით (ხუთასი რუსის სამხედრო თოფი თავისი ამუხიციით, ხუთასი მაუზერი და სხვა) და მოზრდილი თანხა ჩააბარეს მ. წერეთელს თბილისის კომიტეტისათვის. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ წყალქვეშა ნავი მიადგა საქართველოს ნაპირზე წინასწარ დანიშნულ ადგილს. ამოვიდა თუ არა ღამით წყალქვეშა ნავი სიგნალის მისაცემად. კაპიტანი უცბად შეერთა. არავითარი სიგნალი დანიშნულ ადგილიდან არ მოდიოდა. არამედ რაღაც სინათლეს ამჩნევდენ სამი კილომეტრით ჩრდილოეთით დანიშნულ ადგილისა. ვერ გაიგეს, იყო ეს შეცდომა თუ ღალატი. წერეთელმა და ქარცივაძემ სთხოვეს კაპიტანს გადაესხა ორი კაცი დასაზვერავად და გამოსარკვევად იმ სინათლისა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. დიდი სიფრთხილით გადავიდა ნაპირზე დანიშნულ ადგილს თვითონ მელიტონ ქარცივაძე ერთი გურული უნტერ-ოფიცრით და იქვე შეხვდა დავით მიქელაძეს. რომელმაც უამბო შემდეგი: —

გავიგეთ, რომ ჭურიასთან. სადაც დანიშნული იყო თქვენი გადმოსვლა, რუსის პოსტი იყო აგებული. ამიტომ მოვეწყვეთ თქვენი დამხედურები აქ,

ნიკო ხორავას სახლში. თქვენი ბედი, რომ რუსებს ეძინათ და ამიტომ სინათლე იყო ჩამქრალი, თორემ ჩავარდებოდით პირდაპირ მათ ხელში-ო.

მელიტონი დაბრუნდა დამხვდურების მიერ გამზადებული ნავით, დატვირთეს იარაღი, შიგ ჩასხდენ ყველანი და უვნებლად გადავიდნენ ნაპირზე. ნავმა ვერ დაიტია მთელი იარაღი; ამიტომ გვიშინი დაბრუნდა და უკლებლივ გადმოიტანა დანარჩენიც. როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდა, ყველანი მიადგნენ ნიკო ხორავას სახლს. აქ სიტყვას ვუთმობთ თვით მიხეილ წერეთელს:

შევედით სახლში და მოგვეგება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა. მოგვესალმა, მივესალმეთ და მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წ. ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და თქვა სახარების სიტყვები: აჲ განუტევე მონა შენი, უფალო. რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი... თამარის ქვეყანაში. მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემ ქოხში და თამარის ორდენითაც დამაჯილდოვეს. სიზმარში მგონია ჩემი თავი-ო.

ნიკო ხორავამ თვალის დახამხამებაში მიიღო ზომები იარაღის დამალვისა ტყეში, რის შემდეგ ყველანი ნიკოსთან ერთად შევექცეთ ვახშამს. მალე ისეთი სულისკვეთება შეიქმნა, რომ მოკზაურობის დროს გადატანილი მთელი უბედურება დაგვაიწყდა, თითქო არაფერი მომხდარაო.

ნიკო ხორავა იყო ერთი მოურავთაგანი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც ის ადგილი და მიმდგომი დიდი ტყე (ოხარკალია) ეკუთვნოდა. კომიტეტის წევრები ნიკოსთან მივიდნენ თითქოს ხე-ტყის სავაჭროთ.

მეორე დღეს მ. წერეთელი, მ. ქარცივაძე და დ. მიქელაძე გაემგზავრნენ თბილისს. გზაში სენაკთან შეხვდნენ შალვა ქარუმძის და კალე მისაბიშვილს, რომელნიც ორი უშველებელი კამეჩის ურმით მიდიოდნენ იარაღის წამოსაღებად, რაც მათ კიდევაც აღასრულეს და პატარა რაზმიც შექმნეს ამ იარაღით: საქართველოში. გვიშინი და ორი გურული უნტერ-ოფიცერი გაიგზავნენ სვანეთში და გურიაში, რომ იქ ხალხისათვის გაეცნოთ ქართული საკითხის ვითარება და მომხრეები გაეჩინათ. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, მათ ეს დავალება ჩინებულად შეასრულეს.

მიაღწიეს თუ არა თბილისს. კომიტეტის წევრებმა მაშინათვე ინახულეს დათა ვაჩნაძე და შალვა ქარუმძი და გადასცეს მათ გერმანელებისაგან გამოტანებული ფული თბილისის კომიტეტისათვის. შემდეგ შეხვდნენ ნოე ჟორდანას. რომელმაც განუცხადა შემდეგი: —

ჩვენი უმთავრესი მიზანი დღეს არის ნახევარ მილიონ მოწოლილ რუსთა ბრბოსაგან განთავისუფლება. რის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც ადვილი იქნება. რაც შეიძლება მალე დაბრუნდით ბერლინში და სთხოვეთ გერმანიის მთავრობას გვიშველონ და დაკვიხსნან ამ მდგომარეობიდან-ო.

მეორე დღეს დათა ვაჩნაძის ბინაზე გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრენ: ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორი, მიხეილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, იოსებ გედევანიშვილი და მელიტონ ქარცივაძე. ამ კრებამ განიხილა დაწერილებით მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში და მიიღო გადაწყვეტილება — დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები დაუყონებლივ დაბრუნებულიყვნენ ბერლინში და ეთხოვათ გერმანიისათვის სასწრაფოდ დახმარება.

ამ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როდესაც ამისათვის შესაფერი მომენტი დადგებოდა.

ევგენი გეგეჭკორმა გამოთქვა სურვილი წყალქვეშა ნავით კომიტეტის წევრებთან ერთად ბერლინში წამოსვლისა: — მე იქ თვითონ მოვახსენებ გერმანიის მთავრობას ყველაფერს და აქედან ჩასული კაცის მოხსენებას სულ სხვა შთაბეჭდილება ექმნებაო, გაგიმაგრებთ ზურგს და დაგეხმარებითო. — მაგრამ კომიტეტის წევრებმა არ ურჩიეს ევგენი გეგეჭკორს ასეთ გართულებულ პირობებში საქართველოს დატოვება. ხოლო შემდეგ ფაშოიკვა: — გეგეჭკორი გერმანიაში რომ ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრის დროს როგორც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, თურქები ვერ შესძლებდენ საქართველოს ტერიტორიის დაჭერას.

მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე დაბრუნდნენ ოხარკალიაში. დროც იყო მეორე ექსპედიციის მოსვლისა, რომლის წევრები იარაღით უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში; ხოლო წერეთელი და ქარცივაძე იმავე ნავით დაბრუნდებოდნენ სტამბოლში და იქიდან ბერლინში.

მაგრამ წყალქვეშა ნავს მოუვიდა დიდი მარცხი. სანაპიროდან, რუსის პოსტიდან უფრო მეტი სინათლე გამოდიოდა, ვიდრე იყო ქართველების სიგნალები და წყალქვეშა ნავმა მზვერავები და პაროლის მთქმელნი სწორედ იქ გადასხა. ისინი მიადგნენ რუსის პოსტს, სადაც ეგონათ კომიტეტის წევრების ბინა. იქიდან გამოცვივდნენ რუსის ჯარისკაცები და დაინახეს რა გერმანელები, ასტეხეს სროლა; სროლის ხმამ ოხარკალიამდე მოაღწია. წერეთელი და ქარცივაძე მიხვდნენ, თუ რა მოხდა. ამიტომ მისცეს გაძლიერებული სიგნალები წყალქვეშა ნავს, რომ უკან გაბრუნებულიყო. ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პეტრე სურგულაძე და შალვა ვარდიძე, დაბრუნდა სტამბოლში და უკან წაიღეს ფული და იარაღი, გამოტანებული გერმანიის მთავრობისაგან საქართველოსათვის.

რუსებმა დაიჭირეს ორი გერმანელი და ორი ქართველი და გადასცეს ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს, რომელმაც ისინი ბათუმის ციხეში ვააგზავნა. მთელი ამბავი შემდეგ გაიგეს რუსებმა და ნიკო ხორაავას სახლს, სადაც კომიტეტის წევრები იმყოფებოდნენ, დაბობმევას უპირებდნენ, მაგრამ აეროპლანი გზაში გაფუჭდა და ზღვაში ჩავარდა. ამნაირად მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე იძულებული შეიქმნენ მარშრუტი ეცვალათ, — გამოიქცნენ ფეხით

ტყით და დიდი ვაივაგლახით მიაღწიეს კოკი დადიანის სახლს ნოსირში, საიდანაც ცოტა ხნის დასვენების შემდეგ გაეშურენ თბილისისაკენ. კვლავ ინახულეს პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებმაც ურჩიეს სხვა გზით როგორმე ბერლინში დაბრუნება. ხოლო აკაკი ჩხენკელმა, გაიგო თუ არა ოხარკალაიაში მომხდარი ამბავი, გააგზავნა ბათუმში სპეციალური კაცები, მოაწყობია მათ ციხეში აჯანყება, გააქციეს ორი გერმანელი და ორი ქართველი, ჭურიაში დაჭერილი და დაამალვინეს სოფელში. ჩხენკელს რომ ეს დროზე არ ექმნა, მათ გაგზავნიდნენ სევასტოპოლში, სადაც აუცილებელი სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

რადგანაც სხვა გზა არ იყო, წერეთელმა და ქარცივაძემ გადასწყვიტეს რუსეთსა და ფინლანდიის გზით გადასვლა სკანდინავიაში და იქიდან — ბერლინში. აღიჭურვენ ყალბი პასპორტებით, მრავალი რეკომენდაციებით და გაემგზავრენ ვლადიკავკაზით პეტერბურგს, რომელსაც მიაღწიეს იანვარს 1918 წელს. პეტერბურგში მათ მფარველობდა ნიკო მაჩაბელი, რომელსაც იქ დიდი კავშირები ჰქონდა. მან მოუხერხა წერეთელსა და ქარცივაძეს ავადმყოფობის მოწმობა ერთი გამოჩენილი რუსი ექიმისა და ნორვეგიაში გასამგზავრებელი პასპორტები. მაგრამ მივიდნენ თუ არა ფინლანდიის საღვთაზე, დაინახეს, რომ არავითარი მატარებელი იქიდან არ გადიოდა, რადგან სწორედ ამ დროს მოხდა ფინლანდიაში წითელი რევოლუცია. დიდი ხნის ცდის შემდეგ ფინლანდიის გზაც გაიხსნა. წერეთელი და ქარცივაძე ჩავიდნენ ბალტიის ზღვაზე მდებარე ქ. ბიერნებორგს, სადაც იდგნენ სკანდინავიის გემები რუსეთიდან წამოსული ხალხის წასაყვანად. მაგრამ აქ იმდენი ხალხი უცდიდა გამგზავრებას, რომ რამოდენიმე თვე დასჭირდებოდა წერეთელს და ქარცივაძეს რომელიმე გემზე მოხვედროდნენ. გაიგეს თუ არა, რომ გაყინულ ზღვაზე მარხილებით გადასვლა შეუძლებოდა ალანდიის კუნძულებზე, რომელიც დაჭერილი იყო გერმანელების მიერ, დაბრუნდნენ ბიერნებორგიდან აბოში, იქირავეს მარხილი და სხვებთან ერთად გაყინულ ზღვაზე სამი დღის მოგზაურობის შემდეგ მიაღწიეს ევეკერეს, ალანდიის კუნძულზე. გერმანელებმა, რასაკვირველია, სრული თავისუფლება მისცეს ქართველებს მგზავრობისა და სტოკჰოლმის გზით ისინი დაბრუნდნენ ბერლინში, მარტს, 1918 წ.

მ. წერეთელმა და მ. ქარცივაძემ ველარ ჩამოუსწორეს ბრესტ-ლიტოვსკის კონგრესს; გიორგი მაჩაბელი, რომელიც ნადოლისთან ერთად დაესწრო კონგრესს, არ იქმნა დაშვებული თურქების მიერ, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. თურქებმა განაცხადეს პრეტენზია მთელ სამუსულმანო საქართველოზე და ბათომზე. ხოლო გერმანია უძღური იყო წინააღმდეგობა გაეწია, რადგან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მანდატი ალჭურვილი, კონგრესზე არ იყო.

სასწრაფოდ დაიბარეს მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და უთხრეს:

— ხომ ხედავთ, რა მოხდა ბრესტ-ლიტოვსკში! ჩვენ გვესაჭიროება აუცილებლად სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოსი, ალტურვილი მანდატით, თუ მთელი ერისა არა, მისი უძლიერესი პარტიის მიერ მაინც. მიიღეთ ყველა ზომა ასეთი წარმომადგენლის ჩამოსაყვანად-ო.

ისევე გაემგზავრენ წერეთელი და ქარცივაძე საქართველოში. მიადრწიეს ოდესას, სადაც გერმანელები იდგენ და იქიდან წყალქვეშა ნავით სევასტოპოლს, რომელიც აგრეთვე გერმანელების მიერ იყო დაჭერილი. მაგრამ საქართველოში ჩასვლა მათ აღარ დასჭირდათ, რადგან სევასტოპოლში შეხვდნენ სპირიდონ კედიას, რომელიც ალტურვილი იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მანდატით ევროპაში გასამგზავრებლად პოლიტიკური მისიით. კომიტეტის წევრები სპირიდონ კედიასთან ერთად სასწრაფოდ დაბრუნდნენ ბერლინში და საქართველოს წარმომადგენელი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას.

შემდეგი ამბები უკვე ცნობილია — გერმანელების მიერ ზომების მიღება თურქების შემოტევის გასაჩერებლად, ფონ კრესის შესვლა საქართველოში გერმანული ჯარით და სხვა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აკაკი ჩხენკელი ჩამოდის ბერლინში, როგორც სრულუფლებიანი მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოსი ნიკო ნიკოლაძისა და ზურაბ ავალიშვილის თანხლებით.

დამოუკიდებლობის კომიტეტი დაიშალა და მთელი საქმე და ანგარიში ჩააბარა აკაკი ჩხენკელს, რომელმაც დიდი მადლობა გამოუცხადა კომიტეტის წევრთ და უთხრა: უდიდესი საქმე გაგიკეთებიათ და ჩემთვის კარგი ნიადაგიც მოგიმზადებიათ-ო.

ამის შემდეგაც კომიტეტის ყოფილი წევრები დიდ დახმარებას უწევდნენ აკაკი ჩხენკელს მთელი მისი მოღვაწეობის დროს ბერლინში.

ამით გათავდა ქართული კომიტეტის ამბავი, რომელიც ბევრი ქართველისათვის და უცხოელისათვის, ვინც მას იცნობდა, ერთი მშვენიერი ეპოპეია იყო. ხოლო მტერი და მოშურნე მას დღესაც ავანტურას უწოდებს, რაც მხოლოდ ყოველად შეუგნებელ ადამიანს შეშენის.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დეაწლი და მუშაობა დაუვიწყარი იქნება მომავალ თაობათათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველომ მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ევროპის რეალური დახმარება პირველად მაშინ მიიღო. დასაუღეთი დაეხმარა ქართველ ერს მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად.

კ. ხალია

კველი ქართული წელიწადი

პროფ. კ. კეკელიძის ახლად გამოცემულ კრებულში „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი 1, თბილისი 1956, მოთავსებულია ერთი ფრიად საყურადღებო ნარკვევი: „ძველი ქართული წელიწადი“ (კრებულის გვ. 99-124). ამ გამოკვლევების დედა-აზრი იმით ამოიწურება, რომ კეკელიძის შეხედულებით, ძველი ქართული წელიწადი იწყებოდა 6 აგვისტოს, რომელსაც ერქვა თვე ახალწლისაო. ამავე დროს, თუ ამის მიმდევრად, საქართველოში მიღებული ყოფილა აგრეთვე „ქრისტიანობის დამყარებასთან ერთად“ შემოსული ე. წ. ბიზანტიური წელიწადი სექტემბრის დამდეგს რომ იწყებოდა, და მხოლოდ „მეცხრე საუკუნის დაახლოებით პირველი მეხუთედნიდან“ ჩვენში შემოუღიათ, კეკელიძის რწმუნებით, „მარტის წელიწადი, რომელიც 1 მარტიდან იწყება“-ო (გვ. 121).

სულ მოკლედ ვუპასუხებთ მარტის წლის ვითომცდა მხოლოდ მეცხრე საუკუნეში შემოსულის ამბავს. ამ დებულების დასამტკიცებლად პროფ. კეკელიძე ასახელებს ქართლის მოქცევაში შემონახულს წ. ნინოს ცხოვრებას, რააც, მისი რწმუნით, მეცხრე საუკუნის ძეგლია.

კეკელიძის ამ გამოკვლევაში თუ წ. ნინოს ცხოვრება მოყვანილია მარტის წლის შემოდების დასათარიღებლად (გვ. 122), იმავე ავტორის ქართული ლიტერატურის ისტორიაში (მეორე გამოცემის 1941 წ. პირველი ტომი) იგივე მარტის წელიწადია გამოყენებული წმ. ნინოს ცხოვრების დასათარიღებლად, ე. ი. მარტის წელიწადი რომ ჩვენში შემოვიდა მხოლოდ მეცხრე საუკუნეში, ამის საბუთია მეცხრე საუკუნეშივე შედგენილი წმ. ნინოს ცხოვრებაო და წმ. ნინოს ცხოვრება რომ მეცხრე საუკუნეშია ჩამოყალიბებული, ამის საბუთივეა მეცხრე საუკუნეში შემოღებული მარტის წელიწადიო. აი რასა სწერს ბ. კეკელიძე ზემოდ დასახელებული წიგნის მე-492 გვერდზე: მოქცევა ქართლისა რომ „შედგენილია არა უადრეს მეცხრე საუკუნისა“, ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ „იქ ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში შემოვიდა ჩვენში“-ო. ეს ხომ პირწმინდა „ცირიკულუს ვიციოზუს“ არის და ამდენადვე ყოვლად უხმარი და გაძოუსადეგარი! მერე ამ მარტის წლის ამბავში გაკვირვებას კიდევ ის იწვევს, რომ ქართველებს ის შემოუღიათ მეცხრე საუკუნეში, უკუ-უგდიათ მეთათეში (გვ. 123), სრულიად დაიწვევიათ მეთერთმეტე საუკუნეში (გვ. 123) და, რაღაც ჯადოს ძალით, კვლავ უხმარიათ დავით აღმაშენებელისა და ლაშა გიორგის ისტორიებში (გვ. 122)!

ეხლა დავუბრუნდეთ ექვს აგვისტოს — ახალწლის თვედ გამოცხადებას.

ჯერ თვით სიტყვა „ახალ წლისაჲ“. ბ. კეკელიძე სწერს: „ახალწლისაჲ (თოუე), სახელობითი ბრუნვა — ახალწელი, არის შესატყვისი ირანული ნაეროზ-ისა (ახალი თვე) და თარგმანი სომხური ნაეასარდისა (ახალი წელი)“-ო (გვ. 101). ეს ისე გამოვა, რომ კაცმა სთქვას: ქართული „სიბრძნისმეტყველება“ არის თარგმანი სომხური „ფილოსოფიისა“ იმიტომ, რომ სომხური „ფილოსოფია“ ქართულად სიბრძნის სიყვარულს, ანუ სიბრძნისმეტყველებას ნიშნავსო!!! ნამდვილად კი ნაეასარდი სომხური კი არა, ირანული ტერმინია, ხმარებული აღმოსავლეთის თითქმის ყველა ინდოგერმანული მოდემის ხალხებში და, როგორც იულ. ასფალგი მწერს, ეს სიტყვა, ან უკეთ, ამ სიტყვის ძირი სანსკრიტულშიც მოინახება.

ცხადია, ნაეასარდი, როგორც სხვა თვეთა დიდი ნაწილის სახელები და უამრავი სალიტურალიო და საეკლესიო სახელწოდებანი სომხურს შეუთვისებია ირანულიდან. დასაწყისში იგი აღნიშნავდა, როგორც ეხლა, და როგორც წინათ ყველგან, სადაც კი მიღებული იყო (მას ხმარობდენ მაგ. სოგდიანელები, ხერაზმელები, ნესტორიანები) ან წლის პირველ თვეს, ან არეის, უფრო კი ზაფხულის დასაბამს. მხოლოდ შემდეგში, და ესევე ზედდართვით, იქცა ის სომეხთა შორის ახალწლის შესატყვისად, თუმცა კი დანამდვილებით არავინ იცის, რა მნიშვნელობისაა თვით ტერმინი სარდ, ანუ სარჯ (= წელი?).

გარდა ამისა, თვეთა სახელებს თუ გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რომ სომეხებს, მათ მოსვლისას მცირე აზიაში, ან სულ არ ჰქონიათ თვეთა სახელები, ან დაუკარგავთ ისინი. კავკასიაში კი მათ შეუძენიათ ზოგი ირანელებისაგან, ზოგი ქართველებისაგან: მაგ. მეორე და მესამე თვის სახელწოდებანი: ჰორი (ორი), ნაჰმი (სამი). სომეხებმა თუ ქართველებისაგან ისეხსეს ეს ორი სახელი, თავისთავად ბუნებრივი იქნებოდა, რომ მათ პირველი თვის სახელიც ქართველებისაგან მიეღოთ და არა პირუემოთ, როგორც გვაჯერებს ბ. კეკელიძე.

აწ თვითონ ახალი წელიწადი, ე. ი. აგვისტო, როგორც ქართული წლის პირველი თვე და წლის დასაბამი. ბ. კეკელიძის ნარკვევში ვკითხულობთ: — „სახელწოდება „ახალწლისაჲ“ თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ წელიწადი ამ თვით იწყებოდა; საძიებელია მხოლოდ — რა თვე იყო „ახალწლისაჲ“, რომაული წლის რომელ თვეს უდრიდა ის? ამის გათვალისწინება შესაძლებელია მე-4 მაგალითის დახმარებით“-ო (გვ. 113). ამ მაგალითში, რომელიც მე-104 გვერდზე მოპყავს ბ. კეკელიძეს, შემდეგია ნათქვამი: „იწამნეს წმიდანი მოწამენი აბდონ, სენენ, ქსვისტო, ლაერენტი და ვიპოლიტე უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“, „უწინარეს რეისა დღისა ახალწლისა“, „უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“, „თთუესა ახალწლისასა“.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვანაგრძობს ბ. კეკელიძე: აი, ამ ძეგლში არის აღნიშნული „რომ აბდონ და სენენი, რომელთა ხსენება ჰაგიოლოგიაში 30 ივლისს არის დადებული“ (მარტო 30 ივლისს?!) იწამნეს „უწინარეს სა-

მისა დღისა ახალწლისა“. მაშასადამე, თვე „ახალწლისაჲ“ არის ის რომაული თვე, რომლის „სამ დღის უწინარესი (კალენდები) 30 ივლისის მოდიოდა, ესე იგი, აგვისტო. ესევე უნდა ითქვას ქსენისტოს და ლაერენტის შესახებ (იპოლიტე?!). მათი ხსენება რომაულ-ბიზანტიური პრაქტიკით დადებული 6 და 10 აგვისტოს (მარტო 6 და 10 აგვისტოს?!), რომელთაც უდრის ჩვენი მაგალითის „უწინარეს რვისა — ოთხისა“ დღისა, „იდებით“, რასაკვირველია, გაგამოანგარიშებული. ასე რომ ამ მაგალითის მიხედვით აგვისტოს პირველი ნახევარი ქართულ „ახალწლის“ თვეში მოდის. საძიებელია მხოლოდ „ახალწლის“ დღესასწაული, ან პირველი რიცხვი ამ თვისა, აგვისტოს რომელ რიცხვს უდრიდა. ამ შემთხვევაში გასაღებს გვაძლევს ხელში ნინოს „ცხოვრების“ უძველესი შატბერდულ-ქელიშური ვარიანტი“-ო (გვ. 113-114), და ასკენის ბ. კეკელიძე, და წმ. ნინოს ცხოვრებიდან ვრცლად მოჰყავს ის ეპიზოდი, რომელზედაც ჩვენ უკვე რამოდენიმე წლის წინათ გვქონდა საუბარი (იხ. „ბ. ქ.“ 10, 1951, გვ. 19-23¹⁾). ვინაიდან ამ ეპიზოდის თანახმად არმაზის დაღწეა მოხდა 6 აგვისტოს, აქედან გამომდის, რომ ქართველებიც მათი მთავარი ღმერთის დღესასწაულს ზეიმობდნენ მსგავსად სპარსელებისა და სომხებისა, იმ დროს, როცა იბერთა ახალი წელიწადი დგებოდაო, ე. ი. ექვს აგვისტოს და ამით მტკიცდება, რომ ქართველების ახალი წელიწადი იწყებოდა ექვს აგვისტოსაო. რა არის მთელს ამ მსჯელობაში დასაჯერებელი? სამწუხაროთ, ბევრი არაფერი, რადგან ბ. კეკელიძე უცნობს უცნობით ასაბუთებს.

წმ. ნინოს ცხოვრების ეპიზოდში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ იქ აღწერილი დღესასწაული იყო ახალწლის დღეობა და ზეიმი. პირიქით, ჩვენ ენლა კარგად ვიცით, რომ არმაზი იყო მთვარის ღმერთი და მის დღეობას იხდიდნენ აგვისტოს თვეში მთვარის სათაყვანოდ. ქართველებს რომ სპარსელებისა და სომხების წაბაძვით ედღესასწაულათ მათი ახალი წელიწადი, ამ ზეიმს ისინი გადაიხდიდნენ, რა თქმა უნდა, სპარსელებთან ერთად, ესე იგი, გაზაფხულის ბუნიობად — დღე და ღამის გასწორებისას, როდესაც მოდიოდა, როგორც ცნობილია მათი ახალწელი. განა ბ. კეკელიძევე არ სწერს მის ქართული ლიტერატურის ისტორიაში (ტომი პირველი, 1941 წ. გვ. 474): „მაზდენათა ახალი წელი ნავროზობა დადებული იყო გაზაფხულის დამდეგს, ეს გრძელდებოდა 22 მარტიდან 28-მდე“-ო.

თავისი დებულების დასამტკიცებლად ბ. კეკელიძე გვითითებს აგრეთვე მეზობელ ერთა ჩვეულებაზე: „დაახლოებით აგვისტოშივე მოდიოდა სხვა მეზობელ (ხაზი ყველგან ჩვენია) ერთა ახალი წალიწადი: ალექსანდრიული (ალბათ ეგვიპტის ალექსანდრიისა არის ნაგულისხმბევი!! „... მესორი“ 29 აგვისტოს, სომხური ნავასარდი, იოანე დიაკონის რეფორმის შემდეგ, 1! აგვის-

1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კეკელიძის ეს გამოკვლევა პირველად დაიბეჭდა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომებში, XVIII, 1941 წ.

ტოს“-ო (გვ. 116). ალექსანდრელთა ჩვეულება, რაც მთლად სწორიც არ არის, მან გამოიყენოს საყრდენათ, ვისაც ალექსანდრია მცხეთის მეზობელ ქალაქად ეჩვენება. რაც შეეხება იოანე დიაკონის რეფორმას, ამას ადგილი ჰქონდა 1084 წელს, მაშასადამე, **მეთერთმეტე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ**. ამ ისტორიითაც იმას შეუძლია ისარგებლოს, ვისაც სჯერა, რომ მეთერთმეტე საუკუნეში შემოღებულ კალენდარს რაიმე ღირებულება ენიჭება წმ. ნინოს დროის ახალწლისათვის. აქვე დაუშვებთ, რომ სომხების ეს ახალი წელიც პირვანდელი ნავასარდის, რაც მეექვსე საუკუნეში ქ. შ. **თერთმეტ ველისით იწყებოდა**, შემდგომ გამოანგარიშებაზეა დამყარებული და ამის შედეგად სრულიად შემთხვევითი მოვლენა და არა რაიმე საფუძვლიანობის მქონე.

დაგვიჩა ზემოდ ნახსენები წმიდათა დღესასწაული. წმიდათა მოქალაქეობის აღწერას, ეჭვი არ უნდა, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ის სანდო, ისტორიული წყაროა და ყოველივე მისი მონაცემი ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ამგვარი რამე კი ზემოდ დასახელებულ მარტვილთა არც ერთ ცხოვრებაზე არ ითქმის. მათი შინაარსი უფრო ზღაპრულია, ვიდრე ისტორიული. ამასთან ერთად ისიც ხდება ხოლმე, რომ ასეთი ცხოვრების შედგენისას თუ თარგმნისას, თვითელი ავტორი მას უფარდებს საკუთარი ეკლესიის მოთხოვნილებას და ჩვეულებას და სრულიადაც არ უწყევს ანგარიშს ძეგლში შემონახულ ცნობებს.

ესეც რომ არ იყოს, თავისთავად არც ამ მარტვილთა სახსენებელია **ისე გასაგები და ასახსნელი**, როგორც ბ. კეკელიძე ფიქრობს. საქმე იმაშია, რომ აქ ჩამოთვლილი, და მარტოდ მარტო **აქ ერთად ჩამოთვლილი ხუთივე წმიდანის წამება ერთადვე დადებულია**, მაგალითად, ტერ ისრაელის სომხურ სენაქსარში თერთმეტ აგვისტოს, ესე იგი, სომხების ნავასარდი — **ახალწლის პირველ დღეს** (იხ. პატროლოგია ორიენტალის, 5. 1910. გვ. 357-361). ამისდა მიხედვით, ეს მარტვილობანი თუ სომხურიდან არიან ნათარგმნი, „ახალწლით“ მთარგმნელი გულისხმობს, რასაკვირველია, ორიგინალის, ანუ დედნის ახალწელს.

ხოლო როდესაც ეს ძეგლები ქართულად ითარგმნებოდა — მეთერთმეტე საუკუნეზე გაცილებით ადრე — სომხების „ახალი წელი“ თავსდებოდა ან ივლისის წლის, ან მარტის წლის ფარგლებში. ეს უკანასკნელი კი **საერთო იყო** მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის, და მით საქართველოსათვისაც. ამის ცხადობა საბუთია მოქცევაჲ ქართლისაჲ და მერვე საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ამის შედეგად ქართველ მთარგმნელს სრული გულ-დაჯერებით შეეძლო წინამდებარე ნავასარდი, ან მისი მსგავსი რამ, „ახალწლად“ გადმოელო აქ ერთი რამ არის კიდევ საფიქრებელი: შეიძლება, ორიგინალი შეიცავდა ბიზანტიურ წელთაღრიცხვას, რაიც მარტო გადმოქართულდება თუ მოითხოვდა, რაკი ბიზანტიელების სექტემბრის წელიწადი იმ დროს ჩვენშიც იყო გავრცელებული.

ასე სანაკვო საკითხს ისიც ზედ ერთვის. რომ ამ ხუთი წმიდანის ხსენება

ბიზანტიურ-რომაულ, სირიულ-სომხურ წყაროებში დადებულია არა მარტო იელის-აგვისტოს, არამედ სხვა თვეებშიც. იგი ეფინება თითქმის მთელს წელიწადს და გადაჭიმულია თებერელიდან საქტემბრამდის. ამ სახით მათი წამებისა თუ დღეობისათვის განკუთვნილია რიგ-რიგად: 2 თებერვალი, 24 და 31 მარტი, 14 აპრილი, 3,30 იელისი, 1, 6, 10, 11, 13 აგვისტო, 5 სექტემბერი. ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთ საექვო თარიღის ძეგლებზე დაყრდნობას, ან მათ გამოყენებას რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად?!

ჩვენ ზემოდ ვთქვით, რომ ქრისტიანობის გამტკიცების დროს ქართველთა შორის მთელი მახლობელი აღმოსავლეთი, ესე იგი, ქართველების **ნამდვილი მეზობელი** ერები, როგორც სირიელები, კაბადოკიელები, სომხები. ირანელები (და თვითონ რომაელებიც იულიოს კეისრამდე), მცირეოდენი მერყეობით, ხმარობდნენ მარტის წელს. ამ ქეშმარიტებას ვერ უარყოფს ვერც ბ. კეკელიძე, ვისი სიტყვებიც უკვე ზემოთ მოვიყვანეთ ირანელთა შესახებ. საოცარი კია, რომ თავის გამოკვლევაში ბ. კეკელიძე კრინტსაც არ სძრავს ამ ცენტრალურ მნიშვნელობის საკითხზე?!

ესლა ვიკითხოთ: განა შეეძლოთ ქართველებს სხვა მეზობლებს გამოჰყოფოდნენ და საკუთარი წელთაღრიცხვა შეემუშაებინათ? ამის მსგავსი რამ საფიქრებელი იქმნებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: ქართველებს რომ ეცხოვრათ განცალკევებულად და მოწყვეტილნი ყოფილიყვნენ სხვა ერებს. ისტორიიდან კი ვიცი, რომ სინამდვილე სულ სხვა იყო. სტრაბონი და პლინიუსი გვაუწყებენ, რომ რიონის და მტკვარის დაბლობი ერთ უშველებელ ხიდს წარმოადგენდა, რომელზედაც ვაჭარა და სოფელგართა სიმრავლე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ უწყვეტივ საქონელს მიმოეზიდებოდა. ასე შორს მავალი ვაჭარი კი არაფერს ისე მაღლა არ აფასებს, როგორც დღისა, თვისა და წლის სიზუსტეს. გარკვეულობას და **ერთიანობას**.

საბოლოოდ, ქართველებს რომ აგვისტოს თვე ჰქონოდათ წლის დაძდეგად მიღებული, წარმოუდგენელია, რომ ქართულს ისტორიულსა და ლიტერატურულ ძეგლებს ამისი ნაკვალევი და ნიშანწყალი არ შერჩენოდეს! სინამდვილეში კი რას ვხედავთ? ამ ძეგლებში ცხადად აღნიშნულია. მარტის წელთან ერთად, რომაელების პირველი იანვარი და ბიზანტიელების პირველი სექტემბერი, როგორც წლის თავი; არსად კი აგვისტოს წელიწადი. საამისო არგუმენტებს თვითონ ბ. კეკელიძე გვაწვდის მისი ნარკვევის მე-123 გვერდზე. აქ სექტემბრის წლისათვის დამოწმებულია იოანე ზოსიმეს კალენდარი მეათე საუკუნისა და იმავე საუკუნის ხელნაწერი № 65 (ნ. მარჩიო): სინას მთისა. სექტემბრის წელსვე გვიჩვენებს იერუსალიმის კანონარის ხელნაწერი № 3, რომელიც ინახება პარიზის საჯარო ბიბლიოთეკაში, და რომელიც სხვა კანონარის ტექსტებთან ერთად მალე გამოიცემა ქ. ლოვანიის უნივერსიტეტში. აქ

პირველი სექტემბრის წესი და განგება, მისი დასდებლებით და საკითხავებით, უკლებლივ განკუთვნილია ამ დღეობისათვის, ე. ი. „წელიწადის გვირგვინისათვის“ (იხ. ხელნაწ. ფურც. 274 vb).

ამავე კანონარში გვხვდება ჩვენ იანვრის წელიც. პირველი იანვრის განგება იწყება აქ სიტყვებით: „წელიწადის თავი“ (ფურც. 379 vb). იგივე წელი წარმოდგენილია მიქელ მოდრეკილის იადგარში და მისი კვალი ემჩნევა ასევე იოანე ზოსიმეს კალენდარსაც. აბუსერიძე ტბელიც, ვინც „ასურული კვიკლოსის“ განმარტებაც კი დასწერა 1233 წელს, იცნობს და ასახელებს მარტო ორ სამოქალაქო წლის თავს: სექტემბრისა და იანვრის დადგომას. აგვისტოს წელს კი არაინ არ იცნობს და არაინ არ ასახელებს გარდა პროფესორ კეკელიძისა.

დასასრულ ერთი მითითება. რამოდენიმე ლიტურგიული ხელნაწერი, რომელთა საკითხავები საწელიწდო დღესასწაულთა წესსა და რიგს ზუსტი თანამიმდევრობით ამჟღავნებს, იწყება არა შობის დღით, როგორც ყველგან, არამედ ხარებით, ე. ი. მარტის 25-ით. საკითხავთა განლაგებას მისდევს მაგალითად, ოთხი უძველესი ქართული ხელნაწერი: № 95 საეკლესიო მუზეუმისა თბილისში, № 54 სინას მთისა (მარრის კატალოგით), № 11 ივირონისა (ბლეიკის კატალ.) და რაც უფრო ჩამაფიქრებელია, ყველაზე ძველი დათარიღებული ქართული ხელნაწერი, 864 წლის მრავალთავი სინაჲს მთისა: № 32 + 57 + 33 (პროფ. გარიტის კატალ.). ვინაიდან ეს ორი უკანასკნელი ხელნაწერი მაინც სათავეს ტაო-კლარჯეთში ღებულობს და მით გრიგოლ ხანძთელის სალიტურლიო პრაქტიკიდან გამოდის, აქედან თითქმის უეჭველად ვლინდება, რომ ლიტურგიული წლის აღება ხარების დღესასწაულით შორეულ გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს თვითონ მარტის წლის არსებობისას ძველ საქართველოში. რაც არ უნდა იყოს, წარმართ ქართველთა მარტის წელი განუყრელი თანამავალია ახლო აღმოსავლეთისა და რომის მაშინდელი პრაქტიკისა. ამისდა მიხედვით, ვინც ერთს უარყოფს, იგი იძულებული ხდება მეორეც უკუაგდოს.

† მ. თარხნიშვილი

რომი, 1957.

შენიშვნები

შოთა კუპ(ა)რი, ჰერეთის ერისთავი

შოთა ჰერეთის ერისთავი რამოდენიმეჯერ არის ნახსენები ჟამთა-აღმწერელის მიერ: რუსუდან მეფემ წარავლინა მოციქულად თათართა წინაშე შანშე და ავაგ მხარგრძელები, ვარამ (გაგელი), და „ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უკმობდეს“. რუსუდანს სურდა, რომ მისი ძე დავითი მიენდოთ და მიეცათ მისთვის „სიმტკიცე უვნებლობისა“ („ქ. ც.“, გამოცემა ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. 2, გვ. 192).

იმერეთითგან გადმოსრულ დავითს წინა მიგებენ შანშე და ავაგ მხარგრძელები, ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, ქართლის ერისთავი. სამცხის სპასალარი ყვარყვარე ციხისჯვარელი, და მათ შორის „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ ჰერეთის ერისთავი. შოთა კუპარი. მეფე რუსუდანმა იმერეთითგან თან იახლა „ყოველნი მთავარნი ლიხთ-იმერნი, — დადიანი ცოტნე, კაცი პატივოსანი და სათნოებიანი, და სხვანი. ეს დიდი დელეგაცია ეახლა თათრის ნოინებს (იქვე, გვ. 195).

იგივე შოთა მონაწილეა კოხტის-თავის შეთქმულებისა: „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტის თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან (ბაკურციხელი), ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე (ციხის-ჯვარელი), კუპარი შოთა... სარკის თმოგველი და სხვანი...“ „და ყოველნი იტყოდეს...“ „შეკრბეთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართა“-ო, (და) „დაამტკიცეს ომი“ (იქვე, გვ. 215).

საკვირველ შთაბეჭდილებას ტოვებს დაკვირვებულ მკითხველზედ ეს ადგილები ჟამთა-აღმწერელის თხზულებისა: თუ შოთა ჰერეთის ერისთავი მხოლოდ კუპრივით სიშაეისათვის (ერთი ვარიანტით: „შაეისა ფერობისათვის“) იყო ცნობილი, ან და, პ. ინგოროყვას აზრით. იგი იყო მანის ორდენის (ფერის) წევრი, ე. ი. ურწმუნო (კუპარი) მანიქეველი, როგორ უნდა აღესრულებია მას დიდი როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში? როგორ ენდობოდენ მას კოხტის თავის შეთქმულნი, განსაკუთრებით დიდი ცოტნე დადიანი? როგორ იქმნებოდა იგი წევრი საქართველოს დიდ წარჩინებულთა კრებულისა. რომელიც იმერეთითგან გადმოსრულ უფლისწულს მიეგება. და მერმე რუსუდან მეფის მიერ თათართა ნოინთა წინაშე წარგზავნილი დიდი დელეგაციისა, მხარგრძელებთან, ციხისჯვარელთან, გრიგოლ სურამელთან და შეუღარებელ ცოტნე დადიანთან ერთად? ამისათვის ხომ მარტო ჰერეთის ერისთავობა

არ იქმნებოდა საკმარისი? ჰერეთის ერისთაობისათვის ხომ არ გაურევდენ დიდ საპასუხისმგებლო საქმეებში საქართველოს დიდი სახელმწიფო კაცები ამ ყოვლად უღირსს, „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელს“? ეს ძნელი დასაჯერებელია, და ამიტომ ჩვენთვის უეჭველია, რომ წარყენილ ადგილებთან ტექსტისა უნდა გვექონდეს საქმე: ჟამთა-აღმწერელის ნამდვილ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა „მანისი, მანისა, ან შავისა ფერობისათვის უკმობდეს კუპრობით“, არამედ „ტანისა ფერობისათვის უკმობდეს კუპრობით“, რაიცა ნიშნავს: „ტანის მსგავსებისათვის უკმობდენ კუპრობით — კუპარობით, ე. ი. კვიპაროსად“ (საბა: კუპროა = კვიპაროზი). დიად, შოთა ჰერეთის ერისთავი „კვიპაროზივით შევნიერი ტანის კაცი ყოფილა და მას „კუპარს“, „კვიპაროზს“ ეძახდენ (მაგონდება ჩემ დროსაც ასეთი ტანადობის ქართველები: კოწია ერისთავი, კიწი ფალავა და სხვა ბევრი), — და არც „კუპროვით შავი“ და არც „ურწმუნო, წვერი მანის ორდენისა“ —

აგრეთვე „არარათა“ კი არა, არამედ [პაპ]ა-მამათა“ უნდა ყოფილიყო ჟამთა-აღმწერელის ტექსტში: „პაპა-მამათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ ყოფილა შოთა ჰერეთის ერისთავი, და ამიტომაც იყო იგი დიდ საქმეთა მონაწილე, როგორც ამას აღნიშნავს ისტორიკოსი.

“ისტორიათა და აზმათა“ რაოდენიმე ადგილისათვის

ქ. ტ. ტ. 2., გვ. 9, ერთი ადგილი ასეა აღდგენილი:

„და კვალად შემოქცეულთა იხილეს სიმრავლე... სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეული (ვარ. აღრიცხვად შეუძლებელთა). (ყოცხალთა უამრავთა (ვარ. ცეცხლითა უამრებსა) თანა იხილეს ოთხთა მკვდართა მიერ აპყრობა კელისა. რომელი რქუა ათასის და ათასთა ესრე სახედ მგებარეთადა ქმნა, რათა იწყეს შეკრება ორმოთა (ვარ. ომთა) ზედა“.

კეკელიძე აღადგენს უკანასკნელ წინადადებას: „ყოცხალთა უამრავთა თანა იხილეს ოთხთა მკვდართა მიმართ აპყრობაჲ კელისაჲ, რომლისა ქმნაჲ ჰრქუეს ათასისასადა ათასთა. ესრე სახედ მგებარეთადა, რომელთა იწყეს შეკრებაჲ ორმოთა ზედა“ (შეად. ვახტ.). —

— ვერავითარ ნათელ აზრს მკითხველი აქეთგან ვერ გამოიტანს. ცხადია, ეს ადგილი ტექსტისა წარყენილია და მას სხვანაირი აღდგენა უნდა. ჩვენი წინადადება აღდგენისა შემდეგია: „და კვალად შემოქცეულთა იხილეს სიმრავლე... სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა აღრიცხვად (ანუ: აღსარიცხად) [შეუძლებელთა]. გარდარეულისა ცეცხლისა აღმურებასა (ანუ ელვარებასა) თანა იხილეს ოთხმეზღურთა მიერ აპყრობა კელისა, რომელი ჰრქვიან ათასისა და ათასისა [თვის] (ანუ [-და] ესრე სახედ მგებრობისა ქმნასა, რათა იწყეს შეკრება [სადგ]ომთა ზედა“.

ასეთი აღდგენით ტექსტისა აზრი ნათელი ხდება: გიორგი (III.) მეფემ ანისთან მტერი დაამარცხა და დევნა უყო. ამასობაში მზე ჩავიდა და დაბნელდა. მდევნელნი უკან დაბრუნდნენ და იხილეს უამრავი სიმდიდრე. მტრისგან დატოვებული, და ამასთანავე დიდი ცეცხლის ელვარება (მათთვის ნიშანი) და ოთხმეზღურთაგან (შეიძლება ბერძ. ჰოლუ მესტორ, ანუ მისტორ = გზის მრჩეველი, მაჩვენებელი) შველა. ასე ჰქვიან ათასობით კაცთათვის (მხედართათვის) ისე მიგებების ქმნას, რომ ივინი შეკრბენ მათ სადგომებზედ.

ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთა უხუცესი

ქ. ც., II., გვ. 30-31 („ისტორიანი და აზმანი“) აღდგენილია ტექსტი, რომელიც ყუთლუ-არსლანის ამბავს მოგვითხრობს, შემდეგნაირად: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა. ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა“... ეს აღგილი „ისტორიათა და აზმათა“ ყველაზედ უფრო წარყენილია და მის სწორად გაგებას ვერ შევლის ვარიანტები აღმადგენელთა: „ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან“, „ჯორის სახთანყოფელმან“, „სპარსთაგანისსა“, „სპარსთაგანისამან“ და სხვ. —

ჩვენი აზრით აქ არც „ცხვარი“, არც „ჯორი“ და არც „სპარსთა“, არამედ ტექსტს სხნავაირად უნდა აღდგენა. ჩვენი წინადადება: „ყუთლუ-არსლან [მეჭურჭლეთა უხუცესმან], [უ]ცხო [გ]უარისა სამსჯავროსა [პატრონსა ზედა] საცნაურ-მყოფელმან, ვერ მიმცემან ბრჭობაჲა გონებისა. [იკმია] მზაკუარება და თქუა, მომღებელმან წესსა რასამე საქმეთა განგებისასა: [ვ]ითხოვო [თ] კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა“ და შემდგ.

ახალ ქართულად: „ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთა უხუცესმა, რომელმაც პატრონზედ (მეფეზედ) უცხო-გვარის სამსჯავრო განაცხადა. რომელმაც გონება ვერ მისცა საქმის გასინჯვას, მზაკუარება იკმარა და თქვა. გამოიღო რა რალაც წესი საქმეთა განგებისა: ვითხოვოთ კარავის დადგმა ისანის ველზედ და სალოდებლის მიდამოში“ და შემდგ. —

კიდევ ბევრი რამ არის შესასწორებელი „ქ. ც.“ ახლად გამოცემულ ტექსტში (განსაკუთრებით „ისტორიათა და აზმათა“ და „ჟამთა აღმწერელის“ ტექსტებში). მაგ. „ქ. ც.“, გვ. 72 წერია: შანქორის ომში გამარჯვების შემდეგ ზეიმის დროს „ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღაღადება მღდელთა ადონაჲსადმი (კეკელიძის მიერ აღდგენილი): უფალო საბაოთ ძალაჲსა“. ასეთი აღდგენა ამ ადგილისა ჩვენი აზრით შემცდარია. არავითარი „ადონაჲ“ აქ არ არის. არამედ ტექსტში უნდა ყოფილიყო: „ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღაღადება მღდელთა: „ღიდება უკუნისამდე უფალსა საბაოთ-ძალთასა“. —

იქვე, გვ. 16. გიორგი (III.) მეფის დასახასიათებლად წერია: „... ხუ უკვე და ჰნიელ მსგავსი მლასოსა, ფერკთა წყალ-მცენარისა“... კეკელიძის მიერ აღდგენილი: „ხუ უკვე და დანიელისა მსგავსი მალლისა (?), ფერკთა წყალ-მდინარითა“ და სხვ.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ეს ადგილი აღდგენილ იქმნეს: „ხუ უკვე და ჰუნისა მსგავსი [ქმნა] პილასოსა. ფერკითა წყაროსა აღმო]მცენარისა“ ანუ „ფერკითა წყალ-მცენარისა“; ესეც შეიძლება სწორი იყოს).

ცხადია, გიორგი მიმსგავსებული იყო პერსეუმის ფრაზისან ცხენს პეგასოსს, „წყაროს ცხენს“. რომელმაც ფერკის დაკრებით მთა ჰელიკონზედ წყარო გამოადინა „ჰიპპოკრენე“. და სხვ. და სხვ.

„მეხურნი“

მიქელ მოდრეკილი, მეთე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, შემდგენელი ჰიმნების დიდი კრებულისა, ამბობს: „მე გლახაკმან მიქელ მოდრეკილმან ვილუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩვენე და შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, სისწორითა კილოსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“. —

მეორე ადგილას იგი ამბობს: „მე გლახაკმან მიქაელ მოდრეკილმან... ვილუაწე და ფრადითა გულსმოდგინედ ძიებითა შეეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა“.

ასე გადმოგვცემს ამ ტექსტებს კ. კეკელიძე თვისი „ლიტ. ისტ.“-ის მეორე გამოცემაში („ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, 1954, ტ. I. გვ. 187).

სიტყვა „მეხური“ პირველად ზოგს „სომხური“ ეგონა, ან და „მესხური“, რაიცა ყოველ საფუძველს და აზრს არის მოკლებული. კ. კეკელიძემ თვისი „ლიტ. ისტ.“-ის გამოცემაში „მეხური“ დაუკავშირა ბერძულ „ეხოს“ (ახალი გამოთქმით „იხოს“) — „ბგერა“. „ტონი“, „ხმა... რაიჲაც მან ნამდვილი ვერ ცნა, თუმცა იგრძნო იგი. მეორე გამოცემაში თვისი შრომისა „მეხური“ მას მიაჩნია კილოდ საგალობელისა, და მეხურნი საგალობელნი ისეთ ჰიმნებად. რომლებიც ვალობით შესრულდებიან და მათ ხშირად ნიშნები ან ნოტები აქვსთ დარხოულნი (გვ. 189).

ესე ყოველი მართალია, მაგრამ სიტყვა „მეხურის“ ნამდვილი და სწორი მნიშვნელობა ამით არ არის ნაჩვენები. მიქაელ მოდრეკილის ნათქვამის სწორად გაგება შეიძლება მხოლოდ, თუ ვიცით ეტიმოლოგია სიტყვის „მეხურისა“ და თუ ერთგან მძიმე თავის ადგილს დაისმის. არ არის სწორი: „რომელნი ვპოენ

ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“, რათგანაც წიხა-დადება „ვპოენ ენითა ქართველთაჲთა“ უცნაური რამ არის, არაძედ სწორია: „რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი*“, ბერძულნი და ქართულნი“, რაიცა ნიშნავს: „რომლებიც ვპოე ქართულ ენაზედ თქმული (ნაგალობევი, საგალობელი), ბერძნული და ქართული“, ე. ი. ბერძნულ და ქართულ ჰიმნებს ქართულად რომ ვალობდენ-ო. — ეს არის ნამდვილი მნიშვნელობა „მეხურისა“.

„მეხური“ ნაწარმოებია „ხმ“-ისაგან, „ხმ“-ევი-ისაგან (უფრო სწორია „კმ“-ევ-ა), რაიც ნიშნავს „თქმას“, „რეციტაციას“, „დეკლამაციას“, და მიქაელ მოდრეკელის ტექსტში „გალობასაც“. „ხ“-ევ-ა — „ხმ“-ევ-ა — „კმ“-ევ-ა „ვეფხის ტყაოსნის“ ორ ჩანართშიც გვხვდება: 1. „მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხ-ევ-ა“ = დიალ აგრეთვე მელექსეს (გამოსცდის) გრძელ ლექსთა გამოთქმა (შეთხზვა) და თქმა (დეკლამაცია), სადაც ხ-ევ-ა — კმ-ევ-ა (ინგოროყვა, „ვ.ტ“-ი, 13,3). გადამწერლებს და რედაქტორებს „ვ.ტ“-ისა „ხ“-ევ-ა რომ ვერ გაუგიათ და დიალ მისი „და-ხ-ევ“-ის მნიშვნელობით და უაზრობად რომ მოჩვენებით, შეუსწორებიათ ტაეპი: „მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტბილთა ფრქვევა“დ. (იხ. აბ. „ვ.ტ.-ი გვ 191). —

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მთელი სტროფი (ინგ. 13); „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, — არ მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“ (მეოთხე ტაეპის „რა“ შეცდომაა გადამწერელთა, უნდა იყოს „არ“ ([რომ] არ) ძველის - ძველი შედარება:

CORNELIUS TACITUS, *Dialogus de oratoribus*, 39,25: (NAM) QUO MODO NOBILIS EQUOS CURSUS ET SPATIA PROBANT, SIC EST ALIQUIS ORATORUM CAMPUS, PER QUEM NISI LIBERI ET SOLUTI FERANTUR, DEBILITATUR AC FRANGITUR ELOQUENTIA —

“(რათგან) რაგვარადაც კეთილი ჯიშის ცხენებს რბევა და მანძილი გამოსცდიან, აგრევე მჭევრმეტყველთათვის (ორატორთათვის) არის ერთგვარი მოედანი, რომელიც მათ თავისუფლად და შეუზოკავად უნდა გაიზიზინონ. რომ არ შესუსტდეს და არ დაბრკოლდეს მჭევრ-მეტყველება“. — აქ მხოლოდ მელექსეთა ნაცვლად მჭევრ-მეტყველებაზედ არის საუბარი. —

აგრეთვე „ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს იყოს, ახი ოს!“ (ინგ. „ვ.ტ.“-ი. 714,4), ან და „ახიოს, იყოს. ახიოს!“ (აბ. „ვ.ტ.“ 605,1). არც ერთი არაა სწორი.

* პ. ინგოროყვას სწორად აქვს დასმული ნიშანი (:) „მეხურნის“ შემდეგ. (იხ. მისი „გიორგი მერჩულე“, გვ. 762-3).

ტაეპი უნდა იყოს აღდგენილი: „ვამოყვარისა გაყრილსა (ან „გამყარელსა“). ახი როს ეყოს, ახიოს“ = „ვამას, ვინც მოყვარეს გაყვრება, როდესაც მაი „ახი“ დაემართება (და) ზახილს (ტკივილის ყვირილს) დააწყებინებს“. აქა(, ახიოს-ა-ხმ-ი-ოს-ა-კმ-ი-ოს = აახნაუროს, აზახოს, აყვიროს. — მსგავსადღე მეხური-მეხმური-მეკმური.

სომეხი

განსვენებული ნ. მარისათვის „სომეხი“ იყო „სევან-მესხი“, — „შეჯვარადინება“ ორი იაფეტური ტომისა, სევანისა და მესხისა, რომელიც შემდეგ გაინდოგერმანელბულა, შეუთვისებია ინდოგერმანული ენა, და აქეთგან წარმოშობილა იაფეტურ-ნარევი ინდოგერმანული ენა სომეხთა. ნ. მარის თვით იკვლევდა ქართულ ელემენტებს სომხურში, მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა დაესრულებია თვისი კვლევა.

„სომეხს“ არავითარი კავშირი არ აქვს არც „სევანთან“ და არც „მესხთან“. „სომეხი“, ეთნიკონით ხი-, ერთი ქართველი ტომთაგანი უნდა ყოფილიყო, რაგვარადაც გვაჩვენებს ეს სუფიქსი ხი-.

კავკასიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწებზედ ცხოვრობდენ, რაგვარადაც ცნობილია, ქართველთა ტომები, — მართლ-საჩინოდ უძველესი დროითგან თვით საქართველოშიც, — რომლებსაც ხი-სუფიქსიანი სახელები ჰქონდა. მეს-ხი, კოლ-ხი, კა-ხი, ტაო-ხი, და სხვ... იგინი ურთი-ერთის გვერდით ცხოვრობდენ და ურთი-ერთის დახმარებით ებრძოდენ საერთო მტრებს, — სემიტებს და შემდეგ ინდო-გერმანელებს, — და მართლ-საჩინოდ უძველეს დროსაც მცირე-აზიის მეზობელ ტომთ. 1).

ენერგიულ მბრძოლებად ჩანან ქართველ ტომთა შორის ძველ დროს ასსურეთის მეფეთა წარწერებში მესხ-ები და კუმუხ-ები, — ორი ტომი ხი-სუფიქსიანი სახელით. კუმუხები მესხების სამხრეთით ცხოვრობდენ (შემდეგ კომმაგენე-დ წოდებულ ქვეყანაში). — მესხები, ებრაული მეშეხ, ბერძნული მოსხოი, ასსურული მუშკაია, ცნობილნი არიან ბევრ მკვლევართაგან ვითარცა ქართველთა ტომი. ზოგი ახალი მკვლევარისათვის კი მესხები ინდო-გერმანული ფრიგების ტომი იყო. ამავე ფრიგების ერთი შტო იყო, იმავე მკვლე-

1). ყოველ ქართველ ტომს არ ჰქონია სახელი სუფიქსით ხი-, ძაგალითად ტაბალ-ებს და სხვათ. სწორედ ეს ტაბალ-ები (რომლისაგან უხდა იყოს წარმომდგარი სახელი იბერ-ები, რაგვარადაც ზოგნი აზრობდენ) და მათი მონათესავე მესხ-ები ერთად მბრძოლებად მოიხსენებიან უძველეს წარწერებში.

ვართა აზრით, არმენების, — ინდო-გერმანულ სომეხთა ტომი. მაგ. ე. ფორრე-რისათვის²⁾ ეს “აბსოლუტური სინამდვილეა”. უფრო “ნამდვილი” საბუთები მოიპოვება, რომ მესხნი, უძველესი დროითგან თვით საქართველოში ზურგ - გამაგრებულნი, აქეთგან სამხრეთ-დასავლეთის მხრით იყვნენ გავრცელებულნი, ძლიერნი და მრავალნი, და მათ ფრიგიაც დაპყრობილი ჰქონდათ ერთ დროს და ასსურეთთანაც ბრძოლა შეეძლოთ. მათ მიერ პყრობა ფრიგიისა სრული-ადაც არ ნიშნავს მათ ინდო-გერმანულ-ფრიგიელობას. — ამაზედ სიტყვის გავრცობა არ არის აქ საჭირო, — მიზანი ამ მცირე შენიშვნისა სხვაა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნამდვილი, დამამტკიცებელი საბუთი მესხთა ინდო-გერმანელო-ბისა ჩვენ არ გვინახავს, — არც ერთი მკვლევარის მიერ ნაჩვენები.

ეს ძლიერი ტომი მესხთა დაეტაკა ასსურეთს (XII. საუკ. ქრ. წ.) მისი მეფის ტიგლათპილესერ (ტუკულტი-აპილ-ეშარრა) პირველის დროს და წაართვა მას ქვეყანა კუდმუხი, კუმუხი. ასსურეთის მეფემ, რაგვარადაც იგი თვით მოგვითხრობს, დაამარცხა მესხები და დაიბრუნა უკანვე მათგან დაპყრობილი ქვეყანა, მაგრამ ასსურეთის მეფეს თვით ამ კუდმუხების ქვეყანასთან მოუხდა ბრძოლა. კუდმუხებს დაეხმარა სხვა მეზობელი ტომი (კურთები, ან კურხები)³⁾. მაგრამ ისინი დამარცხდნენ და დაემორჩილნენ ასსურეთის ბატონს. 4).

მართლ-საჩინოა, მესხები მათი მონათესავე ტომის, კუდმუხების განსათავისუფლებლად შებრძოლებიან ასსურეთს, რათგანაც ტიგლათ-პილესერს მესხების დამარცხების შემდეგ თვით აჯანყებულ კუდმუხებთან დასჯირვებია ბრძოლა, და კურთებიც (ან კურხები) მართლ-საჩინოდ აგრეთვე ვიზარცა მონათესავე ტომი დაჰხმარებია კუდმუხებს: ქართველთა ტომები საერთო ძალებით ებრძოდნენ საერთო მტერს. —

ასსურეთის მეფეებს შემდეგაც ხანგრძლივი ომები ჰქონდა კუმუხებთან. ფორრერის აზრით, კუმუხები სულ სხვა ხალხი იყო ვიდრე კუდმუხები: — მათი ქვეყნებიც სულ სხვა და სხვა ადგილს იყო, — თუმცა, შეიძლება სახელი კუმუხი პირველ-ყოფილ კუდმუხისაგან წარმოსდგაო (იქვე, გვ. 77), მაგრამ ამ საგანზედ იგი სიტყვას არ განაგრცობს. ჩვენი აზრით კი კუდმუხი და კუმუხი ერთი და იგივე ხალხია, წარწერებში ორივე ფორმით ნახსენები. მათ ებრძოდა მე-IX . I. -ში ქრ. წ. ასსურეთის მეფე ასსურნასირპალი (აშურ - ნასირ - აპლუ): „მდინარე ტიგროსი გადავიარე და კუდმუხის ქვეყანაში შევედი“-ო, ამბობს მეფე თავის მატთანში (სვ. II. ლ. ვ. კინგ, იქვე, გვ. 326): “ქატაზილუსა, კუმუხთა მეფისაგან. ხარკი ავიღეო“. მოგვითხრობს იგი შემდეგ (იქვე, სვ. III.

2) E. Forrer, Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches... 1820, S. 77.

3) ერთნაირად შეიძლება წაკითხვა.

4) L. W. King, The Annals of the kings of Assiyrta.

ტიგლ-პილესერის ცილინდრი, სვ. 1. გვ. 35-41.

95-96: კანკ. იქვე. გვ. 375). — კუმუხებს ურარტელებიც ებრძოდნენ: სარდურის, არგიშტის ძეს, ურარტუს მეფეს (VIII. I. ქრ. წ.) დაუპყრია **კუმანახალის** ქვეყანა. 5).

შემდეგ, აჯანყებული მეფე **კუმანახლისა** კუმტაშპილი და მისი მოკავშირეები მას აულაგმავს (იქვე, 41-42). ეს ფორმები **კუმანახალი** და **კუმანახი** ურარტულია. მათ ანალიზს აქ არ გამოვუდგებით, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ იგინი შეიცავენ ტომის სახელს **კუმანხ**-ს, რაიცა იგივე **კუმუხ**-ია ასსურელთა.

ეს ბრძოლები კუმუხთა (და მესხთა და სხვა ქართველ ტომთა) სემიტთა და ინდო-ვირმანელთა წინააღმდეგ გაგრძელდა დიდხანს, სანამ ბოლოს და ბოლოს ინდოგერმანელებმა ქართველ ტომთა მიწები არ დაიპყრეს მათი ბინადრობის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილში და არ აიძულეს იგინი ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისაკენ დაეხიათ. ე. წ. კამმანუ-ს, კომანან-ს ქვეყანა მართლ-საჩინოდ კუმუხების ქვეყანა იყო და აქეთგან განდევნეს დასავლეთითგან მოწოლილმა ინდოგერმანელებმა არმენთა ტომისა ქართველთა ტომი კუმუხი. 6) (VIII. ს. ქრ. წ.) და ამ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყანას ეწოდა შემდეგ „მცირე არმენია“.

ხოლო ახლად-მოსულნი ძველ მკვიდრთ რასაკვირველია საესებით ვერ განდევნიდნენ, ნაწილი ძველი მოსახლეობისა დიად დარჩებოდა. და აი ამ დარჩენილ კუმუხებთან და სხვა ქართულ ელემენტებთან შერეულან ინდოგერმანელი არმენები და ამით აიხსნება მათ ენაში ქართულ - ჰანურ - მეგრულ ელემენტთა არსებობა. ქართველები მათ უწოდებდნენ ძველი დროითგან და უწოდებენ დღესაც: **სომეხი**, რაიცა იგივე **კუმუხი**-ა. ს-ს და კ-ს თქმა ურთიერთის ნაცვლად ქართული ფონეტიკის მოვლენაა. მაგალითად: კითხვა და **სიტყვა**, — ერთი და იგივე პრეფიქსი **კი-** და **სი-** და ერთი და იგივე ძირი **თხ-** და **ტყ-** ორი სახეობისა, დასხვ... — ჩანს, პირველ-ყოფილი სახელი ამ ქართველთა ტომისა ყოფილა **კომე-ხი**, რომელსაც **სომეხ**- ადაც იტყოდნენ. ყურად-საღებია, რომ ქართველები დღესაც უწოდებენ **სომეხ**-ს **კომეხ**-ად, — ცოტა უპატივოდ: ძველი ფორმა სახელისა დარჩენილა არა-საპატივო სახელად; რათგანაც გაარმენებულ ქართველთა ტომს შერჩენია სახელი **სომეხი**. ეს სახელი გადაუტანიათ ქართველებს მთელს ერზედ. რომელიც არმენულად მეტყველებდა. და ეს იგივე მოვლენაა, რაც **ბერძენ**-ის სახელის გადატანა ელინთა ერზედ ქართველთა ტომის **ბერძენის** გაელლინების შემდეგ... (იხ. ამის შესახებ ჩემი წერილი „ბ. ქ.“. № 30-31).

5) იხ. ჩემი: *Die neuen haldischen Inschriften*, Sitz. Ber. der Heidelberger Ak. d. Wiss. 1927/28, E, 36-37.

6) ისიც რასაკვირველია ნარევი, რაგვარადაც ყოველი ტომი, ხოლო „ქართული ეროვნებისა“, — ენის მხრით, — მართლსაჩინოდ.

შეიძლება ამისი გამოძახილი იყოს უცნაური ცნობა ლეონტი მროველისა: „აქამომდის (ე. ი. ნაფუქოდონოსორ ბაბილონის მეფის მიერ ოტებულ ური-ათა ქართლს მოსლვამდე) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართულთადა დაუტევეს ენა სომხური და მათ ყოველთა ნათესავეთაგანი შეიქმნა ენა ქართული“. (იხ. „ქ. ც.“ მ. დ. ვ. გვ. 12-13). შეიძლება მართლაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო კუმუხ-ური = სომხ-ური ქართული დიალექტი მეექვსე საუკუნემდე ქრ. წ., რომელიც შემდეგ ქართლურს შეუცვლია?...

მ. წერეთელი

უმაგალითო სიყალბე

გაუგონარი სიყალბე ამოვიკითხეთ “ლიტერატურულ გაზეთ“-ში (2. 3. 1962). ვინმე ვალერიან კალანდაძე ამბობს გაკერით წერილში: “შენიშვნები ზოგიერთ პასუხზე“ “...ხოლო “ლამარა“ ვაყასია“-ო. მაშასადამე, გრიგოლ რობაქიძე, ავტორი “ლამარასი“, ლბილად რომ ეუქვათ, მიმთვისებელი ყოფილა ვაყას ნაწარმოების. არა გვეგონია, რომ ფაქტის გაყალბება ამაზე შორს წავიდეს. ყოველი გამყალბებელი ფაქტისა თვითონ გამოდის გაყალბებული. ეს ცხადია ყველასათვის — და აქ მეტს არას ვიტყვით რა. ერთს რამეს კი ვერ აუვლის აქ გვერდს ვერც ერთი ქართველი, შეგნებული მამულიშვილი. თუ “ლამარა“ მართლაც ვაყასია, მაშინ ერთი კითხვა იჭრება ჩვენს წინაშე: ნუ თუ ქართველმა ხალხმა ვერ შეამჩნია ეს არა ერთ ათეულ წელთა მანძილზე? ნუ თუ ქართველ ხალხს არ გაუკვირდა, თუ რატომ გაქრა სცენიდან “ლამარა“, რომელსაც ასეთი დიდი გამარჯვება ჰქონდა, თუ იგი მართლა ვაყასი იყო?!

სიყალბე ბევრი გვსმენია და წაგვიკითხავს. ხოლო ასეთი ურცხვი, ასეთი უტიფარი — არა.

“ბედი ქართლისა“

ლ ო ც ვ ა

(ძვირფას პ. შ ხსოვნას)

“ჰოი, კეთილშობილებავ! ჰოი, მარტივო და ნაძღვილო შეგხიერებავ! ქალ-ღმერთი, რომლის კულტი ნიშნავს სიბრძნეს და გონებას, შენ, რომლის ტაძარი არის მუდმივი ამსახველი სინიღისისა და გულწრფელობისა, მოვედ გვიან შენი საიდუმლოთა კარიბჭესთან; მომაქვს შენ სამსხვერპლოზედ ბევრი სინანული. შენ მოსაძებნად დამჭირდა გაუთავებელნი ძიებანი. შეცნობილებას, რომელსაც შენ ათინელებს დაბადებიდანვე ღიმილით ანიჭებდი, მე დავეუფლე ბევრი ფიქრით, განსჯით და ხანგრძლივი შრომით“...

ლოცვა აკროპოლზედ ერნესტ რენანისა

წინა წერილში, რომელშიც ბოკლედ განვიხილეთ ეგვიპტის ძისტერიები, იყო ნათქვამი, რომ ამ ძისტერიების წყალობით ეგვიპტემ გაუძლო მრავალ საუკუნოს და შეინახა თავის ტაძრებში რელიგიური განძი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ეგვიპტისათვის, როგორც ეროვნული გამძლეობისა და აღორძინების წყაროს და მთელი კაცობრიობისათვის, როგორც საფუძველსა და ნიადაგს სარწმუნოებრივ იდეათა და უმაღლეს სწავლათა.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ძისტერიებს აგრეთვე საბერძნეთისათვის, რომლის უბრწყინვალესი მესაიდუმლენი იყვნენ ორფეოსი, პითაგორა და პლატონი.

დიდი ხნის განმავლობაში საბერძნეთის ძისტერიები ბურუსით იყო მოცული. საიდუმლო-განდობილნი მალაედნენ თავიანთ სწავლას, რომელიც მისაწვდომი იყო მხოლოდ რჩეულთათვის და ჭეშმარიტების ნამდვილ მაძიებელთათვის. ბუნდოვან მითითებას ჩვენ ვხვდებით ესხილოსისა და პლატონის კოქაში, ხოლო საბერძნეთის ძისტერიები გამოაშკარავდნენ ქრისტიანობის დამყარების პირველ საუკუნეებში, როდესაც ცნობილ ელევზისის ძისტერიებს მოუხდა თავისი დაცვა ქრისტიანობის წინააღმდეგ.

*) დასაწყისი იხ. “ბ. ქ.” № 20, 21-22, 24-25.

საბერძნეთის ყველა ძისტერიათა შორის ელევზისის მისტერიებს პრივილეგიუო ადგილი ეჭირა. ყველა დიდნი ამა ქვეყნისანი, რომის პროკონსულებამდე და იმპერატორებამდე, ელევზისში მიდიოდნენ და იქ ეზიარებოდნენ საიდუმლოებს.

ციცერონი დიდი ქებით მოიხსენიებს “ბრწყინვალე ცერემონიებს წმიდა ელევზისისა, სადაც ინიციაციისათვის მოდიოდნენ შორეულ ქვეყნებიდან“-ო.

დემოსთენეს და სოფოკლესიც დიდ დაფასებას აძლევდნენ მისტერიებს: “სამჯერ ბედნიერნი არიან ისინი, ვინც ამ მისტერიების გავლის შემდეგ მიდიან ჰადესთან. მხოლოდ მათ შეუძლიათ იქ ცხოვრება და ნეტარება. ყველა დანარჩენთ კი ტანჯვა და წამება მოელისო, — ამბობდა სოფოკლეს.

პლატონი ქადაგებდა: “ვინც გაიარა საიდუმლოთა-განდობა და განიწმიდა, მხოლოდ მას შეუძლია ღმერთებთან ცხოვრება“-ო.

ხოლო უდიდესი თანამედროვე მეკლევარი რელიგიათა მირსეა ელიად სწერს: “არც ერთი საქმიანობა არ შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილი და გამამდიდრებელი, ვიდრე შეცნობა რელიგიების დიდ საიდუმლოებათა, ცხოვრება სიმბოლოებსა და მისტერიებში, კითხვა და გაგება ერების მითოსებისა“.

ჩვენ შევჩერდებით უმთავრესად ორფეოსის სწავლაზედ და მის მიერ დაწესებულ მისტერიაზე.

ორფეოსი იყო უდიდესი მესაიდუმლე საბერძნეთისა, მისი მცხოვრ-მყოფელი უდიდესი გენია, მისი ღვთაებრივი სულის გამღვიძებელი და შემქმნელი, მამა პოეზიისა და მუსიკისა, მფარველი ამ ორი მარადიული ქეშმარიტებისა.

მისტერიების საშუალებით მან შეაერთა ზევების და დიონისიოს რელიგია ერთ მსოფლიო იდეაში, გახდა უდიდესი ქურუმი ოლიმპოსის ზევებისა და საიდუმლო-განდობილთათვის — მასწავლებელი და ამხსნელი ციური დიონისიოს მნიშვნელობისა. მისი შვიდ-სიმიანი ღირა შეიცავდა მთელ მსოფლიოს. ყოველი სიმი უპასუხებდა ადამიანის ყოველნაირ სულიერ მდგომარეობას და ამავე დროს გამოხატავდა სხვა და სხვა დისციპლინებს მეცნიერებისა და ხელოვნებისა.

კაუკაიონის მთაზე იუპიტერიან ტაძრის შესავალში, თეთრ სამოსელში, თავზე მირტითა და კვიპაროსით, ძვირფას ქაშრით, ხელში კვერთხით, ქურუმებით გარშემორტყმული ხედება დელფოსის ტაძრის ახალგაზრდა მოწაფეს ქურუმი ორფეოსი. (ანამ მის ფეხებთან ქურუმებ) გარს უვლიან ანთაეულ სამხტეკობლოს და უგალობენ ჰიმნს ცეცხლს, ორფეოსი ზემით წარმოსთქვამს საიდუმლო-განდობის ფორმულას, რომელიც ხედება პირდაპირ მოწაფის გულის სიღრმეს. აი ეს სიტყვები:

“ჩადი ჯერ საკუთარ სიღრმეში, სანამ ახვილდოდე საწყისთან ყოველთა ნიეთთა, დიდ ტრიადად (სამებად), რომელიც ბრწყინავს უმწიკვლო ეთერში. დაწვი ხორცი შენი ცეცხლით შენი გონებისა; განეყავ მატერიას, როგორც გა-

ხეყოფა ალი ხეს, რომელსაც იგი სწავს. მაშინ სული შენი მიისწრაფვის წმიდა ეთერისაკენ მარადიულ მიზეზთა, ვითარცა არწივი, რომელიც მსგავსად ისრისა მიფრინავს იუპიტერის საყდართან“.

“მე ცხად გიყოფ შენ საიდუმლოს სამყაროთა, სულს ბუნებისა, არსებას ღმრთისა. უწინარეს ყოვლისა იცოდე დიდი მისტერია: არსება ერთი მეფობს ცათა სიღრმეშიც და მიწის ქვესკნელშიც; ზევესი, — მეხის მტყორცნელი, — ზევესი მცხოვრები ცათა შინა. მასშია ერთსა და იმავე დროს სიღრმეც განჩინებათა, ძლიერი სიძულვილიც და ალტყინებაც სიყვარულისა, ფშვინვა ყოველთა ნივთთა, დაუშრეტელი ცეცხლი, მამრობითი და მდედრობითი საწყისი. იგი მეფეც არის, ღმერთიც და მასწავლებელიც“.

“იუპიტერი ღვთაებრივი ქმარიც არის, ცოლიც, მამაც და დედაც. მათი წმიდა სახისაგან გამოვლენ შეუწყვეტლად ცეცხლი და წყალი, მიწა და ეთერი, ღამე და დღე, ამაყი ტიტანები და უცვლელი ღმერთები და განევრცობიან თესლნი ადამიანის მოდგმისა“.

“უზენაესი ღმერთის იუპიტერის წიაღში მთელი მსოფლიოა შეკრული; იგი არის მარადიულობა; ყველაფერი მის არსს ეზიარება; ეს არის მხოლოდ ძალაა, — მსოფლიური; ის წარმოდგენილია ყველაფერში; იგი ასულდგმულებს და მართავს ყველაფერს; ყველა არსება არის მხოლოდ ნაწილი ღმერთისა; უზენაესის პრინციპი არის უხილავი, მიუწვდომელი კაცის გონებისათვის“.

“სიყვარულის კავშირი ცის და ქვეყნისა უცხოა საიდუმლოთა არა-ნაზიარებათათვის. მისტერიები ქმრისა და ცოლისა ცხად-ყოფილია მხოლოდ მათთვის, ვინც მიახწივს ღვთაებრივობას“.

“ზევესი დიდი დემიურგოსია; დიონისიოს არის ძე მისი, გამოცხადებული სიტყვა მისი. დიონისიოსებრი ნათელი, ცოცხალი გონი ბრწყინავდა თავის მამის სამყაროში, ეთერის უცვლელ ტაძარში. ერთხელ, როდესაც იგი ქვრეტდა უძირო ცას ვარსკვლავების გასწრივ, დაინახა ცისფერ უფსკრულში თავისი საკუთარი სახე. რომელიც მას ხელებს უწვდიდა. გატაცებული ამ მომხიბლავი სანახაობით, მოჯადოებული თავისი მეორე სახით, დიონისიოს დაეცა მის დასაჭერად, მაგრამ მოჩვენება უფრო და უფრო შორდებოდა და იზიდავდა მას უფსკრულის სიღრმეში. ერთ გამოქვაბულში დაინახა პერსეფონა. მშვენიერი მათა ქარავადა სახურავს, რომელშიაც იხატებოდა სახეები მთელი არსისა. ღვთაებრივი ქალწულის წინაშე დიონისიოს გაჩერდა იდუმალ ალტაცებული. ამ დროს ამაყმა ტიტანებმა და თავისუფალმა ტიტანიდებმა დაინახეს იგი. პირველნი — მისი სილამაზის სიხარბით, მეორენი — შეპყრობილნი სიყვარულის სიგიჟით, დაეცნენ მას და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს იგი. გაინაწილეს რა მისი სხეულის ნაწილები. ჩააგდეს ისინი ადუღებულ ქვაბში და დამარბეს მისი გული. იუპიტერმა დასცა ტიტანები თავისი ქუხილით, მინერვა კი ავიდა ეთერის სიმაღლეზე და თან წაიღო დიონისიოსის გული. იქ ეს გული გარდაიქცა ანთე-

ბულ მზედ, ხოლო დიონისიოსის დამწვარი სხეულის თიმიამისაგან შეიქმნენ ადამიანთა სულები, რომელნიც ცაში ავიდნენ“.

“როდესაც მათნი მკრთალნი აჩრდილნი მიალწევენ ღმრთის ანთებულ გულს, ისინი აინთებიან ნათელი ალით და მაშინ დიონისიოსს აღსდგება ისევე ცოცხალი“.

“შენ შეიგენი ახლა მისტერია დიონისიოსის სიკვდილისა. მოისმინე მისტერია მისი აღდგომისა: კაცობრიობა არის ხორცი და სისხლი დიონისიოსისა. ტანჯული ადამიანები — მისი დაგლეჯილი ასოებია, რომლებიც ერთმანეთს ეძებენ, გვემულნი სიძულვილით და დანაშაულობათა შინა, უბედურობათა შინა და სიყვარულში მრავალ არსებობათა კასწრივ“.

“ცეცხლის სიციხე მიწისა, სიღრმე მდაბალ ძალთა იზიდავს მათ უფრო და უფრო უფსკრულში, უფრო ჰგლეჯს მათ. მაგრამ ჩვენ, საიდუმლოთა-ნაზიარებნი, რომელთაც ვიცით, თუ რა არის ზევით და რა არის ქვემოდ, ჩვენ ვართ მაცხოვარნი სულთა, ჩვენ ვართ ჰერმესები კაცობრიობისა. მსგავსად მაგნიტისა ჩვენ მივიზიდავთ მათ ჩვენსკენ, — ჩვენ თვით მინაზიდნი ღმერთთა მიერ, ამგვარად ციურ ჯადოთა საშუალებით ჩვენ კვლავ შეექმნით ცოცხალ სხეულს ღმრთაებისა. ჩვენ ვაიძულებთ ცას ღვაროს ცრემლები და მიწას — აღუტევოს ხმა სიხარულისა; მსგავსად თვალთა პატიოსანთა ჩვენ ვატარებთ ჩვენ გულში ცრემლებს ყველა არსებათა; რომ ისინი ღიმილად გარდაქმნას, ღმერთი კვდება ჩვენში; ჩვენშივე იგი აღსდგება მკვდრეთით“.

ასე იტყოდა ორფეოსი.

მოწაფემ დელფოსის ტაძრისა მუხლი მოიყარა თავის მასწავლებლის წინაშე. ორფეოსმა დაადგა მას თავზე ხელი და წარმოსთქვა საიდუმლოთა-ზიარების ფორმულა:

“დეე ზევესმა და დიონისიოსმა, სამჯერ განცხადებულთ ჯოჯოხეთში, მიწაზე და ცაზე შეიწყალონ შენი ახალგაზრდობა და აღაესონ გული შენი ღვთიური შემეცნებით. მძიმეა გზა მიმავალი ღმერთებთან: აყვავებული ბილიკი, დიდი აღმართი, სალი კლდეები და უსაზღვრო სიერცე, — აი ბედი წინასწარმეტყველისა დედამიწაზედ. დარჩი, შეილო ჩემო, აყვავებულ ბილიკზენუ ეძებ მას, რაც მის შემდეგაა“.

“ჩემი წყურვილი მატულობს მით უფრო, რაც შენ მას ანელებ. შენ მასწავლე არსი ღვთაებათა; მაგრამ შემიძლია თუ არა ისინი ვიხილო ოდესმე?“ — ეკითხება ახლად ზიარებული საევის მასწავლებელს.

“სულიერი თვალებით და არა ხორციელით, — მიუგო ორფეოსმა, — ახლა შენ ხედავ მხოლოდ მიწიერი თვალებით. საჭიროა დიდი შრომა, ბევრი ტანჯვის გავლა, მუდმივი ლოცვა, რომ გაგეხსნას შინაგანი ხილვა“.

“თესსალიაში, ტემპეის ხეობაში არის აღმართული მისტიური ტაძარი. რომელიც დახურულია არა შეცნობილთათვის. ამ ტაძარში დიონისიოსს ცხადდება ერთხელ წელიწადში. მოდი მაშინ, მე მოგკემ შენ მოგაურ ძალას, ავი-

ხელ თვალებს, რათა დაინახო ღვთაებრივი სამყარო; მანამ კი შეინახე სიწმიდე ცხოვრებისა და ნათელი სული. იცოდე, ღვთაური ცეცხლი აფრთხობს სუსტთ და სპობს უწმიდურთ“.

დიდი მნიშვნელობისა იყო დიონისიოს დღესასწაული, რომელიც იმართებოდა ტემპეის ხეობაში. მას ესწრებოდნენ არა მარტო საიდუმლო-განდობილნი, არამედ მსურველნიც მისტერიების გავლისა.

ორფეოსის მიერ დაბარებული დელფოსის მოწაფე, რომელმაც ერთი წელიწადი გაატარა საკანში, ლოცვაში და ჭვრეტა-მედიტაციაში, მიყვებოდა გამძლოს. იგი მიდიოდა, როგორც სიზმარში: ხან მაგიური სინათლე მიიპყრობდა მის ყურადღებას, ხან ყველაფერი დაბნელებოდა და კლდენი მიიღებდნენ მრისხანე სახეს; უცებ მოხეტილად ცეცხლნი გაანათებდნენ ყველა მიმართულებით...

“ესენი არიან მისტები, რომელნიც უდგებიან გზას“, — ეტყოდა გამძლოლი მოწაფეს. შემდეგ ისინი შეხვდებოდნენ ბევრ ლამაზ პროცესიას: მისტებს ახალგაზრდა ვაკხოსებისას, მებრძოლი ჰერკულესისა; შემდეგ გამოჩნდებოდნენ მისტები დაგლეჯილი ვაკხოსისა. ერთი გამოქვაბულის გავლის დროს მოწაფემ და გამძლოლმა დაინახეს მიწაზე განრთხმული მისტები აიდონაისა და ეროსისა. ისინი ტიროდნენ და ევედრებოდნენ აიდონაის:

“დაგვიბრუნე, ვინც წაგვართვი და მოგვეც საშუალება ჩავიდეთ შენს სამეფოში“.

“რას ნიშნავს ეს ყველაფერი? საიდან მოისმის ეს მწუხარე და სასოწარკვეთილი მელოდია? ვინ არიან ეს ნათელნი აჩრდილნი, რომელნიც გრძელი რიგებით მიდიან ხეებს შორის?“

“ესენი არიან ქალები, რომელნიც ღებულობენ მონაწილეობას დიონისიოსის მისტერიებში“, — უპასუხებს გამძლოლი.

შემდეგ მოდიოდნენ ახალგაზრდა ქალწულნი ნარგისით ხელში, რომელთაც გამძლოლი პერსეფონას ნიშნებს უწოდებდა. მათ მოჰყვებოდნენ შავებში მორთული ქალები, პერსეფონას დამტირალნი, რომელნიც მოსთქვამდნენ და ევედრებოდნენ პერსეფონას:

“შენ მოკვდი აიდონაის მოტაცებული; შენ ჩაეშვი მკვდართა სამეფოში; მაგრამ ჩვენ, რომელნიც დაგტირით შენ, ვართ ცოცხალ-მკვდარნი. ნუ ვიხილავთ ჩვენ მზის ამოსვლას. მოგვანიჭოს სამუდამო ძილი იმ მიწამ, რომელიც შენ გფარავს, ჰოი, დიდო ღვთაებავ! გვისმინე პერსეფონავ!“

ყველა ამ უცნაურმა სანახაობამ მძიმედ იმოქმედა დელფოსის მოწაფეზე. მან იგრძნო თავი გარე-მოცულად ათას განცთვისაგან, სხვა და სხვა ფერთა და მტანჯველთა. იგი არ იყო თვით იგი! სურვილნი, აზრნი და ტანჯვანი ყველა ამ არსებათა შევიდნენ მასში და გახდნენ მის საკუთარ სურვილებად. მან არ იცოდა უკვე: იყო იგი ცოცხალი თუ მხოლოდ აჩრდილი ადამიანისა.

იმავე ბილიკზე გამვლელმა ერთმა საიდუმლო-განდობილმა მიმართა ქალებს:

“მშვიდობა მკმუნავ აჩრდილთათვის! ტანჯულო ქალებო, მიივლტოდეთ დიონისიოსის სინათლისაკენ, ორფეოსი მოგელისთ იქ!”

დიდხანს გრძელდებოდა კიდევ სვლა, პროცესიები და ათასი სიძნელის გადალახვა. ბოლოს გაიხსნა გზა. მთის მწვერვალები განათლდა და გამოჩნდა განთიადი. ტყიან გორაკზე აღმობრწყინდა ვარდისფრად განათებული ტაძარი დიონისიოსისა. უამრავ პროცესიაში მონაწილენი, აგრეთვე საიდუმლო-ნაზიარებნი, ყველანი შეხვდნენ ერთმანეთს ტაძრის შესავალთან.

დეღფოსის მოწაფის გამძლოლი უცებ გაჰქრა. მოწაფემ სრულიად მოულოდნელად თავი ამოჰყო საიდუმლო-ნაზიარებთა ჯგუფში. მათში იგი არავის იცნობდა. მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს ყველანი ენახა და ყველას იცნობდა. ამ გრძობამ გამოიწვია მასში უდიდესი სიხარული და თითქოს ფრთები შეესხაო, ისე სწრაფად ავლო ტაძრის საფეხურები. ამ დროს აგუგუხდა ღვთაებრივი ჰიმნოსი. ბრინჯაოს კარები ტაძრისა უხმოდ, ფართოდ გაიღო და გამოჩნდა იეროფანტოს ორფეოსი, რომელსაც მოჰყებოდნენ ჩირაღდნების მატარებელნი. დეღფოსის მოწაფემ იცნო რა მასწავლებელი, სიხარულისაგან აკანკალდა. ალისფერ მოსასხამით, ლირით ხელში, ორფეოსი ბრწყინავდა მარადიული სინოჩით. მან წარმოსთქვა:

“მშვიდობა და სალამი თქვენ ყველას, რომელნიც მოხვედით აქ. რომ განახლდეთ მიწიერი ცხოვრების ტანჯვის შემდეგ. შემოდით, რათა შესვათ სინათლის წყარო; თქვენ, რომელნიც მოდიხართ ბნელეთიდან, მისტები, ქალები, საიდუმლო-ნაზიარებნი. შემოდით და გაიხარეთ თქვენ, რომელნიც იტანჯებოდით; შემოდით და დაისვენეთ თქვენ, რომელნიც იბრძოდით მზე. რომელსაც მე მოვიხმობ თქვენ თავზედ და რომელიც აღმობრწყინდება თქვენ ვულში, არ არის მზე მოკვდავთა. იგია ნათელი დიონისიოსისა. დიდი გარსკვლავი საიდუმლო-ნაზიარებთა. შემდგომად ბნელ არსებათა ხანგრძლივი ბრუნვისა თქვენ განთავისუფლდებით დაბადებით მწუხარე წრისაგან და ყველა შეერთდებით ვითარცა ერთი სხეული და ერთი სული დიონისიოსის ნათელში“.

“მოისმინეთ, როგორ ჟღერს ლირა შვიდ-სიმიანი. იგი იწვევს მსოფლიო მოძრაობას. ისმინეთ! ჩაგვედესთ ღრმად ეს ხმანი და გაუცხსნეთ სიღრმენი ცისა. აქ ეძლევა დახმარება სუსტთა, ნუგეში — ტანჯულთა, იმედი — ყველას! ახლა. როდესაც დიონისიოსის ნათელი აღმობრწყინდა თქვენ თავზედ. მე მოვიხმობ ციურ ეროსს, მოწყალეს და ყოვლის შემძლეს. დეე, იქმნეს იგი თქვენს სიყვარულში, თქვენს ცრემლებში, თქვენს სიხარულში. გიყვარდესთ. ეინაიდან ყველაფერს უყვარს: დემონსაც უფსკრულში, ღმერთებსაც ეთერში. გიყვარდესთ ეინაიდან ყველაფერს უყვარს. მაგრამ გიყვარდესთ ნათელი და არა ბნელი. რო-

დესაც სულელები ბრუნდებიან ნათლის სამკვიდრებელში, მათ თან აქვს მათ ას-
ტრალურ სხეულებზედ ყველა ცოდვა ცხოვრებისა მსგავსად საზიზღარ ლაქათა...
და რომ განიწმიდონ ისინი, სულმა უნდა გაიაროს მონანიება და დაუბრუნდეს
მიწას... მხოლოდ წმიდა და ძლევამოსილი შევლენ დიონისიოსის სინათლის
სამკვიდრებელში“.

დღესასწაული დამთავრდა. როკვა, გალობანი, ლოცვანი შეწყდნენ. ორ-
ფეოსი და დელფოსის მოწაფე ჩაეიდნენ მიწის ქვეშ გვირგვინით აკლამასთან.
აქ მხოლოდ იეროფანტეს შეეძლო შესვლა, სადაც იგი განმარტოებული მიეცე-
მოდა ხოლმე ლოცვასა და ფიქრს. ფართო გამოქვაბულში, რომელიც ოდნავ
იყო განათებული ჩირაღდნებით, ორფეოსი მიმართავს თავის მოწაფეს:

“შენ შესეი ღვთიური სინათლის წყაროდან, შენ შედი სუფთა გულით მი-
სტერიების შუაგულში. ზემის საათმა დაჰკრა, მე შეგიყვან ახლა შენ თვით
წყაროში სიციხლისა: მიუპყარ ყური ქვეშარიტებათ, რომელთა დაღუშება
საჭიროა ბრბოს წინაშე და რომელნიც შეადგენენ ძალას სიწმიდის სამკვიდ-
რებელისა“.

“ღმერთი ერთია და მარადის მსგავსი თავისა თვისისა. იგი განაგებს მთელს
სამყაროს. ღმრთაებრივი საუკუნოა და მას არა აქვს დასასრული. წმიდა სუ-
ლები არიან აღმოფხვინვა მისი სულისა. სხივებით მისი სამარადისო გონისა
ისინი წინ-უძღვიან მთელ მხედრობათ მდაბალ სულთა, რომელნიც მოქმედებენ
ელემენტებში. იგინივე განაგებენ სამყაროთ შორს და ახლოს. ისინი გარს
გვერტყმიან ჩვენ. და თუშცა მათი არსებით უკვდავნი არიან, იგინი იღებენ სა-
ხეთ, რომელნიც იცვლებიან დროთა, ხალხთა და ქვეყანათა მიხედვით. ურწ-
მუნო უარპყოფს მათ, მაგრამ მას მათი მინც ეშინია; მართალი თავყანსა-სცემს
მათ, თუმცა მათ არ ხედავს; საიდუმლოთა-ნაზიარებმა იცის იგინი, ხედავს მათ
და შეუძლია მას მათი მიზიდვა... ახლა მე მოვიხმობ ჩემს ღმერთებს, რათა
ისინი გამოჩნდნენ შენს წინაშე ცოცხალნი და გიჩვენონ წინასწარმეტყველურ
ხილვაში მისტიური ჰიმენე, რომელსაც მე ვუმზადებ მსოფლიოს და რომელ-
საც იხილავენ მხოლოდ საიდუმლო-ნაზიარებნი“.

ამის შემდეგ ორფეოსმა ჩააწვინა მოწაფე აკლამაში; ჩააგდო ერთი
მუქა სურნელოვანთა სამსხვერპლო ცეცხლში, აიღო კვერთხი, მივიდა სფინქს-
თან და დაიწყო გამონმობა:

“კიბელე, კიბელე, დიღო დედავ, მისმინე მე!“

“პირველ-ქმნილი ნათელი ეთერის ალია, რომელიც ალტყინდების უსაზღ-
ვრო სივრცეებში და რომელშიც იმალებიან გამოძახილნი და სახენი ყოველთა
ნიეთთა. ნათელი დამალული და უხილავი სხეულის თვალათთვის... დიდი დედა
ყველა სამყაროთა და ღმერთთა, რომელიც ყოველს შეიცავს პირველი სახით
თვის სიღრმეთა შორის; მეუღლე მრავალ-სახე, მორჩილი და თანა-მგრძობი

საუკუნო შემოქმედების ცეცხლის ქვეშე... უმაღლეს სივრცეთაგან, უღრმეს უფსკრულთაგან, ყოველი მხრიდან გამოცხადდი, მოედინე, ალავე ყოველი შენი გამოვლინებით! მოეც ხილვა შენს ღრმა წიაღში სულთა უფსკრულისათა, ქვეყანისა და ცათა!"

ამ სიტყვების დროს, თითქოს მიწის გულში რაღაცა გასკდა და შეიძრა კლდე. შეშინებული მოწაფე ცივს ოფლში იწურებოდა; იგი ძლივს ამჩნევდა კვამლში გახვეულ ორფეოსს. პირველ წუთებში საშინლად იბრძოდა, რომ არ დაეკარგა გრძნობა, მაგრამ თანდათან სუსტდებოდა და ეკარგებოდა გრძნობა და ნებისყოფა. ის ვადა იმ ადამიანს, რომელიც ებრძვის მრისხანე ტალღებს, რათა თავი გადაირჩინოს დახრჩობისაგან. უკვე ბნელოდა, როდესაც მოწაფე გონზედ მოვიდა. დიდხანს იყურებოდა და ვერაფერს ხედავდა. პირველი, რაც გაარჩია, იყო ტახტზედ მჯდომარე ქალი, რომლის გარშემო ტრიალებდნენ უამრავ ადამიანთა აჩრდილები; ისინი ჩურჩულებდნენ:

“შევდართა დედოფალო! სულო მიწისა! ჰოი პერსეფონავ! ჩვენ, ცის ქალიშვილნი... რატომ ვართ დევნილნი; რატომ ვართ გარიყულნი აჩრდილთა ბნელ სამეფოში? ჰოი, ციურო დედოფალო! რატომ მოსწყვიტე შენ ჩვენნი სულნი, რომელნიც თავისუფალნი და ბედნიერნი თავიანთ დებთან ეთერის სივრცეში დანავარდობდნენ?”

პერსეფონამ უპასუხა:

“მე მოვწყვიტე ნარგისი, მე შევედი საქორწინო ოთახში; ამით ვიგემე სიცოცხლესთან ერთად სიხარული და სიკვდილიც და ახლა როგორც თქვენ, ისე ვიტანჯები ბნელეთში“.

“როდისლა ვიქმნებით ჩვენ განთავისუფლებულნი?“ — გმინვით ეკითხებოდნენ სულეები.

“როდესაც გამოჩნდება ჩემი ციური ქმარი და განმათავისუფლებელი“, — უპასუხებდა პერსეფონა.

მოჩვენება შეიცვალა. ოლიმპოსის მთიდან ცოტა მოშორებით დედლოსის მოწაფემ დაინახა თავისი თავი აყვავებულ ხეობაში. სადაც ბუნდოვან გამოქვაბულის შესავალში, ყვავილებით დაფენილ საწოლზედ იწვა უმშვენიერესი პერსეფონა. ნარგისების ჯვირგინს შეეცვალა მის თავზედ საზარელი სიკვდილის მაჩვენებელი ლაქაჯის ყვავილები და მის გაბრწყინებულ სახეზედ ციმციმებდა განთიადის მახარობელი ცისკარი. ლირის ხმა ისმოდა ტაძრებიდან. გახარებული ნიძფები იქვე ეზოში რიტმიულ ცეკვებს ასრულებდნენ.

შემდეგ თითქოს ლურჯი ცა გაიხსნა და გამოჩნდა მბრწყინავი ღრუბელი, რომლიდან უტებ დაეშვა ღმერთი და წარუდგა პერსეფონას. ის იყო მშვენიერთა მშვენიერი. მის თვლებში ბრწყინავდა ღვთიური აღფრთოვანება, მახარობელი

მსოფლიოს ჩასახვისა და სიცოცხლისა. იგი ღიღინას უმზერდა პერსეფონას. შემდეგ თავზე დაადო ხელი, შეეხო მის გულს და ემთხვია მის შუბლს. ამ დროს პერსეფონამ ნელნელა გაახილა თვალები, წარმოდგა და შეხედა ღმერთს. მისი დაბნელებული თვალები ახლა ეარსკველაივით ბრწყინავდნენ.

“მცნობ?” — შეეკითხა ღმერთი.

“ჰოი, დიონისიოს! წმიდა სულო, იუპიტერის ხმავე, ციურო სინათლე, მბრწყინავო ადამიანის სახით! ყოველთვის, როცა შენ მე მალეძებ, მგონია, რომ პირველად ვცოცხლობ, ქვეყნიერება განახლდება ჩემ ხსოვნაში, წარსული და მომავალი ისევ უკვდავი ხდება და ვგრძნობ ჩემს გულში როგორ ბრწყინვალედ ცოცხლდება მთელი ქვეყნიერება“.

როდესაც მკვდართა დედოფალი განთავისუფლდა და შეუერთდა თავის საყვარელ მეუღლეს დიონისიოსს, ამ დროს უკვდავი სიყვარულის ხმა გაისმა ყველგან კიდით კიდემდე. და ლირის სიმები ქარის ფრთებზედ ამცნობდნენ მსოფლიოს სიკეთის, სიცოცხლის და სიხარულის გამარჯვებას...

მოჩვენება გაჰქრა. როდესაც ფიზიკური გრძნობა დაუბრუნდა ზოწაფეს და დაინახა თავისი თავი ბნელ აკლამაში, დიდი არღილი იდგა მასთან. მან ორფეოსი იცნო, რომელიც შეეკითხა:

“დედფოსის ტაძრის შეილო, საიდან მოდიხარ შენ?”

“ჰოი, მასწავლებელო, საიდუმლო-განდობილთა, სასწაულთა მაჩვენებელო, ორფეოს! მე მესიზმრა იშვიათი სიზმარი. რა არის ეს? მოჩვენება მოგვობისა, თუ ძღვენი ღმერთებისა? რა მოხდა, განა შეიცვალა მსოფლიო? ან სადა ვარ მე ამ წუთში?”

“შენ ვაიმარჯვე და დაიმსახურე გვირგვინი საიდუმლო-განდობისა, შენ შეიცანი ჩემი ოცნება — უკვდავი საბერძნეთი“, — უპასუხა ორფეოსმა.

პითაგორა იყო ისეთივე მასწავლებელი ბერძენებისათვის, როგორც ორფეოსი საბერძნეთის საღმრთო ტაძრების ქურუმებისათვის. მან განაგრძო მისი წინამორბედის, ორფეოსის რელიგიური აზროვნების განვითარება. რომელსაც იგი უფარდებდა დროის მოთხოვნილებებს; პითაგორამ მოიყვანა წყობილ და მთლიან სისტემაში ორფეოსის სწავლებანი და მისცა მათ მეცნიერული საფუძველი და დასაბუთება. მან შეიგნო, რომ ბუნებრივ, კაცობრივ და ღვთაებრივ სამყაროთა სინტეზში იმარჩება კოსმოსის საიდუმლოება. ვინც შესძლებს მათი ჰარმონიის მიგნებას, მათი კანონისა და თანასწორობის შეცნობას. ის ვახდება ქეშმარიტი ბრძენი; მას შეუძლია დაეუფლოს ღვთიურ შემეცნებას და დახმარება გაუწიოს კაცობრიობას.

ეს სამი სამყარო, რომელიც ურთიერთს მხარს უჭერს და განსაზღვრავს

აღასრულებს მსოფლიო დრამას ორმაგი მოძრაობით, ქვე-დამავლობით და ზე-დამავლობით.

პითაგორა ეზიარა საიდუმლოებათ ეგვიპტეში, სადაც მას გაეხსნა ფართო პორიზონტი და ძიეცა საშუალება შეეცნო სხვა და სხვა ხარისხი ცხოვრებისა და შეეთვისებინა მეცნიერებანი კონცენტრიულ წესრიგში; გაეცო პროცესი ნივთში სულის შერთვისა მსოფლიო შემოქმედების გზით და მისი განვითარება ან აღსვლა ერთობისადმი ინდივიდუალური განვითარების საშუალებით, რაიცა აღესრულების შეგნების განვითარების წყალობით.

როგორც ყველა თეოსოფოსი, პითაგორაც უყურებდა მიწიურ ცხოვრებას როგორც აუცილებლობას ნებისყოფის დამუშავებისა, ციურს კი — როგორც სულიერ ზრდას და განხორციელებას ამ ქვეყნად დაწყებული განვითარებისა. ცხოვრებანი ცელიან ერთი მეორეს, მაგრამ უღმობელი ლოდიკა აკავშირებს მათ. ყოველ მათგანს აქვს თავისი კანონი და თავისი განსაზღვრული ბედი — რომელიც შემდეგში გამოვლინდება: “არ არსებობს არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოქმედება, რომელიც არ გამოვლინდება მარადიულობაში“, — ამბობს ძველი თქმულება.

სხვა და სხვა უბედურებისა და უსამართლობის ახსნას პითაგორა ხედავდა იმაში, რომ ყოველი არსებობა არის ან ჯილდო, ან სასჯელი უწინ გავლილი ცხოვრებისა. იმისდამიხედვით, როგორც მეტს განვლის სული ევოლუციათა საფეხურებს, ის უფრო და უფრო ღებულობს მონაწილეობას რეიკარნაციოს არჩევანში. მდაბალ საფეხურზედ სული დამორჩილებულია; უფრო განვითარებულ სულს კი საშუალება ეძლევა აირჩიოს რეიკარნაციო განსაზღვრულ ფარგლებში, ხოლო სული — უმაღლეს საფეხურზედ, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი მოწოდება — ის თვითონ ირჩევს რეიკარნაციოს არა თავის თავისათვის, არამედ საზოგადო საქმისათვის!. მსოფლიოსათვის. ყველა გენიოსი და წინასწარმეტყველი გვევზავნება ჩვენ იმ უხილავი სულიერი სამყაროდან. რომელიც ჩვენი ხედვის სივრცის გარეშეა.

გადმოცემა გვეუბნება. რომ საიდუმლო-ნაზიარებთა. წინასწარმეტყველთა სულებს ახსოვსთ მათი მიწიერი ცხოვრებანი. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ საკია-მუნომ ერთი ექსტაზის დროს აღადგინა ძაფი, რომელიც მას აკავშირებდა მის მიერ გავლილ წინა ცხოვრებებთან და პითაგორასაც, ღმერთების ვანსაკუთრებული წყალობით, ახსოვდა ზოკიერთი მისი წასრული ცხოვრება.

როდესაც სული, მატერიის ძიერ ტყვეთ-ქმნილი. განთავისუფლდება და განვითარების უმაღლეს საფეხურზედ ავა, იგი იპოვნის თავის თავში დასაბამს და ბოლოს ყველაფრისა და მიაღწევს რა სრულყოფას, საბოლოოდ შეუერთდება ღვთაებრივ გონს.

თუ ჩვენთვის ძნელია გაგება სულის ყოფისა რეინკარნაციოს პირველ საფეხურზედ, მით უფრო ძნელია, რასაკვირველია, წარმოდგენა იმისა, თუ რა მოელის მას განვითარების უკანასკნელი საფეხურის გასვლის ბოლოს. პითაგორას აზრით, აპოთეოზი ადამიანის, არ არის შეგნებისა და ხსოვნის დაკარგვა, თავის დაღწევა, არამედ გაგრძელება მოქმედებისა ღვთაებრივ შეგნებაში. გაწმენდილი სული არ ჰკარგავს თავის ინდივიდუალობას. იგი უერთდება თავის პირველ სახეს — ღვთაებას; ის იგონებს ყველა გავლილ ცხოვრებას, რომელიც მიაჩნია იმ საფეხურებად, რომლითა საშუალებით მან მიახწია უმაღლეს მწვერვალს, საიდანაც იგი შეიცნობს მთელ მსოფლიოს. ამ მდგომარეობაში ადამიანი ნახევარი ღმერთია, — ამბობს პითაგორა. — რადგან იგი გამოსახავს მთელი თავისი არსებით არა-ხილულ სინათლეს, რომლითაც ღმერთი ავსებს უსაზღვროებას. იგი ერთნაირად გრძნობს: ცოდნას და შესაძლებლობას, სიყვარულს და ქმნილებას, ყოფნას და გამოვლინებას ჰეშმარიტებისა და სილამაზისა.

“თუ ორფეოსი იყო წინასწარმეტყველი საბერძნეთისა, მისი განთიადის დროს, პითაგორა — მისი უჟაღლის მზისა; პლატონი გამოჩნდა ელლინიზმის მზის ჩასვენებისას, რომელიც აღმოდებული გადაიქცა ვარდისფერ ახალ განთიადად კაცობრიობისა“—ო, — ამბობს ედ. შაჟრე.

პლატონი იყო მიმდევარი პითაგორასი. იგიც იმავე წმიდა ტაძრებში შევიდა, მაგრამ სხვა გზით; იგი სხვანაირად წვდა შინაარსს და ხილვას ღვთაებრივ საიდუმლოებათა.

პლატონს სიკვდილამდე შერჩა სპეტაკი სახე სოკრატესი; მასზე სამუდამოდ აღიბეჭდა ის უკანასკნელი წუთები, როდესაც სიკვდილის წინ სოკრატე ესაუბრებოდა მოწაფეებს სულის უკვდავებაზედ, ჰეშმარიტებაზედ და სილამაზეზედ. ეს იყო პლატონისათვის პირველი და ყველაზე ძვირფასი გაკვეთილი მისტერიებისა. მან მიიღო სოკრატესაგან დიდი იმპულსი მისი რწმენისათვის სიმართლისა და ჰეშმარიტებისა; მაგრამ თვის იდეათა განვითარება პლატონმა შესძლო მისტერიების გავლით, რომელთაც მისცა მისმა გენიამ ახალი ფორმა, ერთ და იმავე დროს მგონსური და დიალექტიური. ინიციატია მან მიიღო ელევზისში, მაგრამ შეცნობილებას იგი ეძებდა ყველგან. ეგვიპტეში ეზიარა იზიდას საიდუმლოებას, უსმენდა მცირე აზიის ფილოსოფოსებს, გაეცნო სამხრეთ იტალიაში პითაგორელებს და თვითონ პითაგორას ძვირფას ხელნაწერს; დაბრუნდა ათინაში და დააარსა თავისი აკადემია.

ზემოდ იყო ნათქვამი, რომ სამ სამყაროს სინთეზში იმარხება მსოფლიოს საიდუმლოება. პითაგორამ გამოხატა ეს დოქტრინა “სალმრთო სიტყვაში” — “პიეროს ლოგოსი“. ეს დოქტრინა ცხოველი სიტყვისა წარმოდგენდა დიდ საიდუმლოებას, მოგვობის წყაროს. წმიდათა - წმიდას შეცნობილათვის, მიუ-

ვალ ციხეს. პლატონს არ შეეძლო და არც სურდა ვაეხსნა ეს საიდუმლოება თავის საჯარო გამოსვლებში; ბევრი ვერ გაიგებდა მას, ბევრი კი დაამაზინჯებდა მის აზრსა და შინაარსს; ამიტომ სწავლა “სამ სამყაროზედ” საიდუმლო-განდობილთა მან შესცვალა სამი კონცეპციით. რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო დადგენილი საიდუმლოთა-ზიარების წესით, ორი ათას ზუთას წელიწადს გასძლო, როგორც სამმა გზამ, მიმავალმა უმაღლესი მიზნისაკენ.

ქეშმარიტება, სილამაზე და სიკეთე, — აი ეს სამი გზა, რომელიც ერთი მეორეს ანათებენ და ავსებენ. პლატონის აზრით, ეს სამი სხივია, გამომდინარე ერთი და იგივე ცენტრიდან, და რომელიც ერთად შეადგენს ამ ნათელ ცენტრს, ესე იგი: ღმერთს.

ახორციელებს რა სიკეთეს, ე. ი. სამართლიანობას, სული იწმიდება; იგი ემზადება ამით შეიგნოს ქეშმარიტება, რაც პირველი და აუცილებელი პირობაა მისი წინსვლისათვის. თუ გავაფართოებთ იდეას სილამაზისა, იგი გადავა სულიერ სილამაზეში, საიდანაც გამოვიდნენ ყოველი ნივთი და არსნი, და რომელნიც წარმოადგენენ სუბსტანციას და სხეულს ღმერთისას. ადამიანის სული შერთული მსოფლიო სულთან, ისხამს ფრთებს. ქეშმარიტების შეგრძნობით წდება წმიდა ყოფას, წმიდა გონის სათავეებს; იგი შეიცნობს თავის უკვდავებას საკუთარი დასაწყისისა ლეთიურ დასაწყისთან შედარებით.

ქეშმარიტების კატეგორიის დამყარებით საიდუმლო-ნაზიარებმა პლატონმა შეჰქმნა ნამდვილი თავშესაფარი მრავალ მილიონი სულისათვის და გაუხსნა გზა დახსნისათვის მათ, ვინც მიილტვიან ქეშმარიტებისაკენ, მაგრამ არ ძალუძთ ამ ცხოვრებაში პირდაპირ ეზიარონ დიდ საიდუმლოებათ. ამნაირად, პლატონმა გადააქცია ფილოსოფია მომავალი წმიდა ტაძრის შესავალ კარად და იქ ეპატიებება ყველას, ვინც გამსჭვალულია კეთილი ნებისყოფით.

აქედან გამომდინარეობს უდიდესი პოპულარობა და ნათელი ძალა პლატონის იდეებისა. ამიტომ გაუძლო საუკუნეებს მის მიერ დაარსებულმა ათინის აკადემიამ. ამიტომ მიანიჭეს მას წმიდა მამებმა ღირსეული ადგილი და წმიდა ავგუსტინემ ამიტომ აიღო პლატონისაკან ორი შესამედი თვისი თეოლოგიისა.

ორი ათას ზუთასმა წელმა გავლო ძას შემდეგ. რაც სოკრატეს მოწაფემ. პლატონმა აკროპოლის ჩრდილში სული განუტევა. მაგრამ ვერც ბარბაროსების შემოტევამ, ვერც ქრისტიანობამ, ვერც საშუალო საუკუნეებმა ვერ შეარყიეს მისნი სწავლანი.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, პლატონმა სხვა და სხვა მისტერიები გაიარა, მაგრამ უმთავრესი იყო მისთვის ელევზისისა. დიონისიოსის მისტერიის აღწერის შემდეგ ჩვენ არ შევებებით ელევზისის მისტერიებს. რომელთა არსი ერთი და იგივეა; აღვნიშნავთ მხოლოდ. რომ პლატონის. პროკლოსის და პორფიროსის მოწმობით. ელევზისის მისტერიების დროს საიდუმლო-განდობილთ

შეეძლოთ საკუთარი თვალით ეხილათ სასწაულნი, რომელნიც ზღებოდნენ ტაძრის შუაგულში, სადაც ღვთაებანი გამოცხადებოდნენ სხვა და სხვა ფორმებით. იეროფანტებსაც შეეძლოთ შესულიყვნენ ღმერთებთან და დიდ ადამიანთა სულებთან კავშირში და გამოეწვიათ იგინი.

მისტერიები აგრძელებდნენ არსებობას იმპერატორ კონსტანტინეს დრომდე, რომელმაც გასცა ბრძანება მიწასთან გაესწორებინათ ტაძარი ელევზისისა, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეციოთ ბოლო იმ უმაღლეს კულტისათვის, რომელშიც ჯადოსნური სიმშვენიერე საბერძნეთის ხელოვნებისა განხორციელებული იყო ორფეოსის, პითაგორას და პლატონის დიდ სწავლაში.

განთქმული თავშესაფარი ანტიური დემეტრესი ელევზისის ნაპირებიდან უკვალოდ გაჰქრა; მხოლოდ ნაზი პეპელა — სიმბოლო ფსიხეისა — უღარდელად მფრინავი, ავონებს დღეს შგზავრს, რომ აქ აღესრულებოდა დიდი მისტერიები და დევნილი სული ადამიანისა ეძებდა ხსნას და განთავისუფლებას.

ნინო სალია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შენიშვნა: ჩვენს წინა წერილებში და აქაც ეხმარობდით ხოლმე ცნებას: “საიდუმლო-განდობა”, “საიდუმლო-განდობილი”, “საიდუმლოთა-ნაზიარები”. ძველი ქართული ტერმინოლოგიით ეს იქნება: “ზედმიწვეწულობა”, “ზედმიწვეწული”.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით: ზედმიწვეწული — ცოდნით სრული, რომელსა ცნობა მიზეზთა საქმე და აღსასრული ჰქონდეს ხელოვნებათა.

ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით: ზედმიწვეწილება — საფუძვლიანი ცნობა ნიეთთასა.

ლათინურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: ინიციაციო — მღვდელმსახურების შედგომა.

ფრანგულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: ინისიასიონ — საიდუმლო საქმეში ჩარევა.

ლარუსის ლექსიკონის თანახმად: ინისიასიონ — ცერემონია, რომლის დროს მსურველს აძლევენ ცნობას მისტერიათა (საიდუმლოებათა) შესახებ ძველ რელიგიებში. ინისიე — პირი, რომელსაც აქვს ცნობა-ცოდნა საიდუმლოებისა.

ამგვარად, ეს ინისიასიონ არის ქართულად ზედმიწვეწულობა, ხოლო ინისიე არის ზედმიწვეწული.

მომავალ ჩვენს წერილებში, მკითხველთა ნებაართვით, სწორედ ამ ძველ ქართულ ცნებებს მოვიხმარო და გამოვიყენებთ.

ან შეიძლება ვინმემ უკეთესზე მიგვითითოს.

“გვიანი რთველი”

გიორგი გამყრელიძისა

“ბედი ქართლისა“-ში (№. 14, მარტი, 1953) ორი შიირი განვიხილეთ: ერთი გიორგი გამყრელიძისა, მეორე გიორგი ლოლუასი. ორივე შევაქე. წერილში პოეტური თვითებაც მოვხაზე პირველი შიირის ავტორისა. ლოლუას მის შემდგომ არა გამოუქვეყნებია-რა. სამწუხარო იქნება. თუ ხელი აიღო მწერლობაზე. გამყრელიძე კი მწერლობას განავრცობდა “ბედი ქართლისა“-ში. შარშანწინ ზაფხულს გამოვიდა მისი “გვიანი რთველი“ : შიირთა წიგნი. თუ ერთს შიირს ავტორისა შევეხე, მით უფრო მმართვეს წიგნს შევეხო მისსა.

ერთი რამ წინასწარ. განსჯა რაიმესი — ვეულისხმობ: განხილვას. გარჩევას, დაფასებას — არ შეიძლება იყოს ობიექტიური. ლათინური სიტყვა “ობიექტუმ“ ქართულად იქნება: “წინგდებული“. (წინგდებული, ვთქვათ: წინდებული.) აქეთვან: შეიძლება ითქვას მაგალითად “ობიექტიური სამყარო“. ხოლო “ობიექტიური განსჯა“ არა. განსჯა ყოველთვის სუბიექტიურია. ეს იმას არ ნიშნავს — ხაზი უნდა გაესვას ამას — რომ იგი სხვებისათვის მისაღები არ იყოს. თავი-და-თავი აქ სხვაა. განსჯა მხოლოდ-და-მხოლოდ სიმართლის ძიებით უნდა იყოს გაყვანილი და ძიება კეთილდომის ტონით გამობარი. (სიმართლე წარმოუდგენელია სიკეთის გარე და სიკეთე სიმართლის გარე. ოღონდ ისინი ერთიმეორეს არ ჰფარავენ.) რაც შეეხება ღირებულებას განსჯისა შინაარსის მხრით — ეს სხვა საკითხია. შეიძლება ვინმე სიმართლის ერთგულიც იყოს და მდომიც კეთილისა და ამავე დროს განსჯა მისი ზერელე გამოდგეს.

საუკეთესო შიირებად “გვიან რთველ“-ში მიმაჩნია: 1. “ძველი სიმღერა“. 2. “საჩხერის ღამე“. 3. “ყველა სიმღერებს მიჩვენია“. 4. “ოცნება რთველზე“. 5. “თამარის დროშა“. 6. “გასვენება შემოდგომით“. 7. “პაოლო იაშვილის ხსოვნას“. 8. “სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას“. 9. “დაბრუნება დილით“. (შიირს ჩემზე საერთოდ განზე ვტოვებ — გასაკებია თუ რად.) ამ შიირებში გამოირჩევიან: “თამარის დროშა“, “გასვენება შემოდგომით“, “სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას“. პირველი: აქ თამარს ისტორია თავს-ემოსება შარავანდად. მეორე: ბუნება აქ გუნებაში გადადის და გუნება ბუნებაში. (ბოლოში უმჯობესი იქნებოდა “მაგრამ“-ის მაგიერ “მხოლოდ“ — შესაღებილებლად თქმისა.)

მესამე: გულის-თქმა აქ სიყვარულია თვითონ. (მეოთხე სტროფი როგორც გადამყვანი ხტილი მოისუსტებს.) წმინდა-პოეტური ძალა მეორე შაირში უფრო ჩანს.

საუკეთესო "აკიდობები": 1. "როს გარიჟრაჟზე შენი ქედები / მზეს უღი-
მიან ოქროთაველას" ("ზღაპარი თბილისზე"). 2. "ძირს მიწა სუნთქავს მკერდ
გაღელილი, / საესე ღვთის მადლით და გარინდებით" ("საჩხერის ღამე"). 3.
"და ცაზე მოსჩანს ახალი მთვარე / ქარვის ფერ ღვინით საესე ყანწივით"
("ოცნება რთველზე"). 4. "არვინ უნთებდა თაფლის სანთელს / საწყალ ღვინო-
შენს: / ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა" ("ამსხვერვედნენ მძიმე
ჩაქუჩებით"). 5. "შორს, ერთს გორაკზე სჩანდა ციხე / ჩამონგრეული / და
მყუდრო ქალას შესჩიოდა / ამოეხას" ("დამშვიდობება"). 6. "ღმერთო! სადაც
დაიბერტყავ კალთას, / მე იქ ეპოვებ საზრდოთ პურის ნამცეცს" ("ლოცვა
დილით"). 7. "მწიფე მტევნებში მზე ქვივოდა / და თაფლის თვალი" ("ცრემ-
ლები ზვარში"). 8. "ღვინო ღვთისავე! დაიფარე / ჩვენი მამული / და გაახარე
მამიჩემის / დამყნელი ვაზი" ("ცრემლები ზვარში"). 9. "უეცრად მინად დაი-
ლეწა / ჰაერი ჩუმი" ("ეგვიპტური ჩვენება"). მეექვსე "აკიდო": მარტივი და
კულსმიერი მეტად. მეცხრე "აკიდო": მოულოდნელი, მძაფრი და თან: მხედრი.

მიუღებელია: 1. "ის სიკვდილებმა (?) უცბად მოთიბეს" (როსინანტი).
2. "და ფრენის ნაცვლად / მიჩანჩალებს ჯაგლაგი რაშით" ("ნამდვილი ლექ-
სი"). რაში ბრჭალებშია ჩასმული. ამოო ცდა: ამით მას "ჯაგლაგად" ვერ აქ-
ცევ. 3. "მზის ტემპერამენტს" ("დილით"). 4. "და მივდე ფიქრებს ლურჯ აფ-
რებიანს" ("მე შავი ზღვისკენ გავყვები ქარებს").

ავტორი აქა-იქ ტყვედ უვარდება შემპარავ მტერს პოეზიისა: რეტორი-
კას. "მაგრამ ვერ ჰპოვა ვერსად ქალაქი / ისე ღამაში როგორც თბილისი"
("ზღაპარი თბილისზე"). ამის თქმა ვის არ შეუძლია? ამგვარი თქმა აქვს ნა-
ხმარი ავტორს შაირშიაც "მიწა ქარაული". ხოლო აქ ეს შაირის ნაკვეთების
"ბოლოკიდურად" გამოდის და როგორც ასეთი რაოდენიმედ გამართლებულია.
შაირში "ყველა სიმღერებს მირჩვენია" რეტორიული თქმა "ამღერებუღია" და
ამის გამო რეტორიკად არ ვლინდება.

"მცირე რამ ოდა რუსთაველს". ავტორი ახსენებს ერთს რიგს უდიდესი
ავტორებისა და დასძენს: "მაგრამ ჯერ პოეტს, / შოთავ! შენზე დიდსა და მა-
ღალს / ჩვენ პლანეტაზე ლექსის წერა არ ღირსებია". ოდა გაზმულია. (ეხმა-
რობ "ზმას" და არა "რიჟმას": ეს რუსულშიაც არაა სწორი.) გარნა "ზმა"
შაირში "სამკაულია" და არა მთავარი: ანტიურმა პოეზიამ, გაეხსენოთ, "ზმა"
არ იცოდა. მთელი ოდა ერთი რეტორიული დებულებაა და სხვა არაფერი.

"ილიას დაღუპვის 50 წლის თავზე". კარგი უქმნია ავტორს, რომ ამოუგ-

დია ეს დებულება (რომელიც გ. კობახიძის "კრებულ"-ში გამოქვეყნებულ ტექსტში ორჯერ იყო ნათქვამი): "მაგრამ ჯერ მებრძოლს შენზე დიადს და შენზე მაალს / ქართლში ცხოვრება არასოდეს არ ღირსებია". შენიშვნა: რეტორიული ხერხი აქ იმგვარივეა, რაც ოდაში რუსთაველის შიშართ. ილიას მე "ქარდუს დიდი მოურავე" ეუწოდე — მაგრამ შემოთმოყვანილ სიტყვებს ავტორისა მინც ვერ გავიმეორებდი. ვერ გავიმეორებ შემდეგსაც, რისათვის ავტორს საბოლოო ტექსტში ხელი არ უხლია. 1. "შენ რომ გამოჩნდი, ძლივს ბეუტავდა ქართლის კერია". "ძლივს ბეუტავდა" — განა ეს მართალია? 2. "და გააცოცხლე საქართველო ლაზარესავით". გარდა იმისა, რომ ამის მტკიცება არ შეიძლება, თვითონ შედარება ლიტერატურული მხრით იაფია, თუ არ გაიაფებული. პოეტური ამ შაირში (ახლანდელ ტექსტში) მხოლოდ ბოლო სტროფია.

საიდან დასჩემდა ავტორს ეს რეტორიული გადამეტება? განა ეკირება ეს მას: ავტორს ჩამოთვლილი შაირებისა და "აკიდობისა"?!

შესახებ კრებულის ენისა. 1. შეთანხმება ზმნისა (ზედსართავის — საკირბოროტო არაა) არსებით სახელთან: უსულო (აგრეთვე არნივითიერ) საგანთან მრავლობითში — "ები"-ს დაბოლოვებით. ჩემი აზრი. შეთანხმება საკიროა. ყოვლად შეუძლებელია ვთქვათ: ფოთლები შრიალობს — უნდა ვთქვათ: ფოთლები შრიალობენ. ილიას "გლახის ნაამბობ"-ში ნათქვამია: "ლოცვებიც გავიზეპირე, დღევანდლამდინ მახსოვან" (და არა: მახსოვს). იქვე: (მას) "ტკივილები ისევ აეშალნენ" (და არა: აეშალა). ვიმეორებ: საერთოდ შეთანხმება საკირო, ოღონდ ზოგიერთ შემთხვევაში არაშეთანხმება გვიხდება. (ქართული აქ — როგორც ბევრგან სხვაგან — ეყრდნობა მიმგნებ ალღოს ენის მესაიდუმლოესი.) ეს პროზაში. პოეზიაში კი — რადგან აქ უსულო (და აგრეთვე არანივითიერ) არსებით სახელებს ამცოცხლებელი ელფერი ეძლევათ — არშეთანხმება ყოვლად დაუშვებელია. (შეიძლება ითქვას, რომ ფორმა ები პოეზიაში უთანაბრდება ძველს, მაგრამ არგადასულ ფორმას ნი, რომელიც ყველგან უწყებულ შეთანხმებას მოითხოვს.) ამიტომ შეცდომად მიმაჩნია თქმა ავტორისა შაირში "როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები": "გრძელი ჩრდილები / გაეკვრის მიწას". ეს ერთი მაგალითი. დანარჩენნი — გვ. 32, 53, 60, 88, 132. მტყუვან: აქ სხვებიც ცდებიანო! პასუხი: მით უარესი მათთვის! ((ხაზს ვუსვამ: აქ ნათქვამი ჩემი პირადი შეხედულებაა.) 2. "შრიალებს ზღაპარს ძველი ჭადარი" ("მიწა ქართული"). "შრიალებს ზღაპარს" — ბეჭდვითი შეცდომა ნეგონა. მაგრამ ამ შეცდომას ავტორი სხვაგანაც იმეორებს: "შორეულ ზღაპარს შრიალებდენ / ცაცხვის ტოტები" ("ცრემლები ზვარში"). აქ კი სწორადაა: "და სიო ცაცხვებს ააშრიალებს" ("მთესველის სიმღერა"). 3. "კვლავ მოვესწრები / თავისუფალ მზის ამოწევრას" ("გლეხი ჩეროში"). თუ "ამოწევრას"? 4. "და საიდუმლო არც მიწის, არც ცის / არ დამჩა, რომ არ გამოვიცანი."

(პოემა “პოეტი და სიკვდილი”). სწორი იქნებოდა: რომ არ გამომეცნოს. 5. “დაიწყებ ზანტად თმის გადავარცხნით” (“დილით სარკესთან”). რას დააწყებს? არაა თქმული. 6. “იყვენ პოეტები შენზე დაკარგულნიც” (“მხოლოდ არასოდეს”). უფროობითი ხარისხი აქ არ გამოდის. (ქართულ მწერლობაში, სამწუხაროდ, ისე ხშირია გრამმატიკული წესების დარღვევა, რომ მე კიდევ მიკვირს, რომ ავტორს 152-გვერდიან წიგნში ასე ცოტა გრამმატიკული შეცდომები შეპარვია.)

პოემა “პოეტი და სიკვდილი”. ამაზე მხოლოდ ორიოდ სიტყვა. 1. “კონცეპტი” პოემისა ჩემთვის არაა მთლად ნათელი. 2. არ მიყვარს მსჯელობა გაშიარებით. 3. ვინ რა უნდა მითხრას სიკვდილზე?!

წერილმანნი: 1. “თეიმურაზისა” — ტერფი შაირში “ძველი ჰანგები”. ერთი მარცვლი მეტია. 2. “ისმის ხრიალი დიოხოზაერის” (“შერიგება”), თუ “დინოზაერის”? 3. “ნეფროტეტე” (“ეგვიპტური ჩვენება”), თუ “ნოფრეტეტე”? 4. “ლაოკოონ“-ის მაგიერ “ლაოაკონი” (“სიზმრები”). ალბათ ბეჭდვით შეცდომა. 5. “ცხრაფეხა პანი” (“დალი და დიანა”). ბეჭდვითი შეცდომა. ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილ ტექსტში სწორად იყო: “თხაფეხა”.

მგონი არ გამომჩინია არც ერთი ნაკლი თუ შეცდომა: ვფიქრობ ყველა აღწერილი. დარწმუნებული ვარ: ავტორს შეეძლო მათი აცდენა: თუ ყველასი არა, უმრავლესობის მიანიც. არ მობხდა ეს: ალბათ შემოქმედებითი ცეცხლის შენელების გამო, რაიც დროდადრო, ამდენად თუ იმდენად, თითქმის ყოველ ხელოვანს ემართება. (ამ შენელებისას შესაძლოა შემოქმედი დაუდევრობას წამოეგოს და იწყოს საქმის გაადვილება, დამლუპველი. აქ დიდი სიფხიზლეა საჭირო.) ყოველ შემთხვევაში: ნიჭი. რომელმაც ნახსენებ 9 შაირში და 9 “აკიდოში” ხალასი პოეზია გამოავლინა, ეს ნიჭი ავალებს ავტორს გულმოდგინებით და პასუხმგებლობით მოექცეს ყოველთვის თავის პოეტურ საქმეს.

რაოდენიმე წინად დაბეჭდილი შაირი ავტორს შეუკეთებია: და ყველა კარგად. განსაკუთრებით მოუგია “გასვენებას შემოდგომით”. ერთხელ კიდევ მართლდება ამით დებულება, რომ ხელოვანი ხელოსანიც უნდა იყოს.

გრიგოლ რობაქიძე

ვაჟაფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავი პარიზში

ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირმა და ქართული საზოგადოების გამგებამ ერთად გამართეს პარიზში, ამა წლის 29 აპრილს, ვაჟაფშაველას დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავი საღამო. კათედრას ამშვენებდა ვაჟას დიდი სურათი ქართული დროშის ფერითა და ყვავილებით შემკული. სხდომას თავჯდომარეობდა ბ-ნი ვიქტორ ნოზაძე. კრების გახსნისას მან მოიგონა ვაჟაფშაველა, როგორ იხილა იგი პირველად ქუთაისის ქართულ

გიმნაზიაში 1913 წელს და მოკლედ აღწერა ის შეხვედრა, რაც “ლიტერატურულ საღამოზე” ქუთათურმა საზოგადოებამ ჩვენ დიდ პოეტს მოუწყო. იგი შეეხო აგრეთვე ვაჟაფშაველას შემოქმედების ერთ დარგს და დაახასიათა მისი შემოქმედების პროსოპოპია.

ქართული საზოგადოების თავჯდომარე ბ-ნმა ლევან ზურაბიშვილმა გააცნო ფრანგულ ენაზე, სხდომაზე დამსწრეთ, რომელთა შორის ქართული ენის უცოდინარი უცხოელებიც იყვნენ, ვაჟას შემოქმედება.

შემდეგ ე. ნოზაძემ წაიკითხა წერილი, რომელიც დაბეჭდილი ჰქონდა უდროოდ გარდაცვალებულ ისიდორე მანწყკავას ვაჟას შესახებ.

ბ-ნმა მიხეილ გრიგოლიამ დამსწრეთ გააცნო დაწერილებით ვაჟას ცხოვრება; ბ-ნმა შალვა კალანდაძემ, თავჯდომარემ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირისა, წარმოთქვა სიტყვა ვაჟას მსოფლმხედველობის დახასიათებისათვის, ხოლო ბ-ნმა ნიკო ყურულიშვილმა გაგვაცნო ვაჟას პოეზიის მხატვრული სახე.

ბ-ნ მ. სტურუას ასულმა რუსუდანმა წაიკითხა ვაჟას “მთის წყარო“-ს ფრანგული თარგმანი, შესრულებული პროფესორ ლაფონის მიერ და დაბეჭდილი ქართველოლოგიურ კრებულში “ბედი ქართლისა“ (ფრანგული გამოცემა).

ბ-ნ მ. სტურუას ასულმა ნანომ წაიკითხა ვაჟას ლექსი. ოთარ პატარიძემ და მისმა დამ გულნარამ წაიკითხეს ვაჟას ლექსები; ბ-ნ გიორგი წერეთელმა წარმოთქვა ვაჟას პოემის ერთი ნაწყვეტი.

ეს სამახსოვრო საღამო დასრულდა ახალგაზრდათა: გულნარა და ოთარ პატარიძეთა მშვენიერი გალობით ჩონგურის დაკვრასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ბ-ნ მ. სტურუას და ბ-ნ ელ. პატარიძის ოჯახთა ეს ახალგაზრდა წევრები ყოველთვის ხალისიანად და მონდომებით მონაწილეობენ ქართულ საქმეში და საქები მაგალითიც არიან, — დაე, სხვებმაც მიბადონ მათ!

დამსწრე

ბიბლიოგრაფიისათვის

ვიკტორ ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება. ბუენოს აირეს, 1954 წ. 208 გვერდი, ორსვეტიანი.

ვიკტორ ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. 264 გვ. ორსვე.

ვიკტორ ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე. 1957 წ. 224 გვ. ორსვე.

ვიკტორ ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე. 1958 წ. 312 გვ. ორსვე.

ბ-ნ ვიკტორ ნოზაძის ყველა ეს შრომა კარგად ცნობილია და დაფასებული საქართველოს მეცნიერულ და ლიტერატურულ წრეებში.

ავტორს გამზადებული აქვს დასაბეჭდად მეხუთე წიგნი: “ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“.

კ. კანდელაკი — საქართველოს ეროვნული მეურნეობა. დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. 218 გვ. პარიზი, 1960.

მინდია ლაშაური — ქართული სული. წ. 2. 126 გვ. მიუნხენი, 1961 წ.

დავით საღირაშვილი — ფიქრთა და მოგონებათა რვეული. მადრიდი, 1961 წ. 288 გვერდი.

ალექსანდრე შათირიშვილი — ერი და ეროვნული გრძნობა. პარიზი, 1962 წ. 96 გვერდი.

პოლიკარპე ღვებუაძე — ტყეობაში (მცირე მოგონება). პარიზი, 1962 წ. 32 გვ.

ისიდორე მანწავა — ქართული კულტურის გზები (ოქროს ხანა). პარიზი, 1962.

ივანე ზურაბიშვილი — კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი, 1962 წ.

პროფ. მიხეილ წერეთლის მიერ დადგენილი “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის გამოცემის შესახებ.

ჩვენ საზოგადოებას მოეხსენება, რომ სამი წლის წინად, ბ-ნ მიხეილ წერეთლის დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო დაარსებულ იქმნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც უნდა შეეგროვებინა საჭირო თანხა იუბილარიის მიერ გაწმდილი და აღდგენილი “ე.ტ.”-ის ტექსტის გამოსაცემად.

კომიტეტში შედიოდნენ: ქ-ნი ლ. აბდუშელი, ქ-ნი ნ. გვაზავა, ქ-ნი ო. გეგეჭკორი, ქ-ნი პ. კლდიაშვილი, ქ-ნი ნ. მდივანი და ქ-ნი ლ. ნოზაძე. თავჯდომარე იყო ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე, მოადგილე — ბ-ნი მ. გრიგოლია (მაშინდელი თავმჯდომარე მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირისა).

როგორც ვიცით, დავით ხელაძის გარდაცვალების შემდეგ ქართული გამოცემლობა დაბრკოლდა. დიდხანს ვეძიეთ განსვენებულის შემცვლელი, ლინოტიპზე ამწყობი; ბოლოს ბ-ნმა ისიდორე ქარსელაძემ იკისრა ხელით აწყობა.

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო დაბეჭდვა გვიხდება უმძიმეს პირობებში. დღემდე დაბეჭდილია 176 გვერდი. იმედი გვაქვს წიგნი წლის ბოლომდე გამოვა.

სულ შეგროვდა 4.600 ახ. ფრანკი, რომელიც ჩაგვაბარა კომიტეტის ხაზინადარმა ქ-ნმა პ. კლდიაშვილმა, მაგრამ, ცხადია, ეს თანხა არ არის საკმარისი “ე.ტ.”-ის გამოსაცემად.

ამიტომ მივმართავთ ყველას, ვისაც ჯერ არ მოუხდია ვალი ბ-ნ მ. წერეთლის წინაშე, გამოგვიგზავნონ თავიანთი წვლილი ჩვენი რედაქციის მისამართით. შემომწირველთა სია და ანგარიში გამოქვეყნებული იქნება.

მიხეილ ჩუბინიძე †

ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ მიხეილ ჩუბინიძის გარდაცვალების გამო.

დასაფლავებას ლევილში დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. სიტყვები წარმოთქვეს: დ. კლდიაშვილმა, ვ. ნოზაძემ და ლ. ზურაბიშვილმა.

**REVUE DE KHARTHVELOLOGIE
BEDI KHARTHLISA**

**CENTRE NATIONAL de la RECHERCHE SCIENTIFIQUE, BULLETIN SIGNALE
TIQUE 19, SCIENCES HUMAINES, Volume XVI, N.1-1962**

გამოაქვეყნა "ბედი ქართლისა"-ში მოთავსებული წერილების მოკლე შინაარსი (გვ. 283, 284, 291, 332, 333, 352, 355, 369, 370).

საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ, მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ამ დიდ კრებულში რეგულიარულად დაიბეჭდება ამიერიდან ჩვენი ჟურნალის მთავარი წერილების მოკლე მიმოხილვა.

BIBLIOGRAPHIE LINGUISTIQUE (publiée par le Comité International ~~permanente~~
des linguistes) **SPECTRUM**, Utrecht-Anvers 1961, p.284-285

მოათავსა ბიბლიოგრაფიული ცნობები "ბედი ქართლისა"-ს შესახებ. რედაქტორი გვატყობინებს, რომ მომავალშიც მოათავსებს ასეთ ცნობებს ჩვენი ჟურნალის ყოველ ახალ ნომერზე.

SOCIETY OF ANTIQUARIES OF LONDON

et **DEUTSCHE NATIONALBIBLIOGRAPHIE**

აქვეყნებენ აგრეთვე "ბედი ქართლისა"-ს წერილების სათაურებს:

ქართველოლოგიის კრებულში "ბედი ქართლისა"-ს

შესახებ რეცენზიები მოთავსებულია შემდეგ ინტერნაციონალურ ჟურნალებში:

ORIENS CHRISTIANUS, Band 41-1957, p. 150-151.

REVUE des ETUDES BYZANTINES, tome XVII, 1959, p. 266-267.

ORIENS CHRISTIANUS, Band 43, 1959, 156-158.

ORIENTALIA CHRISTIANA PERIODICA, vol. XXVI, 1960, p. 218.

ORIENS CHRISTIANUS, Band 44, 1960, p. 157.

KRATYLOS (Kritisches Berichts und Rezensionorgan für indogermanische und allgemeine Sprachwissenschaft), Heft 2, 1961, p. 197 (en français).

ROYAL ANTHROPOLOGICAL INSTITUTE, MAN, N. 78, March 1962.

ჩვენი ჟურნალის შესახებ ცნობები და მითითება ხშირად მოთავსებულია აუერ ცნობილ ინტერნაციონალურ გამოცემაში, სახელდობრ:

JOURNAL ASIATIQUE, ANALECTA BOLLANDIANA, LE MUSEON, TRADITIO.

BYZANTINISCHE ZEITSCHRIFT, REVUE des ETUDES BYZANTINES, OESTKIRCHLICHE STUDIEN, BYZANTION, SLAVONIC REVIEW, OXFORD UNIVERSITY PRESS, BULLETIN OF THE SCHOOL OF ORIENTAL STUDIES UNIVERSITY OF LONDON, RIVISTA ARALDICA, PATROLOGIA ORIENTALIS, DIE RELIGION in GESCHICHTE und GEGENWART e. t. c.

რედაქციისაბან

გრიგოლ რობაქიძის წერილი შალვა ნუცუბიძის წიგნზე: "ისტორია გრუზინსკოი ფილოსოფიი" გამოქვეყნდება შემდგომ რვეულში.